



ფონდი დაბა სამოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

კახაბერ ეპიტაპე

გეორგილიშვილი და გორგაშვილი ტრანსფორმაცია ევროპაში

დაშვებულია დამშარე სახელმძღვანელოდ
სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2001

УДК 316.25

ქ 363

დამზარე სახელმძღვანელო „გეოპოლიტიკური და გეოს-
ტრაქტორული ტრანსფორმაცია ევროპაში“ დამუშავდა 2000-2001
წლებში ფონდი აღია საზოგადოება — საქართველოს სოციალურ
მეცნიერებათა პროგრამის ფარგლებში და მისივე დაფინანსებით,
დამზარე სახელმძღვანელო განკუთვნილია სოციალური
მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის.

სერიის მთავარი რედაქტორი მარინა ჩიტაშვილი

რედაქტორი ლია კაჭარავა

© ფონდი აღია საზოგადოება საქართველო, 2001

ISBN 99928-32-24-X

სპეციალური

დეპტი 1.	
გონიერების გარესტრატურაზე და გონიერების გარესტრატურის ცენტრის 5 მოვლენების მიხედვის მიზანი და მოვლენების მიზანი და კლიენტის მიზანი.	
გონიერების გარესტრატურის მიზანი და კლიენტის მიზანი 5	
გონიერების გარესტრატურის მიზანი და მოვლენების მიზანი 17	
დეპტი 2.	
„0030 მის „კონის გონიერების გარესტრატურის გონიერები და გონიერების 21 კონფიდენციალური მიზანი 25	
მასიური უდიდესი სტრიქონი 25	
მოვლენი რეაგირების სტრატეგია 27	
დეპტი 3.	
დაზღვანი და გარესტრატურის გონიერების მიზანი 30	
დაზღვანი მიზანი არის კონფიდენციალური მიზანი 30	
დაზღვანი მიზანი არის უდიდესი უძველეს 31	
დაზღვანი კონფიდენციალური მიზანი გონიერების გონიერები 32	
დაზღვანი საკონფიდენციალური მიზანი 35	
დაზღვანი გარესტრატურის კონფიდენციალური 37	
გარესტრატურის გონიერების გონიერები (მწვ) 39	
დეპტი 4.	
გონიერი გონიერების გონიერები და კონფიდენციალური სპეციალური მიზანი 41	
კონფიდენციალური მიზანი და გონიერების გონიერები 43	
მიზანი გონიერების მიზანი 43	
მიზანი გონიერების მიზანი თავისობრივი მიზანი და გონიერების გონიერები 46	
მიზანი გონიერების მიზანი და გონიერების გონიერები 48	
მიზანი გონიერების მიზანი თავისობრივი გონიერების (მიზანი გონიერები) და რუსენის გონიერების მიზანი 50	
მიზანი გონიერების მიზანი და გონიერების გონიერები 51	
დეპტი 5.	
„0030 მის“ გასასრული და დასაცემის გამარჯვების 30%-ზემეტე 58	
დეპტი 6.	
სამიზანო ურთიერთობასთა სისტემა „0030 მის“ გენერიზ არიოზო 64	
სამიზანო ურთიერთობასთა სისტემის განვითარების მიზანი 64	
ტრანზაქციები 64	
ტრანზაქციები და გონიერები 66	
საიტი და საბაზო კონფიდენციალური მიზანი 66	
ტრანზაქციების მიზანი 67	
გაფარმოვადი და გონიერები 69	
დეპტი 7.	
შავი ზღვისა და კავკასიის ახალი კონდიციენტის გონიერების გონიერების და კონფიდენციალური სისტემი 72	
საყრდენის კონფიდენციალური მიზანი 72	
სისტემის და მიზანის მიზანი 73	
სისტემის და მიზანის მიზანი 73	
დეპტი 8.	
თვითმმართვა ახალი კონფიდენციალური და გარე ტიპის მიზანი 84	
„0030 მის“ გონიერების გონიერების ახალი უნივერსიტეტი 89	

ლექცია 9.	
რენობის მოწვევის თავისებურებები.....	94
რასათის ააადი სტრატეგია.....	97
რასათის ააადი სტრატეგიის შეფასება.....	99
ლექცია 10.	
დატო-ს ააადი ორგანიზაციის და 2010 გაფართოება.....	104
დატო-ს გაფართოება: პროცესების და პრისტრუქტივები.....	105
პროცესების დოკუმენტის აღმართოების გაფართოება.....	112
დატო-ს გაფართოების აზაგადი.....	114
დატო-ს ააადი სტრატეგია.....	117
ლექცია 11.	
გეოგრაფიული და გონისტრატეგიული ტრანსფორმაციის პრისტრუქტივები.....	121
მონიადი მოწვევული სივრცი – როგორ იქმნა იმი?.....	121
მოწვევის მოწოდებული აირომა მოწვევის მიმდევ.....	122
მოწვევის გონისტრუქტიული მოწოდებული აირომა და მოწვევის მიმდევით მომავალ შედეგები.....	124
სიტუაცია „ციცი გოს“ პრისტრუქტი.....	127
1990-2000 კონკრეტულ სი.....	128
მუშავებული აუტომატური 2001-2010 წლები.....	129
რასებით და მართვა.....	129
ლექცია 12.	
ახალი ტერიტორიები დაზღვრ საცემმდიშვრო დამსახურო პრისტრუქტივები.....	132
ავტომას ამონიური ურთავი.....	132
სახელმწიფო კონკრეტული 2010 წლისამართ.....	134
კურსების კონკრეტული.....	136
დიალ არითანი.....	138
საურაცხოვთი.....	140
გარემოს.....	142
მტავრი.....	144
მასალი.....	145
იურიდიკობი.....	146
არარეალი.....	148
რასების გონისტრუქტიული დამატებულებები და სარგალოების პრისტრუქტივები.....	149
ლექცია 13.	
ზოგაჯავაებული პროცესების გაფართოებული ტრანსფორმაცია და გონისტრატეგიული ტრანსფორმაცია კი არა საყრდენი და ანარითული პრისტრუქტივები – ვისაძლებები ის არა საყრდენი და ანარითული სისტემები.....	152
მირანდის და ანარითული მასალები.....	153
დოკუმენტაციები ურთის მიზნის მიზნებით.....	155
გაუსართოებული დანართები.....	156
დიალიკანი და არიტორიული მიზნების აღმართება.....	156
დიალიკანი და არიტორიული მიზნების შეადგინება.....	157
საკრეატიულო დანართები.....	158
სამოდერნიზაციური ასაკებელი.....	160
ინიციატივა.....	162
ლიტერატურა	163

ლექცია I.

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციის ცენტრალური

გეოპოლიტიკის ცენტრი გეოპოლიტიკა რომელიც მოძღვნება და
კალენის მთლიანი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ცენტრალური

„გეოპოლიტიკა“ – პოსტსაბჭოურ სივრცეში ძნელად თუ მოიძებ-
ნება ამაზე უფრო პოპულარული სიტყვა. ამ სფეროზე საუბრობენ,
როგორც პროფესიონალები, ისე დილეტანტები. რუსთას პოლი-
ტიკურ ელიტაში „გეოპოლიტიკური“ მიღვომა წარმატებით ჩატავ-
ლა მოძველებულ მარქსისტულ იდეოლოგიას. გეოპოლიტიკა, ამ სიტ-
ყვის გარეული გაგებით, თავად იქცევა ოფიციალური დაუგინის მასაზე-
ბები იმის შესახებ, რომ გეოპოლიტიკოსი ამრიორი ანგაუირებულია
„ევრაზიერობით“ თუ „ატლანტისტითი“, მაღალ წაგავს ლენინის
თუნის ფილოსოფიის კლასობრივი ბუნების შესახებ, რომელიც, პრო-
მის ობიექტურობას. ლექციების წარმოდგენილი კურსისათვის აუცი-
ლებლად მიგანინა ამ ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტება. შემთხვევით
არ არის, რომ თანამდეროვე პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი
ჯუმბეტებელი პანს მორგენთაუ გეოპოლიტიკას ახასიათებს, როგორც
„ფსევდომეცნიერებას“. ჩვენ არავითარო სურვილი არა გვაქვს მსგავსი
შეხედულება გავიზიაროთ, რადგან ის გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია,
რომელზეც ვისუბრებთ, სრულიად სხვას გულისხმობს, ვიდრე ის,
რასაც კლასიკურ გეოპოლიტიკას უწოდებენ.

კლასიკური გეოპოლიტიკა სუბსტანტივისტური მოძღვრება, რომელიც
ატრიცებს, რომ გეოგრაფიული მდგრადობა ერთხელ და სამუშაოდ
განსაზღვრავს პოლიტიკას. რომ არსებობს „მარადოული“ გეოგრაფიუ-
ლი კატეგორიები, რომელთაგან გამოიჩინარე სახელმწიფო შეიძლება
მოიქცეს „მხოლოდ ასე“ და არა სხვაგვარად. კლასიკური გეოპოლი-
ტიკისათვის სივრცე აბსოლუტურია, ყოველივე სხვა კი – შეფარდებ-
ით. იმის გამო, რომ არსებობს ევრაზიერო „პაროლენდი“ ანუ გული,
თნაირი მოქმედება შეეძლია და არა სხვაგვარი. შესაბამისად, ამ
ძალასთან დაბირისპირებული ქცევის სტრუქტიკებიც იდენტურია.

სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც არსებობით თუ სუბსტანციურად სახმე-
ლეთო ანუ კონტინენტურები არიან, არ შეიძლება არ შევიდნენ კონ-
ფლიქტში „საზღვაო“ ცივილიზაციებთან. ამ შემთხვევაში არსებოთი არ
არის რატომ მოპარა ეს პრიმიტული თეორია რესერსის დღევანდელ
ელიტის ნაწილმა გერმანელებს. ასევე არ არის მნიშვნელოვანი ის, თუ
ელიტის ნაწილმა გერმანელებს. ასევე არ არის მნიშვნელოვანი ის, თუ
ელიტის ნაწილმა გერმანელებს. „საზღვაო“ კართაგენის დამარცხ-
ს უფლება, ვერავინ სწორი, მაშინ, როცა საზღვაო ინგლისი ითლად
ამარცხებდა კონტინენტურ საურანგეთსა და ესპანეთს, ხოლო „საზღვაო“
ამერიკა დაიდი მარცხი აგვერა კონტინენტურ კოლონის – სხვ კავშირს.
ამერიკა დაიდი მარცხი აგვერა კონტინენტურ კოლონის – სხვ კავშირს.
მსოფლიო ოშში.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ამოცანის დამაკმაყოფილებელი გადაწყ-
ვეტა გარკვეულ დოგიტურ მიღეომას მოითხოვს, რაც სხვა ცნებების
შემოტანასთან ერთად, საბოლოო ჯამში, ვ. წ. ზოგადოფრიული
პრინციპების განმარტებასთან იქნება დაუყვარებული. პირველ ყოვ-
ლისა, აუცილებელია ნათლად გაიძიჯნის გეოპოლიტიკური დო-
ქტრინის ლიტი კატეგორია – გლობალური და რეგიონული. გეო-
პოლიტიკური მიღეომის თანახმად, რესერსი, როგორიც არ უნდა
იყოს გლობალური ვითარება, თავისი მდებარეობის გამო თითქოს
ყოველთვის უნდა პქონდეს სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერ-
ესტი სამხრეთ კავკასიაში, ანუ რაღაცაირად დაუქვემდებაროს ეს
რეგიონი თავის გავლენას. თუ დასაწყისისთვის მეოთხოლოვნური
ამოცანის „გაითლებასა“ და ლაკონიური მითითებით შემოვარგვდას
განვიზრახავთ, მაშინ ანალოგის მეოთხეზე დაყრდნობით, ერთი მხრივ
გლობალური პოლიტიკური რეალობისა და რეგიონის, ხოლო, მე-
ორე მხრივ, ორგანიზმისა და მისი ნაწილების კრითმანვართან შედარ-
ებას შევვიძლია მივმართოთ. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმის ანალო-
გებას გრუ ფენომენად, ცხადია, გლობალური პოლიტიკური რეალობა
იგივე საქოთაშორისო ურთიერთობას სისტემას) მოგვევლინება. ხოლო
ნაწილებისა კი – რეგიონები. მათ შორის მიმართებაც – ორგანიზმი-
სა და მისი ორგანიზმის მიმართების ანალოგიურად – სისტემისა და
სა და მისი ორგანიზმის მიმართების სახეს „მიღებებს“. კერძოდ, რეგიონი ისეთ
ელემენტის მიმართების სახეს „მიღებებს“. კერძოდ, რეგიონი ისეთ
პოლიტიკურ ერთულად (ელემენტად) წარმოვიდგება, რომელიც
გლობალური პოლიტიკური რეალობის ანუ საერთაშორისო ურთი-
ობას სისტემის ნაწილია. რა თქმა უნდა, ასეთი დახასიათება არ
ერთობათ სისტემის ნაწილია. რა თქმა უნდა, ასეთი დახასიათება არ
არის უსარგებლო. მეტიც, მას გარკვეული „მარგი ქმედების კოუფი-
კონტი“ გააჩნია. მაგრამ თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, იფი მაინც

ცდება სამიზნეს, რადგან რეგიონი არა მხოლოდ ჭარბი ბიოლოგიზმით ხასიათდება, არამედ, რაც მთვარია, საერთოდ ანალოგიური შემცნებისათვის ნიშანდობლივ პრინციპულ ნაკლასაც ატარებს, რის გამოც მას, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია, მხოლოდ „ხატოვანი პროცედურების“ ფუნქცია თუ შეიძლება დაკისრებოდა (მხედველობაშია ანალოგიური შემცნების ის თავისებურება, რომ იგი „ცალმხრივი“ ანუ ისეთი შემცნებაა, რომელიც მხოლოდ მსგავსებაზეა ორიენტირებული და განსხვავდას უგულებელყოფს). ამასთან, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ისეთი თემები როგორიცაა გეოპოლიტიკა (გეოპოლიტიკური მიღებობა), ძალთა ბალანსის თურნია და სხვ, იმ ზოგადეკონცეფციური კონტექსტების თემატიზირებას გულისმობს, რომელშიც ფუნქციონირებს განსამარტავი ცნებები. აღნიშნულის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი ცნება მთელი მისი მიზაარსობრივი სისავსითა და კონკრეტულობით რეალურად მხოლოდ ამა თუ იმ ზოგადთეორიულ კონტექსტში ფუნქციონირებს და, აქედან გამომდინარე, აღვევატური განმარტებისათვის ამ უკანასკნელის ექსპლიცირებას საჭიროებს. ამის გათვალისწინებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ გარემოების გამოც, რომ კონტექსტზე „მიმდევლი“ ცნება მოღიანად (ან ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად) ტრანსფორმირდება ამ კონტექსტის შეცვლის შემთხვევაში ან თუ აქცენტს იმავე კანონზომიერების სხვაგვარ გამოვლინებაზე გადავიტანთ, პოლიკონტექსტურობისდა კვალად თეორიულად საგულისხმო ამპლიტუდის პოლისემანტიკურობას ავლენს, რაც ცალსახად იჩენს თვეს ჩვენთვის საინტერესო ცნებების შემთხვევაშიც. კერძოდ, იმ მხრივ, რომ არსებობს სხვადასხვა კონტექსტი, რომლებთან მიმართებაშიც ისინი აღნიშნული პოლისემანტიკურობით ხასიათდებიან და თვალსაჩინო არაერთმნიშვნელობით არიან აღმნიშვილნი. აქედან გამომდინარე, კვლევის სწორად ორიენტირებისა და ორგანიზების მიზნით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, ჯერ ერთი, სხვადასხვა კონტექსტის აღვევატურ იღვნტიფიცირებას და, მეორე მხრივ, მათ შორის კვლებაზე ოპტიმალურის შერჩევას, რაც კვლევისათვის ოპტიმალური კონცეფულტუალური „ჩარჩოს“ დადგენის ტოლფასია.

აღნიშნულის ფონზე, ალბათ, საჭიროა თვედაპირველად იმ ამივ-ალენტურ დამოკიდებულებას გავუსვათ ხაზი, რომელიც ჩვენ მიერ განსამარტავ ცნებებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული კონტექსტის მიმართ გაგვაჩნია. მხედველობაში გვაქვს

ე. წ. გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელიც წინამდებარე გამოკვლევის შემთხვევაშიც ინარჩუნებს აქტუალურობას, მაგრამ – და ეს საზღასმით უნდა აღინიშნოს – სპეციფიკური აზრით, უკანასკნელი გარემოება სწორედ ზემოთ მითითოთხბული მმავალენტური დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. კერძოდ, იმით, რომ ჩვენ უარყოფთ არა ნებისმიერი სახის გეოპოლიტიკური მიდგომის თეორიულ დირექტულებას, არამედ აღნიშნული ტრადიციის მხოლოდ გარკვეულ სპექტრისას. აქედან გამომდინარე კი, თავდაც გეორგიობრძოს მის გარკვეულ ვერსას. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვემოთ შეთავაზებული ანალიზის აღმისას რეკიპიენტის ცნობიერებაში ძალაუნებურად „იმუშავებ“ აღნიშნული სპექტრის გარკვეული სეგმენტი, რომელიც შეიძლება დაშორდეს და არ შეესაბამებოდეს ჩვენთვის ამოსავალ კონტექსტს, მაშინ ცხადი გახდება გეოპოლიტიკური მიდგომის ჩვენი ვერსიის მკაფიო იდენტიფიცირების აუკილებლობა, რაც, თავის შემრიცე, საერთოდ, მთელი ტრადიციის მიზანმიმართულ განხილვასთან იქნება დაკავშირებული. სიზუსტისათვის აქვე შეიძლება კიდევ ერთხელ მივუთითოთ, რომ ჯერ ერთ, გეოპოლიტიკური კონტექსტი არ არის კრატერთა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ცნებებთან მიმართებაში ფუნქციონირებს და, გარდა ამისა, თავდაც არაა პომოვენური, არამედ საქმაოდ ჭრილი და შენაგანად მრავალუროვანი ინტელექტუალური რეალობაა. ამ საკითხზე უკრადღების გამახვილება აუკილებელია, რათა მკითხველს სწორი წარმოზღენა შეეძნას ჩვენს მიზანდასახულებაზე.

ე. ი. იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება განსაზღვრული ამოცნის გადაწყვეტის მიზნით და თუმცა გაუმართლებელი გვერდება მოვლენებისათვის წინ გასწრება, ამასთან დაკავშირებით, ერთგვარი წინასწარი განმარტების სტატუსით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ლოკალური ანალიზის მიზანია თემატიზიბული პრობლემის კვლევისათვის ოპტიმალური ზოგადთეორიული კონტექსტის არგუმენტირებული დადგენა, რაც დაკავშირებული იქნება გეოპოლიტიკური ტრადიციის რაციონალური ასპექტების გამორჩევასა და გეოპოლიტიკური მიდგომის ისეთი თეორიული ვერსიის დასკრიფციასთან, რომელსაც ნაკლები ექნება საერთო, ასე ვთქვათ, წმინდა გეოპოლიტიკურ გააზრებებთან და ინტეგრირებადი იქნება სხვა კონტექსტის სივრცეში.

ტერმინს „გეოპოლიტიკა“ სახელმწიფოს თეორიის შვედ სპეციალისტს რუდოლფ ჩელენგს უნდა უქმადლოდეთ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იგი არ შეიძლება გეოპოლიტიკური მიდგომის სულის-ჩამდგმელად ჩაითვალოს. უკანასკნელს სათავეებთან, გარკვეული

აზრით, ისეთი ცნობილი სახელები მოიაზრება, როგორიცაა: პერო-დოტე, პიპერკუატე, არისტოტელე, პლატონი, პოლიბიუსი, ციცერონი და სტრაბონი. და მათც, ანტიკური აზროვნება შორის იდგა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ფაქტორთა ურთიერთმიმართების ისეთი სისტემური განხილვისა და აქცენტირებისაგან, რაც „წმინდა“ გეო-სისტემური განხილვისა და აქცენტირებისაგან, რაც „წმინდა“ გეო-პოლიტიკური მიღვიმის აუცილებელი ატრიბუტია. ამ მხრივ უფრო მეტი მიზანდასახულობა შემდეგი ეპოქების ნიშანია. სწორედ ამით გამოირჩევან უან ბოდენი და შარლ ლუი მონტესკიე, რომელებმაც გამოირჩევან უან ბოდენი და შარლ ლუი მონტესკიე, რომელებმაც ახალ დროში ერთერთმა პირებულებმა მოჰკიდეს ხელი აღნიშნული მიმართების დესკრიფციას. ასეთი მოაზროვნების რიცხვში შეგვიძლია მოვიხსენით: ი. გ. პერდერი, ი. კანტი, გ. პ. ფრ. პეგელი, ბოკლი, ო. კონტი, კუზნი, რენნი, ფ. ლე პლე, ა. ლე ტურევილი და ლემოლენი. არაფერს ვამბობთ აღექსანდრ ფონ ჰუბლოლტსა და კარლ რიტერზე (რომელმაც გლობალური სივრცის იურაჯიულ-რეგიონული დაყოფა შემოიტანა).

არანაკლებ შთამბეჭდავია — და არა მხოლოდ ექსტენსიური თვალ-სახრისით — საკუთრივ გეოპოლიტიკურსებისგან შედგნილი ჩამონათვალი, იც: პელორდ მაკინდერი, ფრიდრიხ რატცელი, კარლ ჰაუსპეფერი, კარლ შმიტი, ა. თ. მექენი, დ. უ. მაინხნაი, უ. კირკი, ს. ბ. კონი, კ. სანტორო, უან პერველუსკო, ალენ დე ბენუა, უან ტირიარი, იორდის კანტორო, სან პერველუსკო, საკიმენი, უერგრივი, კოლინ გრეი, რობერტ სტოკ-ფონ ლოხაუზნი, საკიმენი, უერგრივი, კოლინ გრეი, რობერტ სტოკ-ფონ ლოხაუზნი, საკიმენი, უერგრივი, კოლინ გრეი, რობერტ სტოკ-ფონ კონცეული კონცეულის განხილვა, კუროდ, გეოპოლიტიკური რომ ცალკეული კონცეულის განხილვა, კუროდ, გეოპოლიტიკური მიღვიმის ძირითადი ელემენტების გამოვლენის მიზნით — საკიმოდ მიღვიმის ძირითადი ელემენტების გამოვლენის მიზნით — საკიმოდ მრავლისმიმცველი საქმიანობაა, რომელსაც წინამდებარე გამოკლეული გასთან ძალიან ცოტა აქვს საერთო, და, ამ მხრივ არც სკოლებზე გასთან ძალიან ცოტა აქვს საერთო, და, ამ მხრივ არც სკოლებზე გეომანული, ფრანგული, ამერიკული, რუსული) ორიენტირება დარჩებოდა უმატიზებულ პრობლემაზე იორენტირებული კვლევის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ აქცენტს გეოპოლიტიკური აზროვნების უნივერსალურ მახასიათებლურ ბზე გადავიტანთ, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს საილუსტრაციო ნიმუშების მოშვერების შესაძლებლობასაც.

მაშასადამე, დასაღვენია თუ რა არის გეოპოლიტიკური უნივერსალივბი, ე. ი. როგორია გეოპოლიტიკურ დოქტრინათა ზოგადშინაარსოლივი, ე. ი. როგორია გეოპოლიტიკურ დოქტრინათა ზოგადშინაარსოლივი კუნტები? ამ კითხვაზე პასუხს შემდეგი პუნქტების სახით წარმოვადგენთ:

— ადამიანი Homo-spetio-ა, ე. ი. არსება, რომლისთვისაც მისი

არსებობის წესის თვალსაზრისით სივრცით კონტექსტი არათუ მეორეხარისხოვან, არამედ ფუნდამენტურ კონტექსტად გვევლინება (ამასთან დაკავშირებით შევვიძლია გავიხსენოთ ფ. რატცელის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითც ტერიტორია უძრავოდ სახელმწიფოს ძალის ერთ-ერთი ატრიბუტი კა არ არის, არამედ თვალი პოლიტიკური ძალაა, ან კიდევ კ. შმიტის Grossraum-ი და კ. ჰაუსცერის Lebensraum-ი); ისტორიული სივრცე ხასიათდება არა მხოლოდ გვიმეტრიული ან ბუნებრივ-გეოგრაფიული თვისებებით და კანონმომიერებებით, არამედ, აგრეთვე „აღამიანური“ ანუ „ანთროპოლოგიური პარამეტრებითაც, რომლებიც მისი ისტორიულ-ფუნქციონალური განსაზღვრულობებია (ამგვარი მიღვომის საილუსტრაციოდ შევვიძლია გავიხსენოთ რ. სტოკერის გეოისტორიის ცნება ან დ. მაინიგის „ზრი იმის შესახებ, რომ გეოპოლიტიკაში „მოსახლეობისა და სახელმწიფოს ფუნქციონალური ორიგინტაციები და არა მხოლოდ ტერიტორიის ხმელეთსა და ზღვასთან წმინდა გეოგრაფიული მიმართები უნდა გათვალისწინოს“);

— გლობალური ისტორიული სივრცე პეტეროგენული ბუნების სტრუქტურაა და განსხვავებული ისტორიულ-ფუნქციონალური პარამეტრების მქონე სივრცით ერთულების ერთიანობას წარმოადგენს, რომლებიც, როგორც სხვადასხვა აქტორის დისლოკაციისა და აქტიურობის სივრცეები ერთმანეთთან გარკვეულ გეოპოლიტიკურ მიმართებაში მოიაზრება;

— უზოგადესი კლასიფიკაციით გლობალური ისტორიული სივრცე მეგა-სივრცით-ერთულებისაგან შემდგრარი ტოტალური მოქლებიც პოლარული ისტორიულ-ფუნქციონალური განსაზღვრულობის მქონე მეგა-ერთულების გვერდით მარგინალური სივრცით ერთულებიც გამოიყოფა (აღნიშნული გეოპოლიტიკური კონფიგურაცია სხვადასხვა დოქტრინაში სხვადასხვა შინაარსიბრივ და ტერმინოლოგიურ გამოხატულებას პოულობს. მაგალითად, მაკიდევრი გამოყოფს „ღერძულ რეგონს“ (Pivot area), რომელსაც მოვალეობით ფერგრივა „Heartland-ი“ უწოდა, — მიღ (Inner crescent) და გარე სარტყელს (Outer crescent), ხოლო სოღ კონი მას უკავშირებს საზღვაო და ეკონომიკულ გეოსტრატეგიულ არგალებსა და გამყოფ სარტყელს, რომელიც მათ შერის არსებული სამტოებელ სივრცა);

— აღნიშნული სივრცით არეალები, თავის მხრივ, უფრო მცირე სივრცით ერთულებისაგან შედგება და ა. შ. (ასე მაგალითად, ზემოთ აღნიშნული ს. კონის მიხევთ საზღვაო არეალი მოიცავს ინგლის-აშტრიკასა და კარიბის აუზს, საზღვაო ეკონომიკასა და მაღრიბს, სამხრეთ აშტრიკასა და ცენტრალურ აფრიკას, აგრეთვე კონტინენტისაგან მოშორე-

ბულ აზიას, ხოლო ევრაზიული კონტინენტური არგალი – რესეპტოს ჰართლენდსა და აღმოსავლეთ აზიას. უფრო ზოგადი კლასიფიკაციის მიხევთ, ე.წ. „დიდი სივრცეები“ შედგება რეგიონული და „Etat-Nation“-ისეული სივრცეებისაგან); ისტორიული სივრცე, როგორც აქტორთა „დისლოკაციის“ და აქტიურობის ასახული, იყოფა აგრეთვე, „საკუთარ“ და „სხვის“ სივრცით ერთულებად (ამასთან, დაყოფა უკანიციონირებს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ დონეზეც);

– „საკუთარი“ და „სხვის“ სივრცითი პარამეტრები ერთ-ერთი ფუნდამენტური (გეოპოლიტიკური) იდენტიფიკაციონურია, რომლებიც აქტორთა ისტორიულ დისპარაზიციასა და აქტიურობას განსაზღვრავს;

– არსებობს გლობალური და ლოკალური გეოპოლიტიკური იდენტიფიკაციები, რის საფუძველზეც აქტორთა სხვადასხვა „დონის“ ჯგუფი გამოიყოფა (მაგალითად, გლობალურ დონეზე – თალასოკრატიულ და ოკლუროკრატიულ აქტორთა ჯგუფები, ზღვისა და კონტინენტის ხალხები, საზღვაო ცივილიზაცია და კონტინენტური ცივილიზაცია. აგრეთვე ე.წ. მარგინალური ჯგუფი მისთვის დამახასიათებელი თაღასოკრატიული და ოკლუროკრატიული „მიდრეკილებებით“);

– როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ დონეზე გამოყოფილი ოპერიციური ჯგუფები და მათში შემავალი აქტორები, რომლებიც შესაბამისი სივრცითი პარამეტრებით ხასიათდებიან და ერთმანეთთან გარეულ გეოპოლიტიკურ მიმართებაში იმყოფებიან (კურძო, პოლარული ურთიერთმიმართებით ხასიათდებიან საზღვაო და კონტინენტური ცივილიზაცია, ზღვისა და კონტინენტის ხალხები, „ბეჭედოთი“ და „ლეგიათანი“, თაღასოკრატიული აქტორები და ოკლუროკრატიული აქტორები. რაც შეუხება არაპოლარულ მიმართებას, იგი, როგორც წესი, ერთნაირი გეოპოლიტიკური განსაზღვრების მქონე აქტორთა „პრეროგატივაა“);

– მსოფლიო ისტორია, უფრო სწორად, მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური ისტორია გეოპოლიტიკური ძალებისა და მათ შორის მიმართებების ისტორიაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გეოპოლიტიკური რეალობის ცვალებადობის ისეთი პროცესია, რომლის ამპლიტუდაც გეოპოლიტიკური ბალანსიდან ამა თუ იმ ძალის გეოპოლიტიკურ ჰეგემონობამდე მერყეობს (ამასთან, როგორც ესა თუ ის გეოპოლიტიკოსი მიიჩნევს, აღნიშნული „დუალიზმი“ ხშირად ლოკალიზებულია და სხვადახვა ზონაში სხვადახვა ინტენსივობა და ფორმები ახასიათებს. მის კონკრეტულ ისტორიულ გამოხატულებებს წარმოადგენდა დაპირისპირები ათენსა და სპარტას, კართა-გენსა და რომს, აგრეთვე, ერთი მხრივ, ინგლისსა და, მეორე მხრივ,

ავსტრია-უნგრეთის იმპერიას, გერმანიასა და რუსეთს შორის. რომ არაფერი ვთქვათ „ცივ ომზე“ ნატო-სა და ვარშავის ბლოკის სახით არსებული პოლარული (ცენტრებით).

წარმოდგენილი პუნქტები, კიდევ ერთხელ გავიმორებთ, გეოპოლიტიკური მიღებობისათვის დამახასიათებელი ზოგადშინარსობრივი ელემენტების ჩამონათვალია. ასტრაქტული ბუნების გამო ისინი, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავენ ამა თუ იმ დოქტრინის კონკრეტულ შინაარსს. მაგრამ სამაგიეროდ ზუსტ წარმოდგენას გვიშნიან საერთოდ გეოპოლიტიკური მიღებობისათვის ნიშანდობლივ უნივერსალურ მახასიათებლებზე, რაც სავსებით საქმარისია მისი, ე. ი. აღნიშნული მიღებობის სპეციულიკაში გასარკვევად და შესაფასებლად. მანც რა შეიძლება ითქვას უფრო კონკრეტულად ამასთან დაკავშირებით? აღბათ, საჭიროა თვიდანვე გაესვას ხაზი საერთოდ გეოპოლიტიკური მიღებობისათვის აუცილებელ ელემენტს – რედუქციონიზმს, რომელიც გეოგრაფიული დეტერმინანტის გაბოლოუტურებაში მდგომარეობს. აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ ცალკეულ დოქტრინებში ფიქსირდება რადიკალიზმის „შერბილებისა“ და გეოგრაფიულ დეტერმინანტთან ზოგიერთი სხვა დეტერმინანტის, „გათანაბეჭორების“ ცდა, მაგრამ, მოუხდევად ამისა, საბოლოო ჯამში, ვერც ამ შემთხვევებში ვიღებთ პრინციპულად განსხვავებულ შედეგს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერც ისინი სცდებიან ზემოთ მითითებული რედუქციონიზმის საზღვრებს. ამ ფონზე აუცილებელია აღნიშნოს, რომ ჩვენი პოზიცია კიდევ უფრო მრავლისმომცველ რევიზიას ითვალისწინებს, რაც გეოგრაფიული ფაქტორისათვის ფუნდამენტური დეტერმინანტის სტატუსის „ჩამორთმევასა“ და ამასთან დაკავშირებული კონექტების ვითარებაში მეტანაში მდგომარეობს. ცხადია, საკითხის ასე ლი კონექტების შეტანაში მდგომარეობს. ცხადია, საკითხის ასე გადაწყვეტის ვითარებაში ე. წ. კლასიკური გეოპოლიტიკური მიღებან „არაფერი“ რჩება. მეტიც, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი – ასეთ ვითარებაში საერთოდ აქვს კი აზრი გეოპოლიტიკურ მიღეობაზე საუბარს? რა თქმა უნდა, თვისთვად გეოპოლიტიკური მიღება პანაცეა არ არის. საფუძველს მოკლებულია ის აზრიც, რომ მისი უარყოფა გამოუვალი თეორიული კრიზისის ნიშანია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მისი ისეთი „სრულფასოვანი“ კონკურენტის გახსნება, როგორიცაა ძალით ძალასის თუორია. ამიტომ ზემოთ ნახსენები რევიზის ცდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც კლასიკური გეოპოლიტიკური ტრადიციის მოდერნიზრებისა და გადარჩენის მცდელობა. გადაჭრით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს უძიდო წამოწყება იქნებოდა, რომელიც, ჩვენი აზრით,

შეუთავსებელია თუორიული კვლევის თანამედროვე სტანდარტებზოდან. ამ მხრივ, ჩვენი პოზიცია საკმაოდ ჰგავს ფრანგი მკვლევრის ივა ლაკატოსის თვალსაზრისს (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმავე მნიშვნელობით იგი შევვეძლო მიშელ კორექტანის ან პოლ-მარი დე ლა გორსის თვალსაზრისისთვისაც შეგვედარებანა). ამიტომ აქ განვითარებული მსჯელობის ფონზე საჭიროა დაისვას საკითხი – კონკრეტულად რას ნიშნავს ჩვენთვის გვოპოლიტიკური მიღება? რას ითვალისწინებს იგი? ამ კითხვაზე პასუხი შეძლევ სახეს მიიღებს: გვოპოლიტიკური მიღებამა თავის თავში გულისხმობს გლობალური პოლიტიკური რეალობის ანალიზის იმ ასპექტს, რომელიც სივრცით ინდიკატორებზეა ორიენტირებული. ე. ი. სივრცე მის საზღვრებში ადამიანის ისტორიული ყოფიერების ერთ-ერთ და არა ერთადერთ კონტექსტუალურ განსაზღვრულობად წარმოგვიღება, რომელიც დასკრიფციის არაბსოლუტური ელემენტის სახეს ატარებს. აქედან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ სხვა ინტერპრეტაციის იღებს ტრადიციული გვოპოლიტიკური ცნებები და პრინციპები, ხოლო მრავალი მათგანი ელემენტარულად კარგავს ძალას ანუ აღარ არის გათვალისწინებული ჩვენთვის მისაღები გვოპოლიტიკური მიღებობის საზღვრებში. ასე მაგალითად, თუორიულად საფეხვად გამოყენება სივრცით განსაზღვრულობის საფუძველზე დამყარებული გეოპოლიტიკური ბიპოლარიზმისა და აქტორების იმთავითვე დადგენილი, სტატიკური გეოპოლიტიკური ინტერესების შესახებ თუშისი. ამ სკეუსისის გამოთქმისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ არაკონსტრუირებული ისტორიული სიტორიული სიდიდეების არსებობას, რომელიც, ასე ვთქვათ, ბუნებითი რეალობების სახით მონაწილეობებს ადამიანის ისტორიულ და, კერძოდ, პილიტიკურ ყოფაში. მაგრამ ვერ ერთი, თუორიულად გაუმართოლებლად მიგაჩნია მათი როლის პიპერბოლიზება და, გარდა ამისა, ცალსახად ვადგავართ იმ აზრს, რომ ასეთ პოზიციას სრულიადაც არ მიყვავართ სივრცის, როგორც კონტექსტუალური განსაზღვრულობის, გააბსოლიტურებამდე. თუ ავიღებთ საკუთრივ გეოპოლიტიკურ ბიპოლარიზმს, რომელსაც „საპატიო“ ადგილი უჭირავს კლასიკურ გეოპოლიტიკურ დოქტრინებში, მაშინ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მიღებობის საზღვრებში, მართალია, კვლავაც რეალური ვითარებაა, მაგრამ ისეთი, რომელიც არა „წმინდა“ სივრცითად, არამედ სხვა ფაქტორებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური დოქტრინებისაგან გამსხვავებით, მისი სახით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გლობალურისტორიული ხდომილება წარმოგვიღება (აქედან გამომვალი ყვე-

ლა შედეგით). სხვა სიტყვებით – ისეთი ხდომილება, რომელიც მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკური ისტორიის დაქრონულ ჭრილში თავს იჩენს არა როგორც პარადიგმატული დისპოზიცია, არამედ ტექპორალურად შემოსაზღვრული დაპირისპირება, რომელსაც არაუგრი აქეს საერთო ე.წ. კლასიკური გეოპოლიტიკისათვის ნიშანდობლივ მეტაფოზიკური განაზრებებთან. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თვალსაზრისი პრინციპულად განსხვავდება კლასიკური გეოპოლიტიკური შეხედულებებისაგან. შესაბამისად, ჩვენთვის მიუღებელია სივრცის „წმინდა“ გეოპოლიტიკური სტრატიგიკაციაც, რომელიც რედუქციონისტული მიღებომით არის ნასაზრდოები, რადგან სხვა თეორიულად საგულისხმო ნაკლოვნებებთან ერთად აისტორიულობითაც არის აღბეჭდილი. თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავისთავად სივრცის პოლიტიკურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით სტრატიგიკაცის ოდეს სრულიად მისაღებ პრინციპად მივიჩნევთ. ჩვენი აზრით, უკანასკნელი არ გულისხმობს მაინცადამანც თეორიული აქცენტების ისეთ გადანაწილებას როგორც ეს ე.წ. გეოპოლიტიკურ თეორიებშია მოცუმული (რასაც მსოფლიო-ისტორიული სივრცის აისტორიულ-სტრატიკურ რეგიონალიზაციამდე მიყვავრთ), არამედ ამასაგან ფუნდამენტურად განსხვავებულ მიღვომასაც უშევბს, რომლის არსეც შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს. კერძოდ, დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანი არ არის *Homo-spatio*, ვისი ყოფილებებაც, უპირველეს ყოვლისა, სივრცითი რელიებითა განსაზღვრული, არამედ ასე ვთქვათ, ისტორიული არსება, რომელიც სხვადასხვა, მათ შორის სპეციალიკურ ფაქტორთა მოელი სპექტრითა დეტერმინირებული. ასეთ ვითარებაში კი თეორიულად უსაზრისო და გაუმრთდებელია ადამიანისა და მსოფლიო-ისტორიული სივრცის კლასიკური გეოპოლიტიკური ტიპოლოგიზაციის ნებისმიერი ვერსია, რომელიც, საბოლოო ჯამში, თაღასოენასტიულ და თელუროკრატიულ ტიპებზეა ორიენტირებული. მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო-ისტორიული პრიცესის ჩვენეულ პანორამაში აღვიდი არ რჩება ამგვარი პარადიგმატული ტიპებისათვის (არც სივრცით და არც ანთროპოლოგიური კროუზების დიფერენცირების აზრით), მაგრამ, ამასთან, მისი არა აბსოლუტური, არამედ რედუქციონისტული დიფერენციის უარყოფის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიღვომის საზღვრებში ერთგვარი ფუნდამენტური კორექტირების პირობით მაინც იჩენს თავს ანალოგიური კლასიფიკაცია, რომელსაც (და ამას ხაზი უნდა გაესვას) პრინციპულად განსხვავებული ზოგადთეორიული შინაარსი აქვს. უკანასკნე-

ლის სპეციფიკის მკაფიოდ დასახასიათგბლად, უპირველეს ყოვლისა, მის არარეუქციონისტულ ბუნებაზე უნდა მივუთითოთ, რაც, თავის მხრივ, ისეთ დაკონკრეტებას გულისხმობს, რასაც აյ ამომწურავად ვერ შევეხებით. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მომენტების აქცენტირებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ ივი უშებბს ტიპოლოგიურად განსხვავდებული ცივილიზაციებისა და აქტორების ისტორიული ტიპების არსებობას. ამ აზრით, მისაღებია თუნდაც კლასიკური გეოპოლიტიკური მიღებისათვის ჩვეული ტერმინოლოგიაც. ოღონდ ამ შენიშვნიდან გამომდინარე, კონცეპტუალურ-შინაარსობრივი მოდიფიკაციით, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით. აქედან გამომდინარე კი, იმაგვე სივრცითი ერთეულები ისტორიული კონსტრუქციების საზრისს იღებს და აღარა აქვთ კონსტანტური ბუნება.

რასაკვირველია, გეოგრაფია გარევეულ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე, მაგრამ პოლიტიკაზე, უპირველეს ყოვლისა, თვით პოლიტიკაზემოქმედის. ამ შემთხვევაში საჭიროა არა სუბსტანციონალისტური, არამედ ფუნქციონალური კატეგორიებით თპერიტება. ამ თა მიღვომას შორის ილუსტრირება საქმაოდ აღვილია: ატლანტიკის ოკეანე ოდითგანვე გამოყიფდა ინგლისსა და აშერიკას, მაგრამ მისი ფუნქციონალური დატვირთვა სხვადასხვა ეპოქაში სრულიად სხვადასხვა იყო. ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომის დროს ატლანტიკა იყო სივრცე, სადაც ინგლისელებს უნდა გადაესროლათ ძალები აჯანყებული კოლონისტების წინააღმდეგ, მაგრამ პირველი და ძერიე მსოფლიო ომების მსვლელობისას ატლანტიკა იყო სივრცე, სადაც ყოფილი კოლონისტების შთამომავლებს ძალები უნდა გადაესროლათ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რათა გადაერჩინათ ყოფილი მეტროპოლია, რომელსაც ოდესიაც ესოდენ წარმატებით გამოეყვნენ. დრომა სიმბოლიზმია გენერალ პერშინგის სიტყვებში „ჩვენ მოვერდით ლაფაუტ“ (პერშინგმა ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როდესაც ამერიკული საექსედიციო კორსეს საფრანგეთში გადასხდა, იმ დროს, როდესაც რუსეთი ომიდან გამოვიდა). ეს სიტყვები წარმოთქმული იყო როგორც ფრანგების, ისე ინგლისელების გასამხნევლობად, ეს თაი ძალა კი, როგორც ნებისმიერმა მოსწავლემ იცის, ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში სრულიად სხვადასხვა პოზიციაზე იდგა.

ერთი სიტყვით, კლასიკური გეოპოლიტიკის მომხრეები ამტკიცებენ რომ „სად“ მთლიანად, ცალისახად და შეუცემადად განსაზღვრავს „როდის“ და „როგორის“ კატეგორიებს. არადა რეალური პოლიტიკა ამ სამი სისტემის ელემენტების, ქვეყლებურნტებისა და მიმართუბებების

ერთობაა. ამ თვალსაზრისით, კლასიკური გეოპოლიტიკა არაფრით ერთიანი ხავავდება მარქსიზმისაგან, რომელსაც ყველაფერი ექონომიკურ ინტერესზე დაჰყავს და ფრთიდიშმისაგან, რომელიც ყველაფრის სათავეს ჩვენს სექტუალურ ინსტინქტებში ეძღვს. გეოპოლიტიკის მიხედვით, გეოგრაფია თავისთვის პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შობობს განსხვავება პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის. თვით იმ დონეზეც კი, რომელზეც მარქსიზმი მიჯნავდა პოლიტიკურობისა და ეკონომიკურ პოლიტიკას. შემთხვევით სრულებითაც არ იყო ის, რომ გეოპოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავრი ნაშრომს „პოლიტიკური გეოგრაფია“ ერქვა.

პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა ანუ სინქრონია და დიაქრონია. იმისთვის, რათა უფრო პრიდეტერულად გავაიზროთ პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის ცნებების მიმართება, კარგი იქნება ლინგვისტიკის სფეროს მივმართოთ. ენა ორი გზით შეიძლება იქნეს შესწავლითი – სინქრონულითა და დიაქრონულით. პირველი გულისხმობს იმის აღწერას, თუ რა ხასიათი აქვს ამა თუ იმ ენას დროის კონკრეტულ მონაკვეთში. ასეთი კვლევა შეიძლება მოყლ ენას მოიცავდეს(მაგალითად, იმას თუ როგორი იყო ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა XIX საუკუნები). თუმცა შეიძლება ენრო ლოკალური ამოცანებით იზრდებოდეს, მაგალითად, როგორია XVIII საუკუნეში ბრუნებათა სისტემა. ეს არსებოთ არ არის, მთავარია მიღებობა, როდესაც ჩვენ ენას თთქმის დროში ვიყენებთ და მთავარია მიღებობა, როდესაც ჩვენ ენას თთქმის დროში ვიყენებთ და ისე აღვწერთ. დიაქრონია პირიქით, გულისხმობს იმის შესწავლას თუ როგორ ტრანსფორმირდება ენა დროში და რა ფაქტორები ახდენენ მასზე ზეგავლენას. მაგალითად, თუ სინქრონული მიღებობა გულისხმობის იმის აღწერას, თუ როგორი იყო XVIII და XIX საუკუნეების ქართული ლექსიკა(სიტყვათმარავი), დიაქრონია ითვალისწინებს იმის შესწავლას, თუ როგორ ჩაენაცვლა ერთი მეორეს და რა გავლენა მოახდინა ენის ამგვარ ტრანსფორმაციებზე ზოგადად ფაქტმა, მაგალით ად, რუსეთის მხრიდან პირველმა ანექსიამ. ჩვენთვის პოლიტიკური ად, რუსეთის ნიშანებს სინქრონიას, პოლიტიკური სუბიექტების გეოგრაფიის ნიშანებს სინქრონიას, პოლიტიკური სუბიექტების გეოგრაფიის სურათის აღწერას დროის მოცემულ მონაკვეთში, ხოლო გეოპოლიტიკის ცნება გულისხმობს პოლიტიკური ტრანსფორმაციების შესწავლას ყველა მისი პარამეტრით და მაზეზით. გეოსტრატეგია ჩვენთვის მიღებობის ივივე წესია, რაც გეოპოლიტიკური, იმ განსხვავებით, რომ მასში აქცენტი კეთდება პოლიტიკური და სამხედრო რეალიტების გადაკვეთაზე როგორც დროით, ისე სივრცით და ფუნქციონალური მახასიათებლების თვალსაზრისით.

უკანონობი

საყოველთაოდ მოღებული აზრის თანახმად, ომი არის პოლიტიკის გაგრძელება არაპოლიტიკური (ძალისმიერი) საშუალებებით, რაც შეიძლება სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს, კერძოდ, სამხედრო ძალის უშუალო გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან მისი დემონსტრირებით. ცხადია, ეს პოლიტიკის ზოგიერთ სუბიექტს ნაკლებად ძალუშს, ზოგიერთს – უფრო მეტად. ამ „მეტობათ“ და „ნაკლებობათ“ ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც გეოსტრატეგიული ბალანსი ეწოდება. სხვაგავარად, გეოსტრატეგიული ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმული სუბიექტების უნართა კრიობლიობაა სამხედრო ძალის გამოყენებით, გამოყენების მუქარით ან მისი დემონსტრირებით მიაღწიოს სასურველ პოლიტიკურ მიზანს.

დასახელებული დეფინაცია ძალაშია მაშინაც, როდესაც ამგვარ უნართა ერთობლობას მოჰყოლი დედამიწის მასშტაბით განვიხილავთ და მაშინაც, როდესაც დედამიწის ერთ-ერთ რეგიონს ვვხებით. რამდენადაც დასახელებული ბალანსის თავისებურებას საერთაშორისო ცხოვრების სუბიექტების პოლიტიკური მიზნები განსაზღვრავთ, გეოსტრატეგიული ბალანსის სპეციფიკის დადგენა შეუძლებელია პოლიტიკის წინაშე დასახული მიზნების გაუთვალისწინებლად. მეტიც, გეოსტრატეგიული ბალანსის სრული სურათის შესაქმნილად სამხედრო ხასიათის პარამეტრები აუცილებლად უნდა განვიხილოთ კომპლექსურად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურურ, რელიგიურ და სხვა მსგავს ფაქტორებთან კავშირში.

როგორც აღნიშვნეთ, გეოსტრატეგიულ ბალანსს განსაზღვრავს ის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს ერთნაირი უნარი არა აქვს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა განსაზღვრავს ამ უნარს. ცნობილი თეორეტიკოსი პ. მორგვნიაუ გამოყოფს რვა მუდმივას, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს ადგილს გეოსტრატეგიულ ბალანსში (და უფრო ფართოდაც, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში). ამ ფაქტორთაგან ზოგიერთი წმინდა ექსტრემისური ხასიათისაა, ე. ი. ექვემდებრებრვბა მათებატიკის ენაზე აღწერასა და გამოხატვას, სხვები კი ინტენსიური ბუნებისანი არიან და მათი მათებატიკური გამოხატვა ძალიან ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია. ეს ფაქტორებია:

1. გეოგრაფიული ფაქტორი. გეოგრაფიის სპეციფიკა დაღს ას-
ვამს პილიტიკურ სისტემას და, საერთოდ, გავლენას ახდენს მის
განვითარებაზე. როგორც ინგლისის ავიაციის მთავარი ძარშალი,
ცნობილი სამხედრო ოფორტიკებისა და მისიშვილია: „შეიძლება გაქრის
ერთი სახელმწიფო და განჩნდეს მეორე, მაგრამ გეოგრაფიული გარე-
მო უკვლევი რჩება. დრო და სივრცე კვლავაც განსაზღვრავს სტრატე-
გიულ ღვევებს და მათი განხორციელების საშუალებებს მიწაზე, წყალსა
თუ ჰაერში. “

მაგალითად, აღპების გეოგრაფია ისეთია, რომ ძალიან ართელებს
იტალიიდან შეჭრას ცენტრალურ ეკროპაში, მაშინ, როდესაც იმავე
გეოგრაფიული ფაქტორის გამო გაცილებით აღიღლია ცენტრალური
ეკროპიდან იტალიაში შეტწევა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად
განსაზღვრა ის, რომ იტალიაზე კონტროლს მისმა ჩრდილოელმა
მეზობლებმა მიაღწიეს, რამაც ძლიერ გაართულა იტალიელი ერის
კონსლოიდაცია. ამავე სახის მაგალითი საქართველოს გეოგრაფიი-
დანაც შეიძლება მოვიყვანოთ”, კერძოდ, ლიხის ქედის არსებობა,
რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს ისტო-
რიული განვითარება. ამასთან, მორგენთაუ სამართლიანად აღნიშნავს,
რომ არ უნდა მოხდეს გეოგრაფიული ფაქტორის ამსოდებულიშვილია.
არსებითია ის, თუ როგორაა გამოყენებული ეს ძღვანელია და როგო-
რია გეოგრაფიული საკხოვრისის ათვისების წესი. ამასთან, გეოგრაფიუ-
ლი განლაგების მნიშვნელობამ შეიძლება ხრევიად იკვალოს სახე
გარკვეულ არაგეოგრაფიულ ფაქტორის გამო. მაგალითად, გეოგრაფიული
ფაქტია, რომ კერძოსას და ამერიკას ერთმანეთისაგან ატლანტის
ოკეანე ყოვს, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ კითრებაში ამ ფაქტის
სხვადასხვა გეოსტრატეგიული ინტერპრეტაცია პქრნდა(იხ. რაც ამასთან
დაკავშირებით ითქვა ზემოთ). გეოსტრატეგიული ბალანსისათვის გე-
ოგრაფიული მდგრადრეობა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთად-
ერთი და გადამწყვეტი ფაქტორია.

**2. მოსახლეობა – გეოსტრატეგიულ ბალანსში ხელსაყრელი პო-
ზიციის დაკავებისათვის საჭიროა არმა. ამასთან, მოსახლეობის დროს
არმა ბევრად აღემატება მშვიდობიანობის პერიოდში ქვეყანაში არსე-
ბულ შეკარაღებულ ძალებს. ამგვარი არმიისათვის აუკლებელია მოსახ-
ლეობის გარკვეული რაოდენობის მობილიზება, თუმცა, რასაკვირვე-
ლია, შეეძლებელია გეოსტრატეგიული ძალა მხოლოდ მოსახლეობის
რიცხოვნობაზე დაფიქვანოთ (მაშინ ამერიკის წილი მსოფლიო გეოს-
ტრატეგიულ ბალანსში ინდოეთის წილზე უფრო დაბალი იქნება, ასაფერი
რომ არ ვთქვით ისრაელისა და არაბული სახელმწიფოს მოსახლეობის**

შეფარდებაზე), მაგრამ მოსახლეობის რიცხვი მაინც მნიშვნელოვნად განისაზღვრავს სახელმწიფოს წილს გვისტრატეგიულ ბალანსში. ამასთან, შეხდევებისაში მისაღებია არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ მისი ეთნიკური და დემოგრაფიული სტრუქტურაც.

3. სამხედრო მხარები განისაზღვრება შეიარაღებული ძალების რაოდენობით და ხარისხით, სამხედრო ტექნიკის რაოდენობით და თვისებებით, სამხედრო თეორიული აზრის განვითარების დონით, ოფიციერთა და რიგითი შემადგენლობის მომზადების ხარისხით და სხვა შესვასი პარამეტრებით. ამასთან, არ უნდა გადავაგდასოთ სამხედრო ძალის მნიშვნელობა და არ მივიჩნიოთ თითქოს: „სამხედრო ძალა მშვიდობიანობის დროს თავისითავად წარმოადგენს პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს“ (რ. ოსკული). სამხედრო ძალა ყოველთვის უნდა განიხილებოდეს კონკრეტულად სხვა ფაქტორებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მორგენისუ კატეგორიულად იღლაშერებს „მიღიტარისტული“ კონცეფციის წინააღმდეგ, რომელთა თანახმად „ერის ძალა თუ აუცილებლად არა, პირველ რიგში მაინც ემყარება მის სამხედრო ძალას, გამოხატულს, უპირველეს ჭოვლისა, რაოდენობრივ მაჩვენებლებში“.

4. სასარგებლო წილისეული და საქოთოდ ბუნებრივი რესურსები.

ის სახელმწიფოები, რომელთაც საქმაოდ გააჩნიათ ამგვარი რესურსები, არ საჭიროებენ ეროვნული ენერგიის ნაწილის გადართვას საჭირო ნედლეულის საზღვარგარეთ საძიებლად. ამიტომ ნედლეულით უზრუნველყოფილი ქვეყნები უფრო ეფექტუანად ახერხებენ თავიანთი ეროვნული მიწების მიღწევას მოიანობის პირობებში (გაიხსენოთ იაპონიისა და გერმანიის სირთულეები ნედლეულით მომარაგებისას II მსოფლიო ომის დროს).

5. სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალი. სასარგებლო წილისეული და ბუნებრივი რესურსები ვერ გახდება გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორი, თუ იგი სათანადო არ არის ათვისებული, არაფერი რომ არ ითქვას, სამრეწველო და ტექნოლოგიური პოტენციალის მნიშვნელობაზე შეიარაღებული ძალებისათვის.

6. ეროვნული მორალი, ანუ ის თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა ხელისუფლების პოლიტიკას და, საქოთოდ, ნდობის რა ხარისხი არსებობს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

7. ხელისუფლების ხარისხი – ეჭვისგარეშეა, რომ დაახლოებით ერთი და იმავე პოტენციალის ქვეშ სახელმწიფოთაგან ერთი უკეთესად ახერხებენ თავიანთი ინტერესების რეალიზაციას, ვიდრე სხვები. რეიგანის ადმინისტრაციის მატერიალური პოტენციალი თვისებრი-

ვად არაფრით აღემატებოდა კარტერის ადმინისტრაციის პოტენციალს. თუმცა ხელისუფლების ხარისხმა თავისი გაიტანა. თუ კარტერის დროს აშშ დამკირებული სახელმწიფო იყო, რეიგანის ეპოქაში მან „ცივ ომში“ გაიმარჯვა. ეს არ ნიშნავს, რომ გენიალურ ლიდერს ყველაფერი შეუძლია. მაგრამ იმაზე კი მიუთითებს, რომ ნებისმიერ, ობიექტურად უძლიერესი პარამეტრების მატარებელ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გამარჯვება, როდესაც სათანადო დონის ლიდერები ჰყავს. არაა არსებითი სტალინ-შუკოვ-შაპოშნიკოვზეა ღაბარაკი, თუ რეიგან-პერე-უაინბერგერზე.

8. დიპლომატიის ხარისხი – გელისხმობს, რომ ეროვნული ნდობით აფენიტურობა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს არსებული რესურსების მოპოლიზება ეროვნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, დიპლომატიის მაღალი დონე, აპრიორი შეიცავს პრევენტულ ქმედებებს, როდესაც დიპლომატია არა მხოლოდ უბრალოდ რეაგირებს მიზინ-არე პროცესებზე, არამედ წინ უსწრებს მოვლენებს, თვლის შესაძლო კრიზისებს და შეიმუშავებს მათზე რეაგირების საშუალებებს.

ძირითადი ცნობები:

1. გეოპოლიტიკის ცნება.
2. პაროლენდის ცნება და დედამიწის პოლიტიკურ-გეოგრაფიული სტრუქტურა კლასიფირი გეოპოლიტიკის მიხედვით.
3. მიმართება გეოპოლიტიკას და პოლიტიკურ გეოგრაფიას შორის. გეოპოლიტიკის ორგანიზ გაგება.
4. ძალა ძალანსის ცნება. ძალა ძალანსის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.

პილებები:

1. ვის ექუთნის ტერმინი გეოპოლიტიკა?
2. ჩამოთვალეთ გეოპოლიტიკური სკოლის ძირითადი წარმომადგენლები.
3. რა არის კლასიფირი გეოპოლიტიკური სკოლის ძირითადი ნაკლოვანებები?
4. ჩამოთვალეთ ეროვნული ძალმოსილების განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები.

ლექცია 2.

„ორვი რმის“ პერიოდის გეოსტრატეგიული ვითარება და გეოპლიტიკური კონფიგურაცია

მეორე მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ უშუალ-ოდ ომის წინა პერიოდში როდია საძიებელი. მას ფესვები 1918-1921 წლის მოკლებებში, სახელდობრ, ვერსალის სისტემაში პქონდა გადგ-მული. მეორე მსოფლიო ომს გლობალურ-ისტორიული მნიშვნელო-ბის ცვლილებები მოჰყავა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდათ ის, რომ ევროპამ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრის ფუნ-ქცია დაკარგა. გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი ჰასო ფონ მან-ტოფელი ამასთან დაკავშირებით წერდა, „გაეხვივნენ რა ნაციონ-ალიზმის წინააღმდეგობრივი იდეების ქსელში, ევროპელი ხალხები ჩართულნი აღმოჩნდენ ძმათმკვლელ ომში, რომელთა დასრულე-ბაც მათვე კი არ მოუწიათ, არამედ ევროპისათვის უცხო სახელმწი-ფოებსა და კონტინენტებს. ორივე ევროპულ ომს, რომელებიც მსოფ-ლიო ომში გადაიზარდა, შედეგად მოჰყავა არა მხოლოდ დამარცხე-ბულებთაგან თავისი ხელმძღვანელი ფუნქციის დაკარგვა, არამედ ევ-როპიაც დაკარგა ის მისია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რომ ასრულებდა. ევროპა, რომლის კულტურა, ცივილიზაცია და ეკონომი-კა თავის სხივებს პუნდა დედამიწის ყველა კუნძულს, წარმოადგენდა მის ხელმძღვანელ და გამნაყოფილებელ ცენტრს, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული თავის დასასრულს მიუხლოვდა. მან დათმო თავისი პოზიციები.“ ევროპის სახელმწიფოთა გავლენის შესუსტებას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა სახელმწიფოების, სახელდობრ, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის გავლენის არნახული ზრდა მოჰყავა. აღრინდელი პოლიტიკური ცენტრიდან ევროპა ას თრ ძალას შორის ჭიდილის სარიგილები იქცა, იმ ჭიდილისა, რომელიც მსოფლიოშე გავლენის მოპოვებას ისახავდა მიზნად. ერთი სამხედრო თეორეტიკო-სი ევროპას აღარებდა ორ უზარმაზარ კონდესატორს შორის მო-თავსებულ სიტრცეს, რომელიც პოლუსთა მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ევროპაზე კონტროლი გლობალური გავლენის დამყარების აუცილებელ ეტაპად იქცა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპა და მთლიანად დასავლეთი არნახული საფრთხის წინაშე დადგა. რაც ცნობილმა

ესპანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა სალვადორ დე მადარიაგამ (ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივნის ჰავიერ სოლანას ბაბუამ) ასე გამოხატა: ევროპას მოტორიზებული ჩინგიზ-ხანი ემუქრება. მან დამოუკიდებლად ვეღარ მოახერხს იმ ფუნქციის შესრულება, ხალხთა დიდი გადასახლების შემდეგ რომ ასრულებდა — აღმოსავლეთიდან მომავალი საურთხის შეჩერება. ეს ფუნქცია ამერიკას დაკისრა. მას არ დასცალდა მეორე მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვებით დატებობა. მეტიც, მას მთელი თავისი ძალმოსილების კონცენტრაციას მოუწია, რათა წარმატებით გაერთვა თავი მის წინაშე დასმული ამოცანისათვის. აშშ-ს ზოგჯერ ლაბის სამხედრო მოქმედებათა დროისათვის დამახასიათებელი ძალების მოძილიზება უწევდა. რათა შეეკავებინა სსრკ-სგან მომავალი საურთხე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის როლის შესუსტების შედეგად და მის პარალელურად განხორციელდა ვეროპის სახელმწიფოთა კოლონიური იმპერიების დაშლაც: 50-იან წლებში — ბრიტანეთის, 60-იან წლებში — საფრანგეთის, ხოლო 70-იან წლებში — ესპანეთისა და პორტუგალიის. გამოივისუფლებული ქვეყნები აშშ-სა და სსრკ-ს შორის ბრძოლის ასპარეზად იქცნენ.

დაბოლოს, მეორე მსოფლიო ომის კიდევ ერთი შედეგი იყო აღმოსავლეთით გერმანელთა ასაწლოვანი კოლონიზაციის დასრულება. ისინი განდევნების იმ ტერიტორიებიდან, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ითვისებდნენ აღმოსავლეთ პრუსიიდან, სილეზიიდან, ბალტიისპირითიდან, სუდეტებიდან. კოლონიზატორული და იმპერიული მისწრაფებების ხანა ევროპისათვის დასრულდა, ისინი აღარ განსაზღვრავდნენ ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკას.

სამაგისტროდ გლობალურ პოლიტიკას განსაზღვრავდა დაპირისპირება თავისუფალ სამყაროსა და კომუნისტურ სისტემას შორის, რომელმაც იდეოლოგიური ბრძოლის ხსიათი მიიღო. ფილოსოფოსი ჰენრიკ დე მანი წერდა, რომ ეს დაპირისპირება იყო: „რელიგიური იმების მოდერნიზებული ფორმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რელიგიური დოგმატებისა და ერესების ნაცვლად სხვადასხვა მსოფლიშედველობებთან დაკავშირებულ „იზმებზე“ თუ „ანტიზმებზე“ ლაპარაკობდნენ“.

ამგვარი დაპირისპირება დაემთხვა ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც „ბირთვული ერის“ სახელითაც ცნობილი. ამ პრექტო კაცობრიობა დაუფლუ ენერგიის აქტივების არხახელ წყორის, რასაც შედეგად მოპყვა (პირველად კაცობრიობის ისტორიაში) იმგვარი იარაღის შექმნა, რომელსაც შეეძლო დედამიწა აღევავა პირის-

აგან მიწისა. ნიშანდობლივია გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერისი ნაშრომის სათაური „ატომური ბობბი და კაცობრიობის მომავალი“ (რომელიც განსხვავებით ფილოსოფიური სხვა ნამრაობებისაგან, სწრაფად ითარგმნა რუსულად, თუმცა იყი საგულდაგულოდ ინახებოდა „სპეცხარანებში“). ახალი ტექნიკური საშუალებები უდიდეს ზეგავლენას ახდენდა შეიარაღებული ბრძოლის ხერხებზე, ხოლო რაც შეეხება ბირთვულ იარაღს, მისი არა-პირდაპირი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე პირდაპირი გამოყენების ნებისმიერი იარაღის (ეს ვითარება ერთგვარი ინერციის ძალით დღესაც გრძელდება, რუსეთის, როგორც საერთაშორისო თანამეობრობის მეტ-ნაკლებად გავლენიანი წევრის სტატუსს მხოლოდ ბირთვული იარაღის არსებობა თუ უზრუნველყოფს). ტექნოლოგიურ რეკოლუციას დაემატა კომუნიკაციების (ამ სიტყვის უზოგადესი გავებით) თვისებრივად ახალი სისტემის შექმნა, რომელმაც მოელი დედამიწა მოიცვა და არნახულად გააიოლა შეიარაღებული ძალების გადასრულად დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

სსრ კავშირი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეყენებინა შექმნილი კოსარება თავისი ექსპანსიონისტური მიზნების რეალიზაციისათვის. თუ ქლაუზევიცი ამტკიცებდა, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება ძალისმიერი საშუალებებით, საჭიროა ხელისუფლების ძირითადი იღეა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: მშვიდობა არის ომის გავრძელება სხვა საშუალებებით. „ცივი ომი“ სწორედ ასეთ „მშვიდობა“ იყო, რომელიც პერიოდულად „მშვიდობისათვის ომის“ ხასიათს ატარებდა (განსაკუთრებით 80-იან წლებში).

ცნობილი ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი ფულერი ასე ახასიათებს „ცივი ომის“ სპეციურებას: „მართალია უარიყოფა, მაგრამ დღეს ომი, ისევე როგორც აქამდე, დიპლომატიური ომია და რამდენადაც საერთაშორისო საქმეებში შეუძლებელია არგუმენტების მოყვანა სუსტის პიზიციებიდან, ყოველი დავა პოტენციურად უნდა იყოს მხარდაჭერილი სამხედრო ძალით. მაგრამ დღესდღეობით დიპლომატიური ომი რიგ ძირულ ცვლილებას განიცდის. მისი ამოცანა აღარ არის სადაც საკითხების გადაჭრა მოღაპარაკებების გზით, არამედ ფარული ძირის გამოთხრა, რომელიც მოწინააღმდეგის მოსახლეობაში აგიტაციით გამოიხატება, აგიტაციით, რომელიც იმაზეა ვათვლილი, რომ მისი ჟემოქმედებით მოსახლეობა თავად დაამხობს საკუთარ მთავრობას. ესაა იმ დიპლომატიის არსი, რომელსაც „ცივ ომს“ უწოდებენ. ომი, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, იმდენად

ორმხრივად საშიშია, რომ მისი გამოყენება სახიფათოც ხდება. ომის უახლესი საშუალებების უზარმაზარი გამანადგურებელი ძალა იქცევა მუხრუჭად თავად ომისათვის. თუ აღამანებს სურთ გააგრძელონ თავიანთი დავა ისე, რომ არ შეექმნათ განადგურების რისკი, ისინი იძულებული იქნებიან დასჯერდნენ საბრძოლო მოქმედებათ ფსიქოლოგიურ თუატრს. და თუ კონცენტრირებული „ფსიქოლოგიური ომი“ დასავლეური ცივილიზაციისა და კულტურის მტრის წინააღმდეგ მიმდინარეობს ატომური ბომბისა და სხვა ჩვეულებრივი იარაღის საფარებებში, მაშინ ატომური იარაღი ნამდვილ სიკეთედ იქცევა. ასეთი საფარის ქვეშ ომი შეგიძლია გადაავადო, ხოლო მოგვინებით ის იმდენად არაპოპულარულად იქცევა, რომ მას აღარც მიმართავნ. ომი იდეების სფეროთი შემოიფარგლება“.

უკულერის მტკიცება უაღრესად საყურადღებოა. თუმცა, ცივი ომის მონაცილენი ერთმანეთს უპირისიპირდებოდნენ არა მხოლოდ იდეებით და ამ იდეებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი წყობით, ეკონომიკური სისტემით და ა.შ., არამედ კონსტრატეგიული თვალსაზრისითაც. სისრ კავშირი ტიპურ კონტინენტურ იმპერიას წარმოადგენდა, რომელიც განსხვავებით სხვა იმპერიათაგან (ინგლისი, საფრანგეთი, პოლანდია), შექმნილი იყო არა გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესთა რეალიზაციისათვის, არამედ სამშეღოლ-სტრატეგიული ექსპანსიისათვის. რუსეთის, შემდგომ სისრ კავშირის მიერ წარმოებული ომები, უპირატესად სახმელეთო ხასიათი ატარებდა (საინტერესოა, რომ რუსეთი სამარცხინოდ დამარცხდა ყირიმისა და რუსეთი-იაპონიის ომებში, ანუ კონფლიქტებში, რომლებიც არ ატარებდა კონტინენტურ ხასიათს და მსხვილი მასშტაბის ფლოოტების მოქმედებას მოითხოვდნენ). საზღვაო მოქმედებები სისრ კავშირისათვის არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მეორეხარისხოვანი იყო. საზღვაო გადაზიდვებს იმის წარმოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

სისრ კავშირისაგან განსხვავებით, აშშ ტიპური საზღვაო სახელმწიფო იყო იყო. რამდენადაც მის შეიარაღებულ ძალებს უპირატესად ზღვისიქით უწევდა მოქმედება, საზღვაო გადაზიდვებს ამერიკელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა პქონდა, ხოლო საბრძოლო მოქმედებისას ფლოოტს, ავიაციასა და სახმელეთო ჯარებს დაახლოებით თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მასირებული შურისბების სტრატეგია

— ფლანგების უდიდესი როლი მთავარი — ცენტრალურევროპუ-ლი თეატრის დაცვაში. ეს როლი სრულიად სხვადასხვა მიმართულებით ვლინდებოდა. სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიის პორტებს ძალ-იან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცენტრალურევროპელი დაჯგუფების გასაძლიერებლად გამიზნული ამერიკული ძალების გადასრულისა-თვის. ეს როლი შეუდარებლად იზრდებოდა თუ ვარშავის ხელშეკრულების ძალები მოახერხებდნენ ცენტრალურევროპული თეატრის მომარაგებისთვის ისეთი გადამწყვეტი პორტების ნეიტრალ-იზაციას, როგორიც იყო: პამბურგი, ბრუმენი, როტერდამი, ანტვერ-პენი. ასეთ შემთხვევაში ოკეანის გაღმიდან გაღმოსროლი ჯარე-ბისა და ტექნიკის მიღების მთელი სიმძიმე სამხრეთის თეატრზე მოვიდოდა. ამავე დროს, თეატრზე განლაგებული ნატო-ს ძალები თავის თავზე მიღებდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ძალების საქმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს. ამ ძალებს ცენტრალ-ურევროპულ თეატრზე მოქმედებისთვის გამოთავისუფლების შემთხვევა-ში შეეძლოთ იქ საბრძოლო მოქმედებათა ბეჭი საბჭოთა ბლოკის სასარგებლოდ გადაწყვიტათ. შეძლებ, ხმელთაშუა ზღვაზე განლაგებუ-ლი ამერიკული და ფრანგული ავიაციიდების ავიაცია უნდა გამოყ-ენდებულიყო ცენტრალურევროპულ თეატრზე ნატო-ს დაჯგუფების მხარდაჭერისათვის. იგივე თქმის ჩრდილოეთი იტალიის აეროსპარტებზე ბაზირებული ნატო-ს ავიაციის მიმართ ამერიკელთა მიერ შეიარაღ-ებაზე „ტომეპოის“ ტიპის ზეზუსტი ფრთისანი რაკეტების მიღების შემდეგ, აშშ-ს მათი შეშვეობით აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვიდან შეეძლო ბირთვული ან ჩვეულებრივი დარტყმები განეხორციელებინა

ცენტრალურ ევროპაში ვარშავის ხელშეკრულების სტრატეგიული ობიექტების, ან მეორე ეშელონების მსხვილი დაჯგუფებების წინააღმდეგ. დაბოლოს, სანამ ნატო აკონტროლებდა სამხრეთის თეატრს, შეეძლო ოპერატორულ-სტრატეგიული დარტყმის მიყენება ვარშავის ხელშეკრულების ძალების ფლანგზე ბალკანეთსა ან დუნაისპირეთში და ამით გაეთოლებინა ცენტრალური ევროპის დაცვა.

— თეატრის უდიდესი მნიშვნელობა ენიშვებოდა ნავთობით უდიდერესი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დაცვის საქმეში. ნატო-ს დაჯგუფება ანატოლიაში მძლავრი ბარიერი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ძალების გზაზე ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით.

— შევის სრუტეებზე კონტროლი ნატო-ს საშუალებას აძლევდა ხელსაყრელ ვითარებაში დაეწყო საბრძოლო მოქმედება უშუალოდ საბჭოთა ტერიტორიის წინააღმდეგ (კავკასია, ყირიმი). ამ მიმართუბით უინტერესო არ იქნება, თუ გავიხსენებთ რუსეთის სამარცხვინო მარცხს ყირიმის ოშში.

— თეატრი იმყოფებოდა საბი კონტინენტის — ევროპის, აზიისა და აფრიკის გასაყარზე და მათი დამაკავშირებელი კომუნიკაციების კონტროლის საშუალებას იძლეოდა.

— თეატრის ფარგლებში ძრდარებიდა გლობალური კომუნიკაციური ქსელის ერთ-ერთი უმთავრესი კვანძი — სუეცის არხი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ატლანტიკიდან ინდოეთის ოკეანეში ვადასროლებისთვის და, მაშასადამე, დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების დაცვისათვის სპარსეთის ყურეში.

ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, შევვიძლია სრული უფლებით დავასკვნათ, რომ სამხრეთის თეატრს კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ევროპის დაცვისათვის, რაც ნიშნავს, რომ სამხრეთის თეატრზე მარცხსა და მისი ტერიტორიის დაკარგვას, შესაძლოა, მოული ევროპის დაკარგვაც გამოეწვია.

თეატრის გეოპოლიტიკური თავისებურება: მიზრადებისა

(მიუმარცხვების) და რუსივის განსაკუთრებული როლი

თეატრის ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ თავისებურებას წარმოადგენ-და ნეიტრალური ავსტრიის, მოუმხრობელი იუგოსლავისა და ვხო-ს არასაიმედო წევრის — რუმინეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა. განსხვავებით ცენტრალური ევროპისაგან, საღაც ყველა სახელმწიფო დაპირისპირებულ ბლოკთაგან ერთ-ერთის წევრი იყო, სამხრეთის თეატრზე დაპირისპირებულ ბლოკებს ბუფერული სახელმწიფოები

მიჯნავდნენ. ჩრდილოეთ იტალიაზე შეტევისათვის ვწო-ს აუცილებლად დასჭირდებოდა ავსტრიისა და (ან) ოუგოსტიანავის ნაწილის დაკავება. არცო უძნიშვნელო იქნებოდა ნეიტრალური შევიცარიის პოზიცია, რომელიც საკმარი სამხედრო პოტენციალს ფლობდა. მთელ თეატრზე მოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუმინეთის პოზიციას. საქმარისი იყო ამ სახელმწიფოს უარი ეთება თავის ტერიტორიაზე ვხო-ს ჯარების გატარებაზე, რომ სისრ კავშირს ძალიან გაუჭირდებოდა უნგრეთში თავისი დაჯგუფების გაძლიერება (ამ ჯგუფის გასაძლიერებლად შხვლოდ სისრ კავშირის უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან საზღვრის კინტრო მონაკვეთუბი ჩჩებოდა) და, სავრობოდ, ვერ გადასირდა სახმელეულო გზით თავის ძალებს ბულგარეთში, რის შედეგადაც ეს სახელმწიფო პირისპირ აღმოჩნდებოდა ნატო-ს აღმატებული ძალების წინააღმდევ. ამის თავიდან ასაცილებლად, ომში ჩართვაზე უარის შემთხვევაში, სისრ კავშირს მოუწევდა რუმინეთის ოკუპირება. მაგრამ წმინდა სამხედრო სირთულეების გარდა, ამგვარი ოკუპაცია გამოიწვევდა მთელ რიგ პოლიტიკურ დაბრკოლებებს, მაგალითად, ოუგოსტიანის თითქმის უეჭველ სამხედრო გამოსვლას ნატო-ს მხარეს. ამას ვარდა, ნატოელ სახელმწიფოებს მეტი ექნებოდათ მობილიზაციისათვის (ყველაზე წარმატებული ოპერაციის შემთხვევაშიც კი რუმინეთის სამხედრო გადაზიდვებისათვის), ტრანზარგის ტერიტორიად ქცევას ორი კვირა დასჭირდებოდა), ტრანსკოკენტრი გადაზიდვებისათვის, ხოლო ბულგარეთი თითქმის მოელითვე აღმოჩნდებოდა საბერძნეთისა და ოუკრეთის პირისპირ. ამ უსამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად სისრ კავშირი ყოველშერივ შეეცდებოდა ჩავრთო რუმინეთი სამხედრო მოქმედებებში ან მიერობის ტერიტორიაზე ტრანზიტის უფლება მაინც, ოუზე როგორ დასრულდებოდა ეს მცდელობები, უაღრესად ძნელად პროგნოზებადი იყო.

ჩრდილოებრივი ტერიტორია დახასიათდება. მაღაზა ბალბანი და
საბორილო მომავალია სასიათო

უკროპის ომის თეატრის საბრძოლო მოქმედებათა მესამე მხარეს ჩრდილოეთ უკროპის თეატრი შევადგნდა. იგი მოიცავდა გერმანიის ჩრდილოეთს (კილის არხის მიმდებარე ტერიტორიებს), იუტლანდიასა და დანიის ბალტიურ კუნძულებს, სკანდინავიას, ჩრდილოეთ ატლანტიკას, სახელმობრ, ჩრდილოეთის, ბარენცის ზღვებს, კოლის ნახევარკუნძულსა და კარელიას. თეატრის მოცულობა 1 550 ათასი კვ. კმ. იყო. ნატო-ს წევრთაგან იგი მოიცავდა გფრ-ს, დანიისა და

ნორვეგიის ტერიტორიასა და ტერიტორიულ წყლებს, ვხოდან სისრ კავშირს. თუატრზე არსებობდა ორი ნეიტრალური სახელმწიფო – შვედეთი და ფინეთი.

თუატრის ჩრდილოეთიდან დასავლეთი ნაწილისაკენ ეშვება სკანდინავიის მთები (უმაღლესი სიმაღლე 2500 მ-დე). ამ მთებს აღმოსავლეთით უერთდება ნორლანდის ვრცელი, მაგრამ არცთუ მაღალი ზეგანი. ეს ზეგანი საფეხურის ბერად ეშვება ბოტნიკური ყურისაკენ. სამხრეთით ზეგანი გადადის ტბიან შეუალების დაბლობში. ბოტნიკური ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს ფინეთისა და შვედეთის დაბლობი ტერიტორიები, რომლებიც უკიდურესად დასერილია ჭაობებით, ტბებითა და სხვა საწყალოსნო ბარიერებით. ფინეთის ჩრდილოეთ ნაწილში შედარებით ზეგანი ადგილებია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში იჭრება სკანდინავიის მთების მცირე მონაკვეთი (ყველაზე მაღალი წერტილი 1365 მეტრი). ფინეთის მოსაზღვრე საბჭოთა კოლის ნახევარკუნძული ტიპოლოგიურად ფინეთს წააგავს. სამხრეთ ნაწილი დაბლობია, ჩრდილოეთი – მაღალი და ფლატებიანი, ცენტრალურ ნაწილში გადის დაბალი კეინის წყალგამჭვიფი ქედი. ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს 1000-მ სიმაღლესთან მიახლოებული ზიბინებისა და ლევოზერსკის ტუნდრის მთები. ერთი სიტყვით, გეოგრაფიულად თუატრის სახმელეთო მონაკვეთი შეიძლება დახასიათდეს როგორც როული, შერეული, დაბალ-საშუალო მთიანი ქედების, ზეგნებისა და დაბლობების სპეციური კომპინაციებით.

ანალოგიური ხასიათისაა საზღვაო ზოლიც. სკანდინავიის ნახევარკუნძულთან მდებარეობს მეტად რთული კონფიგურაციის მქონე არქიპელაგების, შექრების ქსელი, რომლებიც ნახევარკუნძულიდან სრუტეების როული ქსელითაა გამოყოფილი.

ჩრდილოეთ ეკოროპის თუატრის სამხრეთი ნაწილი ზომიერ კლიმატს განეკუთვნება, ხოლო ჩრდილოეთი – მყაცრს. ჩრდილოეთ ნაწილში ზამთრის ტემპერატურა მინუს 16°-ია, ცენტრში და სამხრეთში – მინუს 3°-15°. ტერიტორიის 53 პროცენტი ტყეების მასივებს უკავია, მდინარეების ქსელი მეტად ინტენსიურია. მდინარეები მეტის-მეტად წყალუხვი და სწრაფია. ყოველივე ეს ჩრდილოეთ ეკოროპის თუატრს საბრძოლო მოქმედებისათვის ძალიან რთულს წდიდა.

თუატრის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

– ჩრდილოეთ ეკოროპის საბრძოლო მოქმედებათა თუატრი ერთ-

მანეთთან აკავშირებდა ნატო-ს ორ უმნიშვნელოვანებს ომის თეატრს – ატლანტიკისა და ევროპის. თეატრზე საბრძოლო მოქმედებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო სამსედრო მოქმედებებზე ცენტრალურ ევროპასა და ატლანტიკაზე.

– მისი ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშა ნავები გაარღვევდა ნატო-ს ნავსაწინააღმდეგო ბარიერებს ჩრდილო ნორვეგია-შპაიცერგენ-გრენლანდიისა და სამხრეთ ნორვეგია-ისლანდია-გრენლანდიის მიმართულებით. მართალია, ნატო-ს ძირითად ნავსაწინააღმდეგო მიჯნა – ჩრდილოეთ შოტლანდია-ფარერის კუნძულები, ძალაში რჩებოდა, მაგრამ სკანდინავიის ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა წყალქვეშა ნავები საშუალება მიეცემოდათ ბაზირების პუნქტები დაახლოებით 2000 კმ დასავლეოთით გადაეტანათ, საიდანაც ბევრად ადგილად გააღწევდნენ ატლანტიკურ სივრცეებზე.

– სკანდინავიის დაკავებით საბჭოთა კავშირი მოახერხებდა უზრუნველეყო ნატო-ს ფლოტების შეტევებისაგან ისეთი მნიშვნელოვანი პორტები, როგორიც იყო მურმანსკი და არხანგელსკი. საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტს მოქმედების დიდი თავისუფლება მიეცემოდა.

– ანალოგიურად სკანდინავიის ოკუპირებით და ბალტიკაზე პოზიციების მაქსიმალურად გაძლიერებით სსრ კავშირი აღვეუთდა ნატო-ს ნებისმიერ მცდელობას მისი ეროვნული ტერიტორიის, სახელმობრ, კრონშტადტ-ლენინგრადზე შეტევისათვის.

– სკანდინავიის ოკუპირების შემთხვევაში საბჭოთა ძალები ფაქტობრივად ძიაღწევდნენ სრულ ბატონობას ბალტიკაზე და უზრუნველყოფდნენ დასავლეოთის სტრატეგიული მიმართულების ჩრდილოეთ ფლანგს.

– სკანდინავიის ოკუპირებისა და ბალტიკაზე გაბატონების შემთხვევაში სსრ კავშირის ჩრდილოეთისა და ბალტიის ფლოტები ერთმანეთთან უშუალო კავშირის დამფარებას მოახერხებდნენ, რაც არსებოთად გაზრდიდა მათი მანევრის თავისუფლებას და საფრთხეს შეუქმნიდა ჩრდილოეთის ზღვაში მოქმედ ნატო-ს ნებისმიერ საზღვაო დაჯგუფებას.

– ბალტიკასა და სკანდინავიაზე გაბატონებით საბჭოთა წყალქვეშა ნავებს შეეძლებოდათ ნატო-სოფის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე პორტების ბლოკირება, როგორიცაა როტერდამი და ანტერპენი, აგრეთვე ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს პორტები. ამას, თავის მხრივ, არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო საბრძოლო მოქმედებების მსვლელობაზე არა მხოლოდ ჩრდილოეთ, არამედ ცენტრალურ თეატრზეც, მით უფრო თუ ამ თეატრზე მოქმედი საბჭოთა

სახმელეთო ძალები ვერ მოახდენდნენ ამ პორტების ოკუპაციას, ხოლო სსიპ-ი მათ ნეიტრალიზაციას.

— ოკუპირებულ ნორვეგიასა და შვედეთში გამოყენებულ სამხედრო-საპარტო ძალებს შეეძლოთ დამატებითი საფრთხეების შექმნა ინგლისის, ბენედუქსისა და ჩრდილო გერმანიის ტერიტორიისათვის. თავის შერიც შვედეთში ბაზირებულ ნატო-ს თვითმეტრინავებს შეეძლოთ დარტყმების განხორციელება ღენინგრადის სიახლოევს არსებულ სამხედრო-სტარატეგიულ ობიექტებზე, მათ შორის სტრატეგიული რაკეტების ბაზებზე, ნორვეგიის აეროდრომებიდან კი ნატო-ს ავაკიას შეეძლო იქრიბის მიტანა კოლის ნახევარუნდებულზე განლაგებულ საბჭოთა სტრატეგიულ რაკეტებულ წყალქეშა ნავებსა და მათ მშენებელ ქარხანაზე სეიროდვინსკში.

— ეკომომიკური ფაქტორი გამოიხატებოდა იმით, რომ ამ ტერიტორიების ოკუპირებით სსრ კავშირს ჩრდილოეთის ზღვაში შეეძლებოდა მწყობრიდან გამოეყვანა ნორვეგიასა და ინგლისის ნავთობის საბაზოები, აგრეთვე თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა სკანდინავიის ქვეყნების არცთ უმნიშვნელო სამრეწველო თუ სასოფლო-სამურნეო პოტენციალი და ბუნებრივი სიმძიდრეები.

— ფსიქოლოგიური ფაქტორი, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სკანდინავიის ოკუპირება ვხო-ს მიერ ზეგავლენას მოახდენდა ნატო-ს ქვეყნებისა და ნეიტრალურის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა თუ ერების ნებაზე, გაეწიათ წინააღმდეგობა კომუნისტური აგრესიისა-თვის.

თუატრზე სახელმწიფოთა როლს განსაზღვრავდა შემდეგი ფაქტორები:

— ნორვეგია იყო ყველაზე ეფექტური პლაციდარმი კოლის მიმართულებით შეტევისათვის. ამ ტერიტორიის ოკუპირების გარეშე საბჭოები ვერ მოახერხებდნენ იმ მიზნების განხორციელებას, რომელიც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ქვემოთაც შევეხებით. დანიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა იმისათვის, რომ არ მოშლილიყო კავშირი ცენტრალურ და ჩრდილო თუატრებს შორის, აგრეთვე ხელი შეეშალა საბჭოთა ფლოტის მოქმედებისათვის. იგივე ითქმის დანიას სამხედრო-საპარტო ძალებზეც. გარდა ამისა, დანიასა და ნორვეგიის ტერიტორიების ეფექტუანი დაცვა იძლეოდა იმის გარანტიას, რომ საბჭოთა ჩრდილოეთისა და ბალტიის ფლოტები ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას ვერ დააძირებდნენ. გერმანიის გვოსტრატეგიულ როლს განსაზღვრავდა მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, ეფექტუანი ბაზები და პორტები ბალტიკაზე, ნატო-ს ქვეყ-

ნებს შორის უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ავიაცია ბალტიკაზე და ისეთი უმნიშვნელოვანებისი კომუნიკაციის კონტროლი, როგორიცაა კილის არხი. შვედეთს გააჩნდა გერმანიის შემდევ ფერები ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი. მისი თამაშიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელი იყო ბალტიკაზე სრული გაბატონება, ამასთან, ძალიან გამარტინდება ნორვეგიის, ჩრდილო გერმანიისა და დანიის ოკუპირება. შვედეთის უაღრესად ეფექტურ სამეცნ სამხედრო-საპატიო ძალებს შეეძლოთ არა მხოლოდ დიდი ზარალი მიეყენებინათ ბალტიკაზე მოქმედი ვერსის გემებისა და ხომლდებისათვის, არამედ ეფექტური დარტყმები განეხორციელებინათ დასავლეთის მიმართულების ჩრდილოეთ ფლანგზე მოქმედი საბჭოთა ძალების მეორე ეშველონებისათვის ან პირველი ეშველონების ზურგისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შვედები ნატო-ს განკარგულებაში გადასცემდნენ თავიანთ მაღალი კლასის სამხედრო-საპატიო ძალებს. ამასთან, შვედების მაღალი ტექნიკურ-ტაქტიკური მაჩვნებლების მქონე წყალტკეშა ნავებს შეეძლოთ ჩინშვნელოვანი ზარალი მიეყენებინათ ვერსის გადაზიდვებისათვის ბალტიკაზე. ფინეთის, როგორც დასავლეთის ფორცოსტის როლს განსაზღვრავდა მისი ფუნქცია, ამ ქვემის თვალის გარეშე სირ კავშირი ფაქტობრივად ვერ შეუტევდა შვედეთს, ნორვეგიასა და დანიას. ვარდა ამისა, ფინელთა მიერ გაწეული წინაღმდევობის შემთხვევაში (ინ თუგინდ ამგვარი წინააღმდევობის გარეშეც, ვინაზღა ფინეთის ურთილესი გეოგრაფიული პირობებისა და ტერიტორიული სიდიდის გამო საბჭოთა ოპერატორებ შენაერთებს ერთო-ორი კვირა დასჭირდებოდა სურმის დასავლეთ საზღვრებზე საბრძოლო პოზიციებზე გასვლისათვის) შვედები და ნატო დამატებით დროს ივებდნენ მობილიზაციისა და გამაძლიერებელი ძალების გადასრულისათვის.

ფუნქციონალური თვალსაზრისით თვატრი შერეულ საზღვაო-სამხედრო ხასიათს ატარებდა და ტაპილოგიურად უფრო ახლოს იდგა სამხედრო ეკროპის, ვიდრე ცენტრალური ეკროპის თეატრთან. სამხედრო ეკროპის თეატრთან მას აახლოებდა ისიც, რომ მისი სიღრმე ბევრად აღემატებოდა სიგანეს. მესამე მსგავსებას სამხედრო ჯროპის თეატრთან განაპირობებდა ისიც, რომ მისი შემაღენელი სტრუქტურული ელემენტები(სარდლობები) ერთმანეთში უწყვეტად არ გადადიოდა.

ამავე დროს, თეატრის ახასიათებდა ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მას ახლოებდა ცენტრალური ეკროპის თეატრთანაც. სახელ-

დობრ, მის ჩრდილოეთ ფლანგს გარემოიცავდა საოკეანო სივრცე, ხოლო თუატრის გარემოშიც გველი წყლები(ოკეანესა და ზღვებს) ხმელეთის მასას აკავშირებდა (განსხვავებით სამხრეთ ევროპის თუატრისგან, სადაც შემკრების როლში ხმელთაშუა ზღვა გამოიდიოდა). ამასთან, მუხედავად ამისა, თუატრისათვის კრიტიკული იქნებოდა საზღვაო გადაზიდვების როლი, თანაც არა მხოლოდ სტრატეგიულ, არამედ ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ ნორვეგით შემოისაზღვრებოდა, რომლის ვიწრო და წაგრძელებული ტერიტორია ძალიან გაართულებდა მანევრს სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენებით, საზღვაო გადაზიდვების მოშველიების გარეშე. ამასთან, ეს ოპერაციები ხშირად მოწინააღმდევის ზურგში ოპერატიული და ტაქტიკური სადესანტო ოპერაციების ხასიათს მიღებდნენ(უფრო ხშირად საზღვაოსი, ზოგჯერ კომბინირებულის თუ წმინდა საპარო ან აერომობილურის). სადესანტო ოპერაციების შესაძლო ისხშირება ტაქტიკურისა და ოპერატიულის) თუატრის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობდა თუატრის კიდევ ერთი ფუნქციონალური მახასიათებელი, კერძოდ, სანაპირო დაცვის კრიტიკული მნიშვნელობა. სადესანტო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა პარმი ბატონობის გარეშე, ამიტომ ამ ბატონობას ისე-თვე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც სამხრეთის თუატრზე.

სიმეტრიულობის თვალსაზრისით თუატრზე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ერთი უწყვეტი სტრატეგიული ოპერაციის ჩატარება (როგორც ეს პრინციპში მაინც იყო შესაძლებელი ცენტრალური ეროვნის თუატრზე). ამას წელს შეუძლიდა ისცე, რომ თუატრის სიღრმე ბევრად აღემატებოდა მის სიფართეს, რაც ფრონტის საზსა და ზურგში მანევრის შესაძლებლობას გაართულებდა. ამ ფაქტორებს დაემატებოდა ოროგრაფია და კლიმატი, აგრეთვე საწყალოსნო ბარიერებიც.

სიმეტრიულობას განაპირობებდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ხასიათი. განსხვავებით ცენტრალური ევროპისაგან, სირ კავშირს არ გააჩნდა ის უპირატესობა, რომ მის გამაძლიერებელ ძალებს ბევრად მცირე სიგრძისა და მხოლოდ (ან უპირატესად) სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენება მოუწევდა. ჩრდილოეთის თუატრზე სირ კავშირის ერთადერთი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი რკინიგზა ლენინგრადი-პეტროზავოდსკი-მურმანსკი დასხლოებით 1450 კმ სიგრძის იყო. იმასაც, თუ გავითვალისწინებთ, როგორ „კარგად“

მუშაობლენენ საბჭოთა რკინიგზები, აღბათ, გადაჭრობებული არ იქნება იმისი თქმა, რომ თუატრზე ამ რკინიგზით გადასროლას საბჭოელები დაახლოებით იმდენივე ხანს მოუნდებოდნენ, რამდენსაც ამერიკელები თავისი გამაძლიერებელი ძალების თეატრით გადასროლას.

კომუნიკაციების განუვითარებლობა თუატრის ერთ-ერთი ჩინშენელოვანი ფუნქციონალური თავისებურება იყო, რაც სხვათა შორის განპირობებდა სადესანტო ოპერაციების დიდ როლს. ნიშანდობლივია, რომ მსარებების ორი ძრითადი როკადული რკინიგზა(პეტროზავოდსკი-მურმანსკი სსრ კავშირისათვის და ლულეულური შვედეი-ნორვეგისათვის) ჯრომანეთიდან 800-900 კმ-თ იყო დაშორებული. არადა საბრძოლო მოქმედებების ძრითადი ნაწილი, სწორედ როკადებს შორის ტერიტორიაზე – შეეძურ ნორბოტებზე, ფინურ ლაპლანდისა და ნორვეგიულ ფინმარკში უნდა წარმართულიყო. აյ 900 ასასამდე კვადრატულ კილომეტრზე (ანუ საფრანგეთზე თითქმის ორჯერ დიდ), სარკინიგზო კომუნიკაციებს მოკლებულ ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო გადამწყვეტი ბრძოლა ჩრდილოეთ ევროპისათვის.

თუატრის ფუნქციონალურ მახასიათებელთაგან კიდევ უნდა გამოყოო სავიამზიდო ავიაციის დიდი როლი. ნორვეგის ნაპირებთან მოკრეისერე ავიაშტიდებს შეეძლოთ დაერტყათ საბჭოთა ობიექტები-სათვის ბალტიდან მურმანსკამდე. ამ მხრივაც ჩრდილოეთის თუატრი უფრო სამხრეთისას წააგავდა, ვიდრე ცენტრალურს.

ცნობები:

1. საბრძოლო მოქმედებათა თუატრის ცნება.
2. თუატრის ფუნქციონალური და გეოგრაფიული მახასიათებლები.

პირსპექტი:

1. რა იყო ევროპის გეოსტრატეგიული როლი „ცივი ომის“ პერიოდში?
2. რომელი თუატრები არსებობდა ევროპაში „ცივი ომის“ პერიოდში?
3. დაახასიათეთ ევროპული თუატრების გეოსტრატეგიული ფუნქციები.

ლ 2 ქცია 5.

„0030 ომის“ დასასრული და დასავლეთის გამარჯვების მიზანები

90-იანი წლების დასასრულს იმ კონფიგურაციამ, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, არსებოთ ცელილებები განიცადა, რომლის მთავარი მიზანი „ცივ ომში“ დასავლეთის გამარჯვება იყო. ამ გამარჯვების მიზეზებზე მრავალი ვერსია არსებობს, დაწყებული დასავლეური სისტემის ობიექტური უპირატესობებიდან, დასრულებული სუბიექტური მიზეზებით. კველაზე კურიოზული ამ ოურიებს შორის ის იყო, რომ დასავლეთმა მოახერხა თავისი აგნენტურა დაესვა საბჭოთა ხელისუფლების სათავეში (ისეთ ხელისუფლებას რა ვუთხრათ, რომლის სათავეშიც მისი მოწინააღმდეგები მოვლენ). ჩვენი აზრით, სსრ კავშირის სამარცხეინო მარცხი „ცივ ომში“ განპირობებული იყო უფრო ობიექტური და სისტემური ფაქტორებით, ვიდრე სუბიექტურით ამ მიზეზებს შორის ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ შემდეგზე, კერძოდ, ესენია:

1. საბჭოური სისტემის ძალადობროვი ხასათი. განსხვავდებოთ დასავლეური თანამეგობრობისგან, სადაც გამოკვეთილი ლიდერის ან ლიდერთა ჯგუფის არსებობის მიუხდავად, გადაწყვეტილებების მოღება კონსენტრის საფუძველზე ხდებოდა, კერის მკერთად გამოკვეთილი ჰეგემონი, ასე ვთქვათ, უფროი ძმა ჰყავდა. ისეთი სისტემა, რომელიც ძალადობაზე და სხვებისათვის გადაწყვეტილებების ძალით თავს მოხვევაზე დამყარებული, საბოლოო ჯამში, აუკისლებლად წააგდის შეჯიბრის კონსენტუსზე დამყარებულ თანამეგობრობასთა.

2. საბჭოური სისტემის არაპიროვენურობა. დასავლეური თანამეგობრობა მეტ-ნაკლებად ჰომოეგნურ საზოგადოებებს მოიცავდა. ამ საზოგადოებასა როგორიზაციის პრინციპები, მათი სტრუქტურა და სოციალური სტრატიგიკაცია, ეკონომიკური წყობა თუ მოსახლეობის მენტალიტეტი ერთგვაროვანი იყო (ყოველ შემთხვევაში ამერიკის, კანადისა და მათი ეკროპელი მოკავშირების) და ემყარებოდა სამოქალაქო საზოგადოების, საბაზრო ეკონომიკისა და იმ ცივილიზაციური პარადიგმის პრინციპებს, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „დასავლეური“. ამის საპირისპიროდ საბჭოთა აღიანხიცა და თავად საბჭოთა იმპერიაც არაპიროვენური მოული იყო. მასში მექანიკურად იყო თავმოყრილი სრულიად სხვადასხვა ცხოვრების

წესის, მეურნეობის, მენტალიტეტისა და ტრადიციის მქონე ერები. გარტივად რომ კოქათ, სისტემა, სადაც ინტეგრირებულია(თანაც ძალით!) გერმანელიცა და ჩუქჩიც, ყოველთვის განწირული იქნება „ცივი ომის“ ტიპის კონფლიქტში დამარცხებისათვის.

3. ექსტრემისურობა, ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა მმ-პერიის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ექსტრემისურობა იყო. ორივეში რესურსების ათვისება ხორციელდებოდა არა შენაგანი მობილიზაციის, არამედ მექანიკური მატების ხარჯზე. ტექნოლოგიების, უპირველეს ყოვლისა, სამსჯელოს განვითარება ხდებოდა არა საზოგადოების ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სექტორის პარალელურად, არამედ იზოლირებულად. განვითარების ექსტრემისურ ხასიათს რუსეთი არაერთხელ მოუკენია სამსჯელო მარცხამდე. მაგალითად გამოიდგება რუსეთის სამარცხვინო მარცხები ყირიმის, რუსეთიაპონიისა და პირველ მსოფლიო ომებში. სსრ კავშირის ექსტრემისური განვითარების შეზღუდულობა განსაკუთრებით ცხადი გახდა პოსტინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლისას. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ეროვნული ძალის განმაზღვრელი ფაქტორები ინტენსიფიკაციასა და მინიატურიზაციაში უნდა ვეძეოთ და არა გიგანტიზაციასა და ექსტრემისურიკაციაში. არადა სსრ კავშირი გიგანტურ რესურსებს ხარჯავდა ექსტრემისური ხასიათის პროექტებში(სამსჯელო სფეროზე რომ არაფერი კოქათ, შევგიძლია გავინსენოთ ყამირის ე.წ. გატეხვა ხრუშჩოვის დროს და ციმბირის მდინარების შუა აზიაში გადასროლის ყბადაღებული პროექტი).

4. რესურსების ათვისების უუნარობა – საბჭოური სისტემის კიდევ ერთი არსებითი ნაკლი იყო. ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ იმპერიას არ ჰქონია საბჭოთა იმპერიის ტოლი რესურსები. სამაგივროდ, საბჭოთა სახელმწიფოს მიზრ პოლიტიკური და სამეცნიერო რესურსების ათვისების დონე ძალიან დაბალი იყო. განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, რესურსების ათვისების ექსტრემისურ მცდელობებს რესურსების გამოფიტვა, უკოლოგიური კატასტროფები და გიგანტური თანხების გაფლანგვა მოჰყვა. ამან მნიშვნელოვანად განსაზღვრა ის გარღვევა სსრ კავშირსა და დასავლეთს შორის, რომელმაც უკვე 80-იან წლებში ჩინა თავი და საბჭოთა ლიდერები აიძულა „პერესტროიკა“ დაწყოთ. სხვა საქმეა, რომ სისტემა უკვე ისე უიმედოდ იყო მოძველებული, რომ მას აღარავითარი რემონტი აღარ უშევლიდა.

5. რესურსების უაზრო ფლანგვა – გამოიხატებოდა იმით, რომ სსრ კავშირი თვისი გიგანტური რესურსების ექსტრემისური ექს-

პლუატაციით მიღებულ საშუალებებს არამიზნობრივად ხარჯავდა. კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ იმპერიას არ გაუცია თავისი მოკავშირეებისათვის უფასოდ იმდენი იარაღი, რამდენიც საბჭოელებმა გასცეს. 70-იანი წლების მეორე და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ნავთობის უქსპორტით აღებული გიგანტური თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოელებმა ისეთი სატელიტების შენახვასა და იარაღით მომარაგებაში დახარჯეს, როგორიც იყო: კუბა, ვიეტნამი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი და ა. შ. გარდა ამისა, ისინი თვის სატელიტებს ჩადის ფასად აწვდიდნენ გაზს, ნავთობისა და სხვა სტრატეგიულ ნედლეულებს. ყოველივე ამან გამანადგურებელი ზარალი მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას და მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი დაშლა.

6. ძლიერი მოკავშირეების არასებობა – საბჭოთა იმპერიის კრახის კიდევ ერთი მიზეზი იყო. მისი სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მას რაც შეიძლება სუსტი და მასზე მაქსიმალურად დამტკიცებული სატელიტები სჭირდებოდა და არა მდიდარი და ძლიერი მოკავშირეები. ამ პრინციპით გამომდინარე, საბჭოელები ინახავდნენ უამრავ სატელიტს, რომელთაც არავითარი წვლილის შეტანა არ შეეძლოთ საბჭოთა ბლოკის გაძლიერების საქმეში. ცნობილი რუსი პოლიტოლოგი ანდრეი კოკოშინი ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „რუსული რესურსები იხარჯებოდა ერთდროულად სამი „იმპერიის“, შექმნაზე, შენახვასა და განვითარებაზე. ეს იყო „მესამე მსოფლიოს“ ზონა, სახალხო დემოკრატიისა (მოგვიანებით სოციალისტური თანამეგობრობის ქეყნები) და თავად საბჭოთა კავშირის „ოკრაინები“, რაც განსაკუთრებით ეხება შესაძლებელის ასეთი გადახარჯვა არ შეეძლო არც ერთ სახელმწიფოს, საზოგადოებაზე ქონტროლის რაოდენ დიდი აპარატიც არ უნდა ჰყოლოდა მას „და რაოდენ ძირიდიც არ უნდა ყოფილიყო მეტროპოლია ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ამ სამი „იმპერიის“ არსებობა არ იძლეოდა საშუალებას რესურსების ჩადებისა თავად რესურსი სახელმწიფოების შემადგენელ ბირთვში.“

7. პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაბალი დონე. ეს უკვე გამოჩნდა ხრუშჩივის ზეობისას და განსაკუთრებით ნაული გახდა დაჩაჩანაკებული ბრეჟენევის მართველობისას. საბჭოთა ხელმძღვანელები, გარდა იმისა, რომ ვერ ერკვევოდნენ თუ რა ხდებოდა მსოფლიოში, იმდენი ჭრუაც არ ყოფილდათ, რომ დაეჯერებითად ექსპერტთა მრავალრიცხოვანი მაღალკალიფიციური არმიისათვის.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ყოვლად არარაციონალური გადაწყვეტილება ავღანეთის ინტერვენციაზე, რომელიც საბოლოოდ საბჭიდისწერო აღმოჩნდა საბჭოელთათვის. საბჭოთა ხელმძღვანელიბის სტრატეგია და ტაქტიკა(თუ ასეთი რამ არსებობდა) სრულიად უვარგის იყო დასახულ მიზანთა მისაღწევებად.

8. დასავლეთის სტრატეგიის ეფექტიანობა – საბჭოთა ხელმძღვანელობის(ლაპარაკია პოსტსტალინისტურ ხელმძღვანელობაზე) არაეუქემტიანობის ფონზე კიდევ უფრო რელიეფურად ჩანდა ამერიკისა და მთლიანად დასავლეთის სტრატეგიის ეფექტიანობა. მართლია, ჩავარდნები ამერიკელებსაც პეტრიათ (მაგალითად, ვიუტნამი, ირანი), მაგრამ მათმა ისეთმა ქმედებებმა, როგორიც იყო მარშალის გეგმა, მოქნილი რეაგირების სტრატეგია და რეიგანის აღმინისტრაციის პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, დაასამარა საბჭოთა ბლოკი.

9. კომუნიზმის გაკოტრება და ინტეგრისტული იდეოლოგიის არარსებობა. 80-იან წლებში დასრულდა კომუნისტური პარტიის სრული დისკრედიტაციის პროცესი, რომელიც ხრუშჩოვის მაშნელებლი წერილით დაიწყო. მიხრწნილი ბრეზნევისა და მისი სისტემის პირობებში კომუნისტურმა იდეოლოგიამ ქვეყნის შიგნით ყოველგვარი მიმზიდველობა დაკარგა, განსაკუთრებით საზოგადოების მოაზროვნე ნაწილში. „პერესტროიკა“ პერიოდში ახალი გენერაციის კომუნისტურმა ელიტამ ვერ მოახერხა კომუნისტური იდეოლოგიის ჩანაცვლება ახალი ინტეგრისტული იდეოლოგიით. ამგვარი იდეოლოგიის გარეშე შეუძლებელი იყო სსრ კავშირის ტიპის იმპერიის შენარჩუნება. ის ადრე თუ გვიან დაიშლებოდა და დაიშალა კიდეც.

10. ეროვნული საკითხი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მარცხის მიზეზები, ფაქტია, რომ იგი საბოლოოდ მძლავრი მა ეროვნულმა მოძრაობამ შეაზაზარა, რომელმაც მოიცავა ბალტიის რესპუბლიკები, ბელორუსია, უკრაინა, კავკასია და საკუთრივ რუსეთი, განსაკუთრებით მისი მსხვილი ცენტრები. ის, რომ სსრ კავშირის, საბოლოო ჯამში, ეროვნული საკითხი დაშლილა, ვერ კიდევ 70-იან წლებში იწინასწარმეტყველა ფრანგმა პოლიტოლოგმა(სხვათა შორის ქართული წარმოშობის) ელეგ კარუნ-დანკოსმა. ეს პროცესები იმდენად კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ მასზე შეჩერება არც მიგვაჩნია საჭიროდ. მხოლოდ ერთს ვიტყვით, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად ხდება ნათელი ამ განცხადებების უსუსურობა, ვინც ამბობდა, რომ არავითარი ეროვნული მოძრაობა არ იყო საჭირო და საბჭოთა კავშირი ისეც დაიშლებოდა. დიახ, საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდა (ადრე თუ გვიან),

მაგრამ საკითხავია როგორი იქნებოდა ეს პროცესი 90-იან წლების დასაწყისში კი არა, ამჟამად რომ განხორციელებულიყო, როდესაც განსხვავებით საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან, გაძატონებულია იმპერიის ნებისმიერი საშუალებებით აღდგენის განწყობის განწყობის (სხვა საკითხია, რომ ეს განწყობები თავის მხრივ მნიშვნელონად განაპირობა იმპერიის დაშლის ფაქტმა). რა მოხდებოდა დღეს, რომ ხელისუფლების სათავეში არ ყოფილიყო გორბაჩივი, რომელმაც შედარებით აღვილად დათმო ხელისუფლება და ყოფილიყო მილოშევიჩის ტიპის ლიდერი, რომელიც ნებისმიერი საშუალებებით შეცდებოდა იმპერიისა და თავისი ხელისუფლების (რაც ჩვენ მიერ აღწერილ ვითარებაში ერთი და ოგივე) შენარჩუნებას. ცხადია, მოხდებოდა ის, რაც იუგოსლავიაში – იმპერიის ხანგრძლივი და შეუდარებლად უფრო სისხლიანი დაშლა, ვიღრე ეს 90-იან წლებში იყო. ასე, რომ ეროვნული მოძრაობა ისტორიის სწორედ იმ მომენტში განხორციელდა, როცა გარდუვალი იყო. რაც შეეხება ამ მხრივ დაშვებულ შეცდომებს, იგი ცალკე საუბრის თემაა.

11. მეტისმეტი ცენტრალიზაცია. საბჭოთა სისტემის არაეფექტურობის მიზეზი მისი ზეცენტრალიზაციაა, რაც გამომდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებიდან. ზეცენტრალიზაცია კლავდა ნებისმიერ აღვილობრივ აქტივობასა და, საერთოდ, ნებისმიერ ინიციატივას. ზეცენტრალიზაციამ საბჭოეთი ჩამორჩენისათვის გასწირა და, საბოლოო ჯაში, განაპირობა კიდეც მისი დაშლა. ნებისმიერი პისტასაბჭოური ქვეფის მმართველობა ელიტაშ ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს, რომ სახელმწიფოებრივი წინსვლისა და სტაბილურობის გარანტი ცენტრალიზაცია კი არ არის, არამედ საერთო-ეროვნული, რეგიონული და აღვილობრივი ინტერესების გონიერული და ყველასათვის მისაღები შეითნება.

12. ერთიანი სამეცნიერო სისტემის ჩამოყალიბების უნარობა. პარადოქსია, მაგრამ ზეცენტრალიზაციაზე ორიგინტირებულმა საბჭოურმა სისტემამ გერაფრით ვერ მოახერხა ერთიანი სამეცნიერო (სამრეწველო, აგრარული, ფინანსური, ტექნოლოგიური, კულტურული) სისტემის შექმნა, მამინ, როდესაც დასავლური სისტემა მის შემადგენელ მაკროკონომიკურ სუბიექტებს შორის (განსაკუთრებით ეკონომიკურთიანებს, აშშ-სა და იაპონიას) ზოგიერთი წინააღმდეგობების მიუხედავად, მშვენივრად ახერხებდა ერთიანი საბაზო ბალანსის შექმნას. ფაქტია, რომ დასავლეთის სუბიექტებს შორის მიძღინარეობდა სავაჭრო ომები, ხოლო საბჭოთა აღიანსის წევრებს შორის – არა. შედევი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყო-

ფილიფო. დასავლეთმა სავაჭრო ომები მოაგვარა, საბჭოთა სისტემა კი – დაიშალა.

ჩამონათვალი კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ამ თავში ნათქვამი საქმარისია იმის გასაგებად, რომ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სსრ კავშირს „ცივი ომი“ უწინდა წაეგო და წააგო კიდევ. საბჭოთა აღმანისის მარცხი ისტორიული ლოგიკის თვალსაზრისით ისეთივე კანონზომიერი იყო, როგორიც ჩინგიზ-ხანის იმპერიის დაშლა. „მექანიზებულ“ ჩინგიზ-ხანს მოვლენათა ასეთი განვითარებისას ერთადერთი გმოსავალი ჰქონდა – „ცივი ომის“ პერიოდში რამენაირად მოეხერხებინა დასავლეთ ევროპის ოკუპირება. მაგრამ ეს ისეთ „ცხელ“ ომს მოითხოვდა, რომელზეც თვით საბჭოთა ხელმძღვანელობის რამდენიმე თაობაც კი ვერ წავიდა.

პირება:

ჩამოთვალეთ ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს „ცივ ომი“ დასავლეთის გამარჯვება.

ლექცია 6.

საპრიტაშორისი ურთიერთობათა სისტემა „ტიპი რაის“ შედეგო პრიორული

„ცრვი ომის“ შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის თვისებრივად ახალ ხასიათზე, ვთქიქობთ, არავინ იდავის. ისეთი მომენტები, როგორიცაა: ბიპოლარული სამყაროს შესვერევა, გლობალიზაცია, თვისებრივად ახალი კონფლიქტების წარმოშობა არაურთხელ გამხდარა პოლიტოლოგთა კვლევის საგანი. თუმცა ჩვენს ლიტერატურაში არა გვაქვს ამ საკითხის განმაზოგადებელი გამოკვლევა, რომელიც პასუხს გაგვცემდა იმაზე, თუ საით მიდის მსოფლიო, როგორი იქნება გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კონფიგურაცია ნატო-სა და ევროკავშირის, საერთო, დასავლეთის განვრცობის პირობებში და როგორი ადგილი უჭირავს ან დაიჭირს საქართველო ამ პროცესებში. ცხადია, ჩვენ არ გვაქვს პრეტეზია ყოვლისმომცველობასა და მით უფრო საბოლოო ჟუშმარიტებაზე. ვიმედოვნებთ, რომ აյ ჩატარებული ანალიზი ჩვენს პოლიტოლოგებსა, და რაც მთავარია, პოლიტიკოსებს დაწმარება ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებაში.

საპრიტაშორისი ურთიერთობათა სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ისტორიაში აქმდე არნაზული დინამიზმით გამოირჩევა. საფრანგეთის რევოლუციის თანხმლები მოვლენების შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ განხორციელებულა ესოდენ მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი ძვრები. ეს ხდება ყველა იმ სფეროში, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ხასიათს. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ძვრები ღროის მეტად მოკლე შეაღები ხდება. ეს კი საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის განვითარებას ნახტომისებრ და ძნელად პროგნოზირებად ხასიათს ანიჭებს. მრავალი ტენდენცია, რომელიც დღეს უკვე განვითარდა და მოქმედებს, რამდენიმე წლის წინ არ იყო პროგნოზირებად. ცვლილებების მასშტაბურობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას ხელს უშლის სწრაფად მიიღოს ჩამოყალიბებული სახე.

თუმცა, უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, როგორი არ იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა. კერძოდ:

— ის არ იქნება უკონფლიქტო ხასიათის, როგორც ამას ზოგიერთი ლიბერალი თუ ნეოლიბერალი ანალიტიკოსი მიიჩნევდა „ცივი ობიექტი“ დასასრულის შეძღვებ. შესაბამისად, სამხედრო ძალა კვლავ შეასრულებს ძალიან დიდ როლს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

— ის არ იქნება მსოფლიო, საზღვაულო შინაგანი დევრადირდება ან საერთოდ გაქრება ერი — სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის უმნიშვნელოვანების სუბიექტი. ინტერაციული პროცესების შეძღვომი გაღრმავება არ იქნება ეროვნული სუვერენიტეტის შინაგანი დევრადირდების მიზეზი.

— ის არ იქნება მსოფლიო, რომელიც მრავალპოლუსიანი იქნება იმ აზრით, რომ მასში რამდენიმე მეტ-ნაკლებად ტოლმალოვანი ცენტრი იარსებებს. იმ პროგნოზისტულ ვადაში, რომელშიც აზრი აქვს მომავლის წინასწარმეტყველებას, დასავლეთს ცალსახა დომინირება ექნება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ყველა გადამწყვეტ სფეროში.

ამავე დროს, შეიძლება გამოიყოს საერთაშორისო ურთიერთობათა დღევანდველი სისტემის პოზიტიური მახსიათებლებიც. ესენია:

— ცვლილებების ფორმირებული ტემპი — დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ყველა რეოლის ტრანსფორმაცია უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოდესიმე კაცობრიობის ისტორიაში. თუმცა, პიზიტიურ მომენტებთან ერთად სისტემის უკონფლიქტო ფუნქციონირებისათვის ეს გარკვეულ სირთულეებსაც ქმნის.

— ცვლილებების გლობალურობა გულისხმობს, ერთი მხრივ, იმას, რომ ეს ცვლილებები მულ დედამიწას მოიცავს, მეორე მხრივ, დედამიწის ერთ კუთხეში მიმდინარე მოვლენები აქამდე არნახულ ზე-გავლენას მოახდენს სხვა კუთხებში მიმდინარე პროცესებზე და, მესამეც, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ყველა კლემბნტი და ყველა სფერო ძირიგესვიან ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები, თავის მხრივ, არსებოთ უკანავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ხასიათზე ძოლიანად. ასე რომ, ამ ცვლილებების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია აღიწეროს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ხასიათი და მისი განვითარების ქონქრეტული ტენდენციები.

თანამედროვე ეკონომის დახასიათება

თანამედროვე ეპოქაში არსებული ტენდენციები მნიშვნელოვანწილადაა განსაზღვრული იმ ძვრებით, რომელმაც გასულ აწელეულში პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო და კულტურული სფეროები მოიცავა.

— ცვლილებები პოლიტიკურ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა „ციფრი ომის“ პერიოდის ბიპოლარული დაპირისპირების დასრულებითა და მოგვიანებით პროცესთა იმგვარი დინამიკით, რომელმაც უაქტობრივად მეორე მსოფლიო ომის შედეგად ინსტიტუციონიზებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის გადასინჯვა გამოიწვია. ძირულად შეიცვალა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი. თანდათხობით ნატო მსოფლიო წესრიგზე პასუხიმგებელი ორგანიზაცია გახდა (ამასთან, მოსალოდნელი არ არის გაერო-ს როლის სრული დევრადაცია, ის კვლავ შეასრულებს, მართალია, რამდენადმე შეზღუდულ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში). კიდევ ერთი. ბოლო დროს გამოიკვეთა დასავლეთის გლობალური გავლენის შემდგომი გაძლიერების ტენდენცია. ეს კი ფაქტობრივად ამ საუკუნის დასაწყისში არსებული სისტემის აღდგენაა ორი არსებითი განსხვავებით, კერძოდ კი, რუსეთი ჯერჯერობით არ აღიქმება დასავლეთის ნაწილად და საუკუნის დასაწყისისაგან განსხვავებით, დასავლური სახელმწიფოები ერთმანეთთან არ იმყოფებიან სერიის უკულ დაპირისპირებაში. დასავლურ ინსტიტუტთა ფართო ქსელის საშუალებით ისინი უვაქტიანად ახერხებენ არსებული პრიმერების დარეგულირებას.

— ცვლილებები გეოპოლიტიკურ სფეროში გამოიხატა ევრაზიის კონტინენტზე ძალას ბალანსის ძირის შეცვლით, დასავლეთის ინსტიტუტების განვრციბითა და გაფართოებადი ევროპის დაბადებით. მას ემატება ტრადიციული კონფლიქტების რეგულაცია და ახალი კონფლიქტების წარმოშობა. ამასთან, ირკვევა, რომ ევროპას აშშ-ს გარეშე არ გააჩნია რესურსები ამ კონფლიქტების დარეგულირებისათვის და ევრაზიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. გეოპოლიტიკურ ძვრებს შორის უნდა გამოვყოთ კომუნიკაციათა ახალი გლობალური ქსელების შექმნაც, რომელიც მნიშვნელოვანად ცვლის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას.

— ეკონომიკური ძვრები გულისხმობს საბაზო ეკონომიკის პრინციპების გლობალურად გავრცელებას. ამ ტიპის ეკონომიკამ უკვე

მოიცვა გიგანტური სივრცეები ყოფილი სსრ კავშირისა და მისი სატელიტების, აგრეთვე კონტინენტური ჩინეთის. ორიოდე ეკონომიკურად იზოლირებულ და ავტარკიულ რეჟიმებს (ჩრდილო კორეა, კუბა) გადარჩენის პრაქტიკულად არავითარი შანსი არა აქვთ.

— ტექნოლოგიური ძვრები გამოიხატება ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარე ყოველდღიური რევოლუციებით, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათზე. არნახული წარმატებებია კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და კოსმოსის ათვისების სფეროშიც.

— სამხედრო ხასიათის ძვრები განიხაზდვრება როგორც პოლიტიკური და გეოპოლიტიკური, ასევე ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორებით. თანამედროვე პირობებში განვითარებელი სამოქალაქო სექტორის ფონზე შეუძლებელია განვითარებული სამხედრო სექტორის შექმნა (როგორც ის სსრკ-ს შემთხვევაში მოხდა). აქედან გამომდინარებს დასავლეთის წამყვანი როლი სამხედრო სფეროში (რომელიც გარკვეულწილად რუსეთის სტრატეგიული ბირთვული პოტენციალით ბალანსდება). სამხედრო ძალის განმსაზღვრელი განადგურების საშუალებებით ერთად მართისა და დაზვერვის საშუალებებიც ზდება, უპირველეს ყოვლისა, კოსმოსური. ახალი რევოლუცია სამხედრო სფეროში მოსალოდნელია XXI საუკუნის 20-იანი წლებისთვის. ეს ფაქტი ძირულად შეცვლის ჩვენს წარმოდგენებს სამხედრო მოქმედებების ხასიათზე.

— კულტურული ძვრები — ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის ეროვნული თუ სხვა სახის ბარიერების თანდათანობით გაქრობით გამოიხატება. გაჩნდება თვისებრივად ახალი საინფორმაციო ქსელები და ადამიანის თვითიღენტიფიკაციის ახალი, ზეროვნული ფორმები (როდესაც პოლიტიკული და ბერძნი ეროვნული მიკუთვნებულობის გარდა, თავს გააცნობიერებს, როგორც ეროვნული, ხოლო არაბი და ჩეჩენი — მუსულმანი). ამასთან, ეს არ ნიშნავს ეროვნული იდენტიფიკაციის ტრადიციული ფორმების გაქრობას.

**საშინაო და საბარემო პოლიტიკის თანაზრდობა
სამრთაშორისო ურთიერთობათა თანამდებობები სისტემაში**

პოლიტიკური მეცნიერების აქსიომაა, რომ საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს და უპირატესად მას ემსახურება. თუმცადა თანაფარდობა ამ ორ კომპონენტს შორის

სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ ხასიათს ატარებდა და მრავალ-გვარი მიზეზით იყო განპირობებული.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემასთან მიმღრობაში ეროვნული სახელმწიფო გამოყისი, როგორც ელემენტი, რომელიც სხვა ელემენტებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობებითა დაკავშირებული. ამავე დროს, სახელმწიფო, საშინაო-პოლიტიკური აზრით, თავად წარმოადგენს სისტემას, რომელიც სხვადასხვა ელემენტისგან შედგება. ერთი სიტყვით, ის, რაც ერთ შემთხვევაში სისტემად გვევლინება, მეორევან ელემენტად წარმოგვიდგება. ამრიგად, საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთმანეთში გადაედინება სხვადასხვა იერარქიული დონეებისა და ქვედონების მეშვეობით. რაღაც მიზეზთა გამო ამ გადასვლებს შედევად მოსდევს ის, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა პარალიზდება.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთობის დღვევანდელი სახისათვის ამ ორი სექტორის ერთმანეთთან ინტეგრაციის ისეთი დონეა დამახასიათებელი, რაც კაცობრითობისათვის აქამდე უცნობი იყო. ამას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

— ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის უნივერსალური ხასიათის მინიჭება, რასაც შედევად მოსდევს, რომ ამ სფეროში განხორციელებული ქმედებები მეტად ვეღარ ჩათვლება სახელმწიფოს შინაგან საქმედ, არამედ ამ საკითხებში სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული პოზიცია უშუალოდ იძოქმდება მისი ინტეგრირების ხარისხშე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში და სახელმწიფოს მოქმედებაც შესაბამისად შეფასდება (პოზიციურად, ნებატიურად).

— ეკონომიკის სექტორში პროტექციონიზმზე საბოლოო უარით, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების საყოველთა აღიარებითა და საშინაო ბაზრების გამოთვალისუფლებით, რაც აურეთვე შელის ზღვარს საშინაო და საგარეო პოლიტიკას (ამ შემთხვევაში ეკონომიკურ პოლიტიკას) შორის.

— ინფორმაციის ქსელების შექმნით, რომელთა შიდა მოწმარებლებს უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა ესსნებათ გარე სამყრისათვის.

— ინტეგრაციის პროცესით, რომლის დროსაც ეს თუ ის სახელმწიფო საგარეო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე (ვთქვათ, რომელიდაც პრესტიჟულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად), თავისი საშინაო ინსტიტუტების იმგვარად მოწყობას იწყებს, რომ შესაძლებელია საგარეო მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

— რეგიონალიზაციის პროცესი, რომელსაც, თავის მხრივ, ორი განზომილება აქვს — მიკრო და მაკრო. მაკრო დონეზე იგულისხმება

სახელმწიფოთაშორისი კავშირების შექმნა ერთი დღიდ რეგიონის ფარგლებში (კეროკავშირის ან ნაფტას ტიპის), ხოლო მიქრო დონეზე ამგვარ რეგიონულ კავშირში შემავალი სახელმწიფოების მეზობელ რეგიონებში ყალიბდება განსაკუთრებული ურთიერთობა.

— თავისუფალი საგაფრო ზონების სულ უფრო მხარდი გარეულება, რომლის დროსაც საშინაო კანონმდებლობა იმგვარად მოდიფიცირდება, რომ ერთგვარად გარდამავალ საფეხურად გადაიქცევა კრონულ და საერთაშორისო კანონმდებლობებს შორის.

მასალოდნელია, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ტენდენციები თავის არსებობას გრძელვადიან პერსპექტივაშიც გააგრძელების. აქედან გამომდინარე, ჩვენ მომხრენი ვართ, რომ საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების დაგეგმვისას საქართველომ გაითვალისწინოს აქ აღწერილი ტენდენციები. მხოლოდ ამ ნორმების გათვალისწინებით (პირველ რიგში, ჰემპარიტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გარანტიების შექმნით), რომ შეიძლება საქართველომ საგარეო პოლიტიკური ვითარება თავის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს და, მართლაც, ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

გაფართოებადი ღასაპრეზი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ ყველაზე უფროდამენტურ ტენდენციას დასავლური სივრცის გაფართოება წარმოადგენს.

დასავლური სივრცის გაფართოება ნიშნავს, რომ ამ პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა სულ უფრო და უფრო დიდი მოცულობის სივრცე მოიცავს. ეს პროცესი არამც და არამც არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეთნოკულტურული სახის დაკარგვას. მეტიც, ტერმინი „დასავლეთი“ გაცილებით უფრო მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეთნოკულტურულს. თვით ტერმინი „ვროპელიც“ კი, რომელიც გულისხმობს დასავლურ ინსტიტუტთა ერთობლიობას, სრულიად სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებს ეთნოკულტურული შინაარსით. ის, რომ ბალკანეთისა და სეპიანიავის მკიდრნი ერთნაირად „დასავლური“ ხდებიან, მათი საზოგადოების განშახლვრები პოლიტიკური ინსტიტუტების აზრით, არამც და არამც არ ნიშნავს ლი პოლიტიკური ინსტიტუტების აზრით, არამც და არამც არ ნიშნავს მათ შორის ანსებული ეთნოკულტურული განსხვავებების ნიველირებას ანდა მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ თარჯზე მოჭრას. დასავლური ინსტიტუტების დამკაიდრების აღწერილი პროცესისათვის

დასავლეთის პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება რომ ოდნავადაც არ უშლის ხელს კონიკური და კულტურული თვითმყოფადობის დაქარგვას, ამის ყველაზე საუკეთესო მაკლიონს იაპონია იძლევა, დასავლეთი (ცხადია, არა გეოგრაფიული აზრით) ქავება, სადაც დასავლეთი ინსტიტუტების დამკვიდრებას შედევად არა მხოლოდ მოსახლეობის არნახული კუთხოლდებოდა და უსაფრთხოება მოჰყავა, არამედ მაღალი ეთნოკულტურული ტრადიციის შენარჩუნებაც. იგივე შეიძლება თქვას სამხრეთ კორეის მიმართაც. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ საფუძვლიშივე მცირავი იმ ექსპერტების ვარაუდი, ვინც ჩვენში დასავლეთი ინსტიტუტების დამკვიდრებით ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისათვის საფრთხეს ხვდავს. მით უფრო, რომ ქართული შეასაკუნეობრივი კულტურა ტიპოლოგიურად სწორედ დასავლეთოან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე თვით ერთმორწმუნე ბიზანტიასა ან რუსეთით.

დასავლეთის პოლიტიკური სივრცის გაფართოება, რასაკვირველია, თანდათანობით პროცესია, მაგრამ ეს არ უნდა გავიღოთ ისე, თითქოს გაფართოებად დასავლეთში, ჯერ ერთი, სახელმწიფოებრივ - ინსტიტუციონალური თვალსაზრისით მზა არეალის ინტეგრირება ხდება, შემდეგ მეორესი და ა. შ. გარდა თანდათანობითობისა, გაფართოებადი დასავლეთი სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა დონით ერთდროულ განვრცობასაც გულისხმობს. მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივ-ინსტიტუციონალური თვალსაზრისით დასავლეთში ინტეგრირებისათვის მომზადებულ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი უპვე მოქეცა მასში, სხვა სახელმწიფოებში ჯერ კიდევ დასავლეთი ინსტიტუტების აღმშენებლობა მიმდინარეობს. სხვა კანდიდატ ქვეყნებში თანდათანობით ეყრება საფუძველი დასავლეთი ინსტიტუტების ჩანასახის ჩამოყალიბებას. ამასთან, ეს არ არის მხოლოდ ვიღაცის სუბიექტური ნების მიერ ეკონისტური მოსაზრებებით პროცესირებული პროცესი. ეს არის ისტორიული განვითარების დღევანდველი ეტაპისათვის დამახასიათებელი ობიექტური ტენდენცია.

გაფართოებული დასავლეთის გეოგრაფიული ღერძის კორექტირებასთან დაკავშირებით ამჟამად მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანაც ხორციელდება. თუ აქმდე დასავლეთის განვრცობა ძირითად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ბალტიისინირების მიმართულებით იაზრებოდა, ახლა ეს პროცესი თანაბრად ერცელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზეც. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ ბალკნითის რიგი სახელმწიფოები (სლოვენია, ბულგარეთი, რუმინეთი) დამთავრებენ სახელმწიფო ინ-

სტიტუტების იმგვარ რეფორმირებას, რომელიც მათ დასავლურ სიკრცეში სრულფასოვანი სამხედრო (ნატო-ს წევრობა) და ეკონომიკური (ევროკავშირის წევრობის რეალური კანდიდატობა) ინტეგრირების საშუალებას მისცემს. ამას შედეგად მოჰყვება შავი ზღვის უდიდესი ნაწილის მოცვა დასავლური სამხედრო და ეკონომიკური სტრუქტურებით, რასაც საქართველოსათვის უაღრესად პოზიტიური შედეგების მოტანა შეუძლია. დასავლური ინსტიტუტების ბალკანიზაცია განვრცობის შეძლევ მათი გაფართოების ბუნებრივ გეოგრაფიულ არეალს სამხრეთ კავკასია და, უპირველეს ყოვლისა, საქართველო წარმოადგენს.

ამასთან, ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლური სიკრცის განვრცობა თავისი არსით პოზიტიური პროცესია, რომელიც მიზანმიმდართულია არა ვინმეს ინტერესების წინააღმდეგ, არამედ იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ახალი, უფრო სრულყოფილი სახე შეიძინოს. ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამატომ ჩვენი ძალის ხმევა საქართველოს აქტიური ჩართვისაკენ იქნება მიმართული. ამგვარ კონკრეტულ მექანიზმებზე ჩვენი ნაშრომის სათანადო მონაცემთაში გვექნება საუბარი.

პირითაღი ცნებები:

1. გაფართოებადი დასავლეთი.
2. საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახლებური თანაფარდობა.

პირითაღი:

1. ჩამოთვალეთ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები.
2. ჩამოთვალეთ ძირითადი ძერუბი პოლიტიკის, ეკონომიკის, სამხედრო საქმისა და კულტურის სფეროებში.

ლ უ კ ც ი ა 7.

შავი ზღვისა და კაშკასიის ახალი როლი ევროპის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ სიმრბეში

ზემოთ აღნიშნული გლობალური ტენდენციების გარდა, აუცილებელია აღინიშნოს კავკასიის (უფრო ფართოდ ბალკანეთ-კავკასია-ცანტრალური აზის) არეალში მიმდინარე საფუძვლმდებარე ძრობი, რომელმაც ამ სივრცეს შეიძლება თვისებრივად ახალი ფუნქცია მიანიჭოს საერთაშორისო ურთიერთობათ სისტემაში. ამ ტენდენციასთვის განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ორი — ენერგომატარებლების კომუნიკაციათა ახალი, მსოფლიო მნიშვნელობის ქსელის შექმნა და შევი ზღვის ახალი ფუნქციონალური როლი საერთაშორისო ურთიერთობათ სისტემაში. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით დავახასიათებთ ორთვე ტენდენციას.

საერთაშორისო კომუნიკაციების ახალი სისტემის ფორმირება

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა გლობალური სისტემის კიდევ ერთ ფუძემდებლურ ტენდენციას კომუნიკაციათა ახალი სისტემის ფორმირება წარმოადგენს. ეს პროცესი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ ნავთობისა და გაზსაღენების ახალი ქსელის ფორმირება. არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო კომუნიკაციების ფორმირებად სისტემასაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაზსაღენი შეიძლება სისხლძარღვების როლს შევადაროთ ადამიანის ორგანიზმში, იმავე ანალოგით საინფორმაციო კომუნიკაციებს შეიძლება ნერვული სისტემის ფუნქცია დაეკისროს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმისთვის სასიცოცხლო სიგნალების გადაცემა ხდება.

კომუნიკაციების ახალი, ფორმირებადი ქსელი არა მხოლოდ უშეალო ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობათ სისტემაზე, არამედ გარევეულად ცვლის თავად გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას და თვით პოლიტიკის არსეს. კომუნიკაციების სისტემა არ უკავშირდება მხოლოდ ეკონომიკას, გლობალიზაციის პროცესს. იგი ქმნის ახალ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციებს, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ წმინდა გეოგრაფიული კი არა, ფუნქციონალური ფაქტორებით განისაზღვრება, სადაც კომუნიკაციები ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. მით უფრო, რომ ნავთობზე ფასების

უკანასკნელმა გაძვირებამ მსოფლიო ბაზარს ნათლად აჩვენა, რომ ნავთობის ტრადიციული წყაროების გვერდით ახალი რესურსებიცაა მოსაძიებელი. ასეთი რესურსების მნიშვნელოვანი წილი კი სწორედ კასპიის აუზშია კონცენტრირებული. თანამედროვე პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე კი, ამ რესურსების უმეტესობა მსოფლიო ბაზარზე სამხრეთ კავკასიის მარშრუტით შეიძლება მოხდეს, რაც ჩვენს რეგიონს თვისებრივად ახალ ფუნქციას ანიჭებს. ამასთან, ეს ფუნქციონალური ცვლილება ემთხვევა მეორე უმნიშვნელოვანეს რეგიონულ პროცესს, რომელიც შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებს ეხება.

ზღვისა და წმელეთის ახლებური მიმართება პოსტკივითი იმის ხანისა და შავი ზღვის ახალი გეოპოლიტიკური ფუნქცია

თანამედროვე, ბიპოლარული დაპირისპირების შემდგომი ხანა წასიათდება მთელი რიგი სპეციალისტური ნიშნებით. მათ შორის გამოვყოფთ:

ომის მოქმედებათა სტრატეგიის თვალსაზრისით, ჩეჩნებს რამდენიმე უპირატესობა აქვთ რუსებთან შედარებით, მათ აქვთ პარტიზანული მოქმედებებისათვის დიდი გამოცდილება და კარგად ერკვევიან ადგილმდებარეობაში. მათი მორალული სულისკვეთება მაღალია, რაც ამგვარი ტიპის სამხედრო მოქმედებებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რუსეთი ძმულებულია პერიოდულად აწარმოოს ჯარისკაცთა როტაცია, რასაც შედეგად მოსდევეს ის, რომ ჯარისკაცები ადაპტირებიდან გარკვეული დროის შემდეგ ტოვებენ ჩეჩნების ტერიტორიას. რუსეთის შეიარაღებული ძალების მორალური დონე დაბალი ან ძალიან დაბალია, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთში გაშლილი 42-ე მოტომსროლელი დივიზიიდან მხოლოდ 2000 წლის მეორე ნახევარში (ანუ იმ პერიოდში, როდესაც რუსეთი ამტკიცებდა), რომ საბრძოლო მოქმედებები პრაქტიკულად დამთვრდა) დათხოვთლ იქნა 3306 „კონტრაქტინკი“ (ანუ შენაუროს თითქმის მესამედი). ისინი დაითხოვეს კონტრაქტის შეუსრულებლობის გამო, რაც, ძირითადად, დაბალ მორალურფიქციონურ მდგრადობაში გამოიხატებოდა.

თუმცა ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნეთის მეორე ოპერაციის პირველი უტაპი მაინც უკეთ იყო თრუანიზებული, კიდრე პირველი ომი. პარიზში მასხალევის მთავარი შტაბის წარმომადგენელმა პესეიინ ისხანვდა დაადასტურა, რომ შარმანდელი წლის დასაწყისში (საუბარია 2000 წლის დასაწყისზე) ჩეჩნებმა სერიოზული დანაკარგები განიცადეს. ჩეჩნეთის პირველ ოშში მათ არც ერთი ოპერაციისას არ დაუკარგავთ 100-ზე მეტი მებრძოლი, ახლა კი მხოლოდ კომსომოლების ბრძოლისას 841 მებრძოლი დაკარგეს.

გროვნოსთვის ბრძოლაში ჩეჩნებმა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ 300 კაცამდე დანაკარგი პქონდათ (იგივე წყაროებით რუსეთის დანაკარგი 1000-მდე მოკლულსა და რამდენიმე ათას დაჭრილს აღწევდა), მაინც დატოვეს დედაქალაქი, ვინაიდან გაუთავებულმა დაბომბებებმა (მათ შორის ვაკუუმური ბომბების გამოყენებით) და მშეიღობიანი მოსახლეობის უკიდურესად სავალიალო მდგომარეობაშ მათზე უაღრესად მძიმე გავლენა მოახდინა (არსებობს სხვა ვერსიაც, რომ ჩეჩნების სავალე მეთაურებმა გროვნო დატოვეს პუტინისგან დიდი საფასურის ფასად. გროვნოს დაკავების გარეშე პუტინი ვერ მოახერხებდა პირველივე ტურმი გამხდარიყო რუსეთის პრეზიდენტი). გროვნოში ჯერ ერთმა სავალე მეთაურიმა დატოვა პოზიციები, შემდეგ სხვებიც მიჰყვნენ. უკანდახევა საკმაოდ არაორგანიზებულად ჩატარდა და ამბოხებულებმა ამ დროს

უფრო მეტი მებრძოლი დაკარგეს, ვიდრე უშუალოდ ქალაქისათვის ბრძოლაში.

რუსები ახერხებდნენ მოუბში განლაგებული მებრძოლების პელენგაციასა და მათი საცეცხლე ძალის გამოყენებას სავარაუდო სამიზნეების წინააღმდეგ. ასე რომ, შარშან გაზაფხულისათვის ჩეჩენების მდგომარეობას იოლს ვერ ვუწოდებდი.

მაგრამ რუსეთის არმის მიერ გამოჩენილმა სისახტიცემ, რომელიც რუსულ პრესასაც აშფოთებდა, ჩეჩენურ წინააღმდევობას პოზიციები გაუძლიერა. ჩეჩენმა ამბოხებულებმა მასიურად დაიწყეს რაზმების გაგზავნა ბარად, სადაც ისინი მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. რუსეთის დანაკარგები იზრდებდა, ხოლო ჩეჩენთის მოსახლეობა, განსაკუთრებით ოც წლამდე ახალგაზრდები მზად იყვნენ დაუსრულებლად ეწარმოებინათ სამხედრო მოქმედებები.

გასათვალისწინებელია ოქატრის მთიან-ტყიანი ხასიათი, რაც აგრეთვე აიოლებს პარტიზანულ მოქმედებებს. როგორც კოსოვოს ომმა ცხადყო, ასეთ ოქატრზე უვარვისია დამზნების ლაშერული სისტემები, რომლითაც აღჭურვილია რუსეთის ავიაცია. ამ უქანასკნელის შეიარაღებაზე არ არის გას-ხის სისტემის ბომბები(და უახლოეს ხანში არც იარსებებს ფინანსურ მოსაზრებათა გამო). ძნელად გასავალ ადგილებზე გადაადგილებისათვის ჩეჩენები მასიურად იყენებენ ცხენებს, რომლებიც არ ჰყავთ რუსებს და რომც ჰყავდეთ ვერ გამოყენებდნენ, რადგან არმის არ გაუვლია საკავალერიო მომზადება.

რუსეთმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მის მიერ განხორციელებული სტრატეგია ვითარების აღკვადური არ იყო. ეს გამოიხატა იმით, რომ კაზანცევი, შემანოვი და ტროშევი სხვადასხვა საბაბით ჩამოაშორეს სამხედრო მოქმედებებს, ხოლო გენერალი ბარანოვი ფსბ-ს დაუქვემდებარებს. რაც მთავარია, რუსეთმა ჩეჩენთში მოქმედებისათვის ახალი სტრატეგია მიიღო.

რუსეთის ახალი სტრატეგია

ახალი სტრატეგია ემყარება იმ გამოცდილებას, რომელიც პქონდა საბჭოთა უშიშროების ორგანოებს დასავლეთ უკრაინელებთან და ბალტიისპირელებთან ბრძოლაში. ეს სტრატეგია ეფუძნებოდა შემდეგ პრინციპებს:

— ამბოხებულებთან ბრძოლაში პრიორიტეტი უნიჭება უშიშროების ორგანოებს.

— ოპერატორული ხელმძღვანელობა აგრეთვე გადადის უშიშროების სტრუქტურებზე.

— ყოველ დასახელებულ პუნქტში ხდება გარემოებული ქვედანაყოფის მუდმივმოქმედი დისლოკაცია. ეს ქვედანაყოფი დღისით ოუღამით თვალყურს აღვნებს მოსახლეობას.

— დასახლებულ პუნქტებს გარეთ მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ მოქმედება მირითადად ევალება სპეცდანიშნულების ძალებს.

უფრო კონკრეტული თვალსაზრისით, ამ გეგმის რეალიზაცია შემდეგ ხასიათს მიიღებს:

— ჩეჩენთის 162 დასახელებულ პუნქტში განლაგდება გარნიზონები ასეულის ან გაძლიერებული ასეულის დონეზე (100-200 მეტრი).

— დასახლებულ პუნქტებში — კალინოვსკოე, ხანკალა, ბორზოე, შალი და ზოგიერთ სხვა რეგიონში განლაგდებიან გარნიზონები (ძალები), რომელიც ოპერატორულად დაექვემდებარება რაიონების კომენდანტებს.

— ცენტრალურ რეზერვს შექმნის 42-ე მოტომსროლელი დივიზია (დისლოკაციის აღგილი გროზნო-გუდერმესი), აგრეთვე შინაგან ძალების ბრიგადა (იქვე).

— გარდა თავდაცვის სამინისტროს ნაწილებისა, ისეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორიცაა: ჩერვლენოი, გუდერმესი, კურჩალიი, ურუს-მარტანი და ვედენი განლაგდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ბატალიონები, თოშოეული დაახლოევებით 500 მებრძოლის ოდენობით.

— ამრიგად, ჩეჩენთში დარჩენილი ძალების ოდენობა დაახლოებით 50-60 ათასამდე ჩამოვა, რაც ავღანეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქონტინგენტის დაახლოებით ნახევარია, იმ ვითარებაში, როდესაც ჩეჩენთის ტერიტორიას ავღანეთის ტერიტორია თითქმის 50-ჯერ ჭარბობს. შესაბამისად, სამხედრო მოქმედებების გამოცხადებული დასრულების შემდეგ ჩეჩენთის ტერიტორიის ერთ კვადრატულ ერთულზე 25-ჯერ მეტი ჯარისკაცი იქნება განთავსებული, ვიდრე ავღანეთში ყველაზე მძიმე ბრძოლებისას. ეს ფაქტი და სტატისტიკა შესანიშნავად ცხადყოფს რაოდენ შორს არის ჩეჩენთის ომი დასრულებისაგან.

— ასეთი დაჯგუფებისათვის მუდმივი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის ჩეჩენთში მოიზიდება 4000 სამხედრო მშენებელი და 300 ერთული საშენობლო ტექნიკა.

ასეთია ზოგად ჩარჩოებში რესეტის ახალი სტრატეგის საფუძველი.

ლმდებარე ელემენტები. სტრატეგიული ანალიზის შემდგომი ეტაპია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს ასეთი სტრატეგია.

რუსეთის ახალი სტრატეგიის შევასება

ცხადია, სტრატეგიის შეფასებისას ჩვენ უპირატესად სამხედრო კიიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ. ახლა აღვნიშვნავთ იმ ფუნდა-მენტურ განსხვავებას, რომელიც არსებობს დასავლეთ უკაიინს ან ბალტიისპირეთის ომის შემდგომ და დღევანდელ ჩეჩენეთში არსებულ ვითარებას შორის.

— აბსოლუტურად არააღეკვატურია სტალინის რეჟიმის ძალის, რესურსებისა და ნების შედარება დღევანდელი რუსეთის ძალასთან, რესურსებსა და ნებასთან;

— დასავლეთუკრაინელებსა და ბალტიისპირელებს ებრძოდნენ ადამიანები, რომელთაც მცირე ხნის წინ გამარჯვებას მიაღწიეს კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ომში და რომელნიც შეკრულნი იყვნენ ერთიანი დეოლოგით. მაშინ, როდესაც დღეს ჩეჩენეთში ომობენ ადამიანები, რომლებიც უკვე დამარცხდნენ ერთ, ზოგიერთები ორ ომში (თუ ავღანეთსაც ჩათვლით) და რომლებსაც არ აერთიანებთ არავითარი იდეოლოგია.

— სტალინის დროს დისციპლინა ბევრად უფრო (რომ არ ვთქვათ შეუდარებლად) მაღალი იყო, წარმოუდგინელი გახლდათ, რომ ტერორისტობაში ეჭვმიტანილი პირი უულის გადახდის საფუძველზე გამოიშვათ, მით უფრო, რომ მოწინააღმდეგე შხარისათვის ირადი და ტყვიაწამალი მიეყიდათ, დღევანდელ ჩეჩენეთში ეს ყოველდღიური რეალობაა.

— დასავლეთუკრაინელი და ბალტიისპირელი პარტიზანების წინააღმდეგ მიექცევიდნენ შეუდარებლად დიდი ძალები: ათეულობით საარმიონ და უშიშროების დივიზიები (თანაც ომის წარმოების გამოცდილებით), ათასობით ოპერმუშაკი. რუსეთს დღეს ამისთვის პრაქტიკულად არ აქვს ადამიანური თუ მატერიალური რესურსები.

— სტალინის რეჟიმი დაცული იყო გარეპოლიტიკური თუ პუმანიტურული ზეწოლისაგან, მაშინ, როდესაც დღევანდელი რუსეთი მისი დასავლეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების გამო ექვედებარება ასეთ ზეწოლას.

უკვე ეს განსხვავებებია საკმარისი, რათა ეჭვეპეშ დავაყინოთ რუსეთის ახალი სტრატეგიის ეფექტიანობა. მაგრამ ჩეჩენეთის

შემთხვევაში დამატებით მუშაობენ მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც.

— თავიანთი ფსიქოლოგითა და ბრძოლისუნარიანობით შეუძლებელია ჩეჩენების შედარება დასავლეთუკრაინელებთან ან მით უფო ბალტიისპირელებთან.

— დასავლეთ უკრაინასა და ბალტიისპირეთში არ მოქმედებდა ისლამური ფაქტორი. დასავლეთ უკრაინასა და ბალტიისპირეთს არ ჰქონდა გასასვლელი რუსეთისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე.

— სტალინის უშიშროების სისტემის შედარება დღევანდვლი რუსეთის უშიშროების სისტემასთან ვრავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

— უშიშროებისთვის ოპერაციის ხელმძღვანელობის გადაბარებისას უცნობია მრავალრიცხვანი რეორგანიზაციებითა და კვალიფიკაციური კადრების წასვლით (პენიაში, კომერციული სტრუქტურების უშიშროების სამსახურებში გადაბარებით და ა. შ.) დასესტებული სისტემა რამდენად მოახერხებს ეფექტურ მოქმედებას მუსელმანურ, მთა უფრო ჩეჩენურ რეგიონში.

ზემოხსენებული ფაქტორების გარდა, რუსეთის ახალი სტრატეგიის რეალიზაციას ხელს შეუშლის შემდეგი ფაქტორები:

— არსებობს ჯრთადერთი გამოცდილება, როდესაც ჩეჩინეთში სამხედრო ოპერაციის წარმოების სარდლობა თავის თავზე უშიშროების სტრუქტურებმა აიღეს. ეს იყო პერვომაისკის ცნობილი ბრძოლა სალმან რადუეგის წინააღმდეგ. ეს ოპერაცია რუსეთის სამხედრო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საბარცხვინო ფურცელია.

— ჩეჩინეთს როგორც პირველ, ისე მეორე ომში მოქმედებს სრულიად სხვადასხვა უწყებისადმი დაქვემდებარებული ძალები. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, მათ შორის ურთიერთქმედების ხარისხი ძალიან დაბალია, ხოლო ურთიერთუნდობლობა — დიდი, იქმდე, რომ მათ ერთმანეთისაგან განსხვავდებული, ზოგჯერ საპირისპირ დავალებები ეძღვევათ.

— როგორ სტაციონარულადაც არ უნდა განლაგონენ რუსეთის ჯარები ჩეჩინეთში, მათ მაინც მოუწევთ სურსათ-სანოვაგის, ამუნიციის და ა. შ. გადატანა დასახლებულ პუნქტებს შორს. ამგვარი გადატანებისას ისინი ისევე ადვილად თავდასასხმელი იქნებიან ჩეჩენთა და მათ მობილური რაზმების ზემოქმედებისაგან.

— არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ სტაციონარული დისლოგაცია კონტრპროდუქტული არ იქნება. ვინაიდან არაფერი არ ეწინააღმდეგება ისე მცირე ინტენსივობის ომისათვის დამახასიათებელ მაღალმობილურ და მაღალმანევრულ ოპერაციებს, როგორც

სტაციონარული დისლოკაცია. ჩეჩენებს შეუძლიათ რუსების სტაციონარული გარნიზონებისთვის ცეცხლის მუდმივი დაშენით (განსაკუთრებით ღამის საათებში) მათი გამოფიტვა და ფსიქოლოგიური მდგრადობის კიდევ უფრო დაქვეითება. ამას გარდა, გაურკვეველია როგორ მოახერხებს ასეული, თუგინდ გაძლიერებული, უფასებრი მოქმედებას ჩეჩენეთის წინააღმდევ, რომელთაც უკვე აქვთ გამოცდილება რუსელი ასეულების მთლიანად განადგურებისა (მხედველობაში გვაქვს რიაზანის საპატიო-სადესანატო დივიზიის ასეული მთლიანად განადგურება). ამის გარდა, სტაციონარული დისლოკაცია უმრავ დასახლებულ პუნქტში ჩეჩენებს საშუალებას მისცემს თვალს დაესხნენ ასეულის დისლოკაციის ადგილს, მათი ნაწილი გაიტყოონ და ძირითადი ძალებით გაანადგურონ გარნიზონის დანარჩენ, ნაწილი. თუ გარნიზონი მათ არ გაედევნება, მოწინააღმდევებს ჩეჩენები უბრალოდ გამოფიტავენ გაუთავებელი ღამის თავდასხმების გზით. ასე რომ, მუდმივი დისლოკაცია კონტრპროდუქტული იქნება წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისით.

რუსეთის გავლენიანი გაზეთი „ნეზავისმაია გაზეტა“ 2001 წელს რეა თებერვლის ნომერში აღნიშნავდა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაც გავლენიანი პირები დაინტერესებულნი არიან საბძროოლ მოქმედებასა დაუსრულებელი გაგრძელებით. რომ ახალი სტატეგია სხვა არაფერია, თუ არა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სტრატეგიულ თავდაცვაზე გადასვლა, რასაც ძალების კონცენტრაციის ნაცვლად მათი გაფინტვა მოსდევს. როგორც გაზეთი აღინიშნავს, „კონტრპარტიზაციული მოქმედებების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეიარაღებული ამბოხით მოცულ ტერიტორიაზე დაჯგუფების ამგვარი გაფანტვა ჩიხისაკენ მიმავალი გზაა და ანუ ჩეჩენეთის მეორე ომი არასოდეს დასრულდება“.

ამას ემატება შემდეგი გარემოებები:

– რუსეთის ფიზიკურად არ ექნება საშუალება განალაგოს საქმაოდ დიდი ძალები ჩეჩენეთის ყველა დასახლებულ პუნქტში. დისლოკაციის ზემოთ ნაჩენები სქემიდან გამომდინარე, 10-15 დასახლებულ პუნქტში განლაგდება 20-25 ათასი მებრძოლი (იგულისხმება 42-ე დივიზია თავისი დაახლოებით 15 ათასი მებრძოლით, შინაგანი ძალების ბრიგადა 5-6 ათასი მებრძოლით და შინაგანი ძალების ხუთი ბატალიონი თითოეული 500 მებრძოლით). შესაბამისად, დანარჩენ 150-მდე დასახლებულ პუნქტში რუსეთის საშუალოდ შეეძლება განალაგოს 150-250 მებრძოლი (იმისდა მიხედვით რა რაოდენობის კონტინგენტი დარჩება ჩეჩენეთში 50 ათასი, თუ 60 ათასი). მაგრამ ეს საშუალო-სტატის-

ტიკური ციფრებია. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში რუსეთი იმულებული იქნება განალაგოს ორი ასეული, ხოლო სხვებში შესაბამისად მხოლოდ ოცეული. ამ ოცეულს კი ახალგაზრდა ლეიტენანტი უხულმძღვანელებს, რომელსაც საბრძოლო ფუნქციების გარდა, მოუწევს შეასრულოს დაზვერვა და კონტრდაზვერვა, აღვილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. რუსეთს აშკარად არ ჰყავს საჭირო ოდენობით მომზადებული ოცეულებისა და ასეულების მეთაურები ამგარი საქმიანობისათვის. არადა ასეთ კადრებს ახალი სტრატეგია არ ამჟავებს დასახლებულ პუნქტთა უძრავლესობაში.

— უაღრესად როგორია ასეთი მოძროებული გარნიზონების უზრუნველყოფა. ამდენი გარნიზონი გაუთავებდად მოითხოვს უზარმაზარი ოდენობის აეტოკოლონების გადადგიდლებას, რაც შესანიშნავ პირობებს შეიქმნის არა მხოლოდ გარნიზონებზე, არამედ მათ უზრუნველმყოფ კოლონებზე თავდასხმებისათვის.

— გარნიზონებს ძალიან გაუჭირდებათ თავიანთი რესურსებით მოიპოვონ სასმელი წყალი, საკვები, დაამზადონ საჭმელი.

— კოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ახალი სტრატეგია, რომლის აკტორადაც გენერატორის კვაშნის ასახლებენ, ვრავათარ შემთხვევაში ვერ იქნება უფრთიანი. რუსებს ამ სტრატეგიის რეალიზების შემთხვევაში გაუთავებდად მოუწევთ სამხედრო მოქმედებების წარმოება, ხოლო ძელ სტრატეგიაზე დაბრუნება ასევე გაუთავებდება მოქმედებებს გამოიწვევს, ვინაიდან, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, რუსეთი თავის მიზნებს ვერც ძელი სტრატეგიით აღწევდა (აკი ამიტომაც გადავიდნენ ახალ სტრატეგიაზე). გამოსავალი შეიძლება კიდევ ერთი ახალი სტრატეგია იყოს, მაგრამ ისმება კითხვა — არსებობს ბუნებაში საქრთოდ ასეთი რამ?

ამას ემატება მსნევებპლი, დაჭრილთა დიდი რაოდენობა (8 ათასზე მეტი დაჭრილიდან მწყობრში დაბრუნდება მხოლოდ 2500-მდე ჯარისეკაცი თუ მოახერხს). თავდაცვის სამინისტროს ჯარების როტაცია 60 დღეში ერთხელ ხდება, რაც აგრეთვე ართულებს საბრძოლო მოქმედებებს და, რაც მთავარია, ომი ძალიან მძიმე ტვირთად აწვება ჩეჩენითი ეკონომიკას. ლონდონის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის გამოთვლით ახლანდელი კამპანია პიპი-ბის სტანდარტებით 5 მლრდ დოლარი დაჯდა, საპირისპიროდ პირველი კამპანიის — 3, 8 მლრდ-ი. საკმარისია ნავთობზე ფასების დაცემა და რუსეთს ძალიან გაუჭირდება კამპანიის დაფინანსება. არადა პუტინს, რომელიც პრეზიდენტი ჩეჩენითის ომის ტალღაზე

გახდა, ძალიან გაუძნელდება მოქმედებათა დასრულება (ზემოთქ-
მულიდან ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის სასარგებლობ
დასრულდება სამხედრო მოქმედებები).

პიშჩებები:

1. რა არის და როგორია რუსეთის ახალი სტრატეგია?
2. რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს ეს სტრატეგია?

ლექცია 10.

ნატო-ს ახალი როლი და მისი პავაროზობა

საერთაშორისო ურთიერთობას სისტემის შემდეგ არსებითი მომწოდია ნატო-ს გაფართოების ტენდენცია და მისი უუნიკიურის ტრანსფორმაცია, რაც შესაბამისად აისახა ნატო-ს საიუბილო სამიტზე მიღებულ ფუძემდებლურ დოკუმენტში. ნატო-ს გაფართოება შევიძლია დასავლური სივრცის განვითარების კონტექსტში განვიხილოთ, მაგრამ ამ სამხედრო-პოლიტიკურ აღიანსში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანებასა და მისი უუნიკიურის შეცვლას მოული რიგი სპეციალური მომენტები ახასიათებს. ამის გამო მიზანშეწონილია ამ პროცესის ცალკე განხილვა.

ნატო-ს უუნიკიონალური ტრანსფორმაცია გულისხმობს ამ აღიანსის ამოცანების შეცვლას. ეს ნიშნავს, რომ მისი წევრები უროვნელი ტერიტორიების დაცვიდან გადადან საერთო ინტერესების დაცვაზე, რაც ეროვნული ტერიტორიის გარეთ მოიაზრება. ამ მიზნებს შორის პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ სამი: ბრძოლა მასობრივი აღაღის გავრცელებასთან, ბრძოლა ტერიტორიაზმან და სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზებულ დაჯგუფებასთან და ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის კონფლიქტების აღკვეთა ნატო-ს წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული ტერიტორიის სიახლოეს. როგორც ნატო-ს ახალი ფუძემდებლური დოკუმენტიდანაც ცნობილი, ეს აღიანსი ასევე დიდ ყურადღებას ანიჭებს საერთაშორისო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხო ფუძემდებლურის უზრუნველყოფას.

ნატო-ს ტერიტორიული გაფართოება არ არის გამოწვეული მხოლოდ აღიანსის ტაქტიკური სამხედრო მიზნებით. ეს გაფართოება აუცილებელი წანამდლვარია იმისათვის, რათა აღიანსმა თავისი ახალი ფუნქციის შესრულება შეძლოს. კოსოვოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების აღკვეთს ნატო ვერ მოახერხებდა, რომ არა მჭიდრო კოორდინაცია ნატო-სა და მის არაწევრ ბალკანურ სახელმწიფოებს (რუმინეთი, ბულგარეთი, მაკედონია, აღბანეთი), აგრეთვე ნატო-სა და რუსეთს შორის. უკვე ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ანუ იმ რეგიონში, რომელსაც საქართველოც განეკუთვნება, არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად და შესაძლო კონფლიქტების ნეიტრალიზაციისათვის ნატო-ს განვითარებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ნატო-ს ახალი როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გულისხმობს იმას, რომ იქ, საბაც ამას რაღაც მიზეზების გამო გაეროვნება ახერხებს, ეს ალიანსი პასუხისმგებლობას იღებს წესრიგის დამყარებასა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების აღგვეთაზე. მართლია, ამ დროს ნატო-ს მოქმედების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად იზრდება, მაგრამ ის არ იქცევა პლანეტარული მასშტაბის მოქმედ ორგანიზაციად. მისი პასუხისმგებლობის ზონად დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევრაზია რჩება, ანუ ის არეალი, რომელშიც პრიორიტეტულად მოხდება გაფართოებადი დასავლეთის ფუნდამენტური ტენდენციის განხორციელება. ნატო-ს გაფართოებაში ჩვენ საშიშს არაფერს ვხედავთ. პირიქით, მივესალმებით იმ პროცესს, როდესაც რამდენიმე ათეული დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოსაგან შემდგარი აღიანსი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას იქ, სადაც ამას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ახერხებენ. ამასთან, ნატო-ს წევრობა მის წევრს, უფლებებითან ერთად მნიშვნელოვან ვალდებულებებსაც აკისრებს, უპირველეს ყოვლისა, საშინაო წყობისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების უფლების უფლებითანობის აზრით. ამავე დროს, ნატო-ს წევრობა მოასწავებს, რომ ამ სახელმწიფოს თავისი სიტყვა ეთქმის ყველაზეძლიერ და უფექტიან საერთაშორისო გაერთიანებაში, რაც ამ ჭეშანას საშუალებას აძლევს მისთვის განკუთვნილი აღგილი დაიკავოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

ნატო-ში ახალი წევრების მიღებას პრევენტული ფუნქციაც ეკისრება. იმ პრივილეგიების სანაცვლოდ, რაც ნატო-ს წევრებს გააჩნიათ, იღებენ საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, კანდიდატები ვალდებულებას იღებენ შშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი საშინაო კონფლიქტები, მოაწესრიგონ (ასევე შშვიდობიანად) სადაც საკითხები მეზობლებთან და უზრუნველყონ ისეთი საშინაო წყობა, რომელშიც დაცული იქნება ადამიანთა მირითადი პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ყოველივე ეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევრაზიაში მშეიდობისა და სტაბილურობის ზონის შექმნას შეუწყობს ხელს.

ნატო-ს გაფართოება: პრიბლემაზე და პრისტიმზე

გასული საუკუნის ბოლო ათასწლეულში საბჭოთა კავშირის დაშლამ, რაც მოულოდნელი იყო არა მხოლოდ საბჭოთა ლიდერებისათვის, არამედ დასავლეთის ბევრი პოლიტიკოსისათვის, სრულიად შეცვალა

გლობალური პოლიტიკა. გამოჩენდა, ფუკუიამას სიტყვებით რომ ვთქვთ, არა მხოლოდ „უკანასკნელი აღამიანის“ სილუეტი და „ისტორიის დასასრული“, არამედ თვისებრივები სრულიად ახალი პრობლემების მთელი წყება. პოლიტიკურ ტრანსფორმაციას ევრაზიულ კონტინენტზე თან მოჰყვა სამხედრო ხასიათის ცვლილებები. განვლილი ათწლეულის მანძილზე ევროპის კონტინენტზე განვითარებული მოვლენები მთლიანობაში ევროპის ინტეგრაციისა და ნატო-ს აღმოსავლეთისაკენ გაფართოების პროცესს წარმოადგენს. ევროპასთან მიმართებით ინტეგრაციაზე აქცენტირდა, სულიც არ ნიშნავს, რომ არ მიმდინარეობს ევროპის გაფართოება. ევროპის პოლიტიკური გაფართოება, მთის იქრანქული და მრავალპირობითი ხასიათის მიუხედავად, ფაქტია. თუმცა, ევროპისა და ნატო-ს გაფართოებას შორის არ არსებობს აუცილებელი კავშირი; ევროპის რაგინდ მაღალი პოლიტიკური სტრუქტურების წევრობა არ გულისხმობს ამა თუ იმ ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას და პირიქით ამას მრავალი მიზეზი გააჩნია, მთ შორის აღსანიშნავია, რომ ნატო არ არის წმინდა ევროპული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია. მასზე საუბრისას წმინდა მხედველობიდან გვეკარგება ის პოლიტიკური ვითარება, რომ ნატო-ს სახით ევროპული დემოკრატიის პლაცადარმზე მყარად აქვს ფეხი მოგიდებული შეერთებულ შტატებს. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო და არაფრისმოქმედი დაზუსტება ძალზე არსებით იმპლიკაციებს გულისხმობს. კერძოდ, უთუოდ ანგარიშგასაწევია, რომ ნატო-ს აღმოსავლეთისაკენ გაფართოებით იზრდება არა იმდენად ევროპული, რამდენადაც ამერიკული სამხედრო სტრატეგია, რაც, იმავე ევროპული რესურსების გონიერულ და ზომიერ გამოყენებას ემყარება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთის ბეკრი სამხედრო-პოლიტიკური უწყება თითქმის ერთხმად აღნიშნავდა ტრადიციულ საფრთხეთა ხასიათის ცვლილებას, ისევე, როგორც მათზე რეაგირების სისტემის ტრანსფორმაციის ფაქტის. იმავე ქვეყნების შესაბამისი სამსახურები ცდილობდნენ გამოეთვალათ მომავლის გამოწვევების სპეციფიკა და მინიმუმამდე დაფუძნათ არაპოვნობირებადი მოვლენები.

როგორც ევროპაში, ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვნა, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების აღნიშნული რეაქცია სავსებით დროული აღმოჩენდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ცალკეულ შემთხვევებს, როგორიცაა, კოქვათ, ბირთვული იარაღის გავრცელება ან ტერორიზმი, შეგვიძლია მიუუთითოთ დიდ და ხანგრძლივ ომზე ბალკანეთში, რომელიც ტრადიციული გამოწვევების

სისტემისათვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ბალკანეთის კონფლიქტებმა ცხადებული იყო, რომ ამ ურთიერთობის ასახსნელად (არადათვისებრივად ბალკანეთის კონფლიქტები დიდად არ განსხვავდებოდა, ვთქვათ, ივივე კავკასიური კონფლიქტებისაგან) ეთნიკური შეუთავებლობა ან, მით უფრო ხალხების დაბალი კულტურული დონე სრულიად არადამატაყოფილებელია.

როგორც არ უნდა იყოს საქმე, ნატო აღმოჩნდა ერთადერთ სამხედრო ძალა, რომელმაც არა მხოლოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფლიქტების დარღვეულირებაში, არამედ გამოიყენა ეს სიტუაციები გაფართოების სტრატეგიისათვის. ნატო-ს გაფართოება უახლოეს მომავალში შეუფერხებელი პროცესი იქნება, რომელიც შექმნის სრულიად ახალ სამხედრო-პოლიტიკურ რეალობებს საქართველოს სახელმწიფოსათვის, მისი შეიარაღებული ძალებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროცესზე ყურადღებით დაკვირვება, არამედ მოსალოდნელი ცვლილებების მაქსიმალური გათვალისწინება. ამ დროს, რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნები, ისევე როგორც მოლიანი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ხელმძღვანელობა, საქართველოს მიმართ უფრო მეგობრულადაა განწყობილი, ვიდრე ნებისმიერი ბლოკის და ბლოკის საქართველო ნატოს პროგრამის – „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ – წევრი ქვეყანაა), მაგრამ რამდენადაც სამხედრო-პოლიტიკური რეალობა, თვალი ცხოვრება ყოველთვის უფრო როგორი და მრავალწანიანობა, ვიდრე წევნი შეხედულებები მათ შესახებ, ამდენად, გვმართებს სრულიად გავიაზროთ ნატო-ს გაფართოების შედეგები და მასთან დაკავშირებული პრობლემების ის წრე, რომელიც კავკასიას უკავშირდება.

ჩვენ არა გვაქვს პრეტეზია თუნდაც მათხლოებით სისრულით დაისვას ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებული საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები. ამგვარი ამოცანის განხორციელებას მოხლი კოლექტივის ძალისხმეული დასჭირდებოდა. ჩვენ მხოლოდ ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებულ ზოგად ტენდენციებს მიმოვისილავთ, რომელებიც შეძლებ, შესაძლოა, სხვადასხვა მიმართულებით დაკარგი კრებულებს.

გაფართოება აღმოსავლეთთ, ნატო-ს აძლევს რიგ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უპირატესობებს. განვიხილოთ თოვლებული მათგანი ცალ-ცალკე.

1. უსაფრთხოება (სამშედრო ასპექტები)

ნატო დასაწყისშივე შეიქმნა აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის უკნებელყოფის საშუალებად. ჯერ გარშავის პაქტიმა, ხოლო შემდგომში საბჭოთა კავშირის დაშლამ ასეთი საფრთხე მოსპო. მოუხედავად ამისა, ნატო-ს გაფართოებას აქვს მიმართულება – აღმოსავლეთით, რაც განისაზღვრება ნატო-ს ხელმძღვანელობის განზრახვით, გარანტირებული გახდოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დღეს მოპოვებული უსაფრთხოება.

მტრულად განწყობილი სახელმწიფო, აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოებისაგან (მით უფრო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი) დღეს ნატო-ს არ ჰყავს. ასეთი განწყობების არსებობის შემთხვევაშიც კი აღმოსავლეთით მდებარე ეკროპული სახელმწიფოები – კველა ერთის გარდა, მეტად სუსტია საიმისოდ, რომ პრობლემები შეუქმნას არათუ მოულ ბლოკს, არამედ თუნდაც „ცალკე“ აღებულ მის ლილერ ქვეყნებს. ერთსადერთი ნატო-ს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც ანგარიშგასაწევი პოტენციალი აქვს და რომლის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია, სხვადასხვა მიზეზების გამო, არაპროგნოზირებადია, რუსეთია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთით გაფართოება იმდენად „ცარიელი სივრცეების“ სამხედრო ძალით შვესტის ცდას კი არ წარმოადგენს, რამდენადაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობის გამოხატულებას, რომელიც მოპოვებულია პოტენციურ მოწინააღმდეგესთან საზღვრების მიახლოებით. მართლაც, თუ გამოვალთ ნატო-ს ხელმძღვანელობის არაერთხელ დეკლარირებული პოზიციები, მათ თვის აღმოსავლეთით სასურველი გაფართოების ზღვარი რუსეთის უდერაციის სახელმწიფო საზღვრებამდე აღწევს. გარევული პერიოდის შემდეგ, აღბათ, ნატო-ს შემადგენლობაში ვიხილავთ უკრაინას, ბალტის ქვეყნებს. ნატო-ს ბმართველი წრეები არანაკლებ მოხარულნი იქნებოდნენ თავიანთ რიგებში, თუნდაც გრძელებადიან პერსპექტივაში და არა დღევანდელი რეჟიმის პირობებში, ეხილათ დემოკრატიული ბელორუსიაც. სამხედრო ძალის გაფართოება გარეული სტრატეგიული მიმართულებით საჭიროებს მნიშვნელოვან ხარჯებს შესაბამისი ქომუნიკაციების, ბაზების, თუ გნებავთ, სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მოლიანობაში. ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას უთვით შეუწყო ხელი იმან, რომ აღმოსავლეთ ეკროპის ქვეყნები ნატო-ს ამ მხრივ საკმაოდ მოშრადებულები შეხვდნენ. მის განკარგულებაში აღმოჩნდა ყოფილი ვარშავის პაქტის საშუალებები.

მართლია, ხელუხლებელი სახით ისინი შორს არიან ნატო-ს სტანდარტებისაგან, მათ მნიშვნელოვანი მოღვაწიზეც სჭირდება, მაგრამ ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევა, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება იმ მოსალოდნელ ფინანსურ ხარჯებს, რომელიც ნატო-ს უნდა გაეღი „ცარიელი სივრცის“ ასათვისებლად.

ყოველივე ის, რაც ახლა ნატო-ს აღმოსავლეთთ გაფართოებაზე ითქვა რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში, არ უნდა ვვიქმნიდეს შთაბეჭდილებას, თითქოს ნატო-ს მეკვიდრობით ერგო რუსეთი, როგორც მირითადი აგრესული ძალა და, შესაბამისად, მისი ძრითადი ფუნქციაც აღმოსავლეთთ მისი შეკავებაა. უკვე იქიდან გამომდინარე, რაც ღვერცის დასაწყისში საფრთხეთა შეცვლილი სახეების შესახებ ითქვა, ამგვარი ვარაუდი არასწორი იქნებოდა. ნატო, ისევე როგორც შეერთებული შტატები და სხვა ლიდერი სახელმწიფოები დღევანდებულ, შეცვლილ მსოფლიოში უფრო უფრთხის ქაოსს, მასობრივი დესტაბილიზაციის მაპროვოცირებელ აქციებს, ლოკალურ, ან, ბოლოს, საშუალო მასშტაბიან კონფლიქტებს გაფართოების ტენდენციით, ვიღრე რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოებს. ამიტომ მისი გაერცელების არეალში ნატო-ს მირითადი ფუნქცია არის სტაბილურობის შენარჩუნება. ამგვარი ფუნქცია უთუოდ ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორია აღმოსავლეთ ევროპის, ვარმავის პაქტის ფოფილი წევრ-ქვეყნებისათვის, რომლებიც ნატო-ში გაწევრიანების დიდ მზაობას ავლენენ. ნატო-ს წევრობა ხომ არაწევრი ქვეყნებისაგან მოსალოდნელი აგრესის აცილების გარდა, გარანტიას იძლევა გამოირიცხოს კონფლიქტი თავად წევრ-ქვეყნებს შორის. სხვაგვარად, ეს ნიშავს ევროპის მთელ სივრცეზე სტაბილური მდგომარეობის განმტკიცებასა და უსაფრთხოების შეარ გარანტიებს ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის. ამიტომ აღიანსის წევრობა გაცილებით ნაკლები რესურსების ხარჯვას გულისხმობს და გაცილებით უფრო მყარი გარანტიების მოპოვებას, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ერთი, ცალკე აღგაცემი ქვეყნის დანახარჯებით.

ვსახურობთ რა იმის შესახებ, თუ რა სარგებელს ნახულობენ ნატო-ში გაწევრიანებით რიგი აღმოსავლეთის(ვგულისხმობით აღმოსავლეთ ევროპას) ქვეყნები, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, თუ რა სარგებელს პოულობს ამ პროცესში თავად ნატო. ზემოთ აღინიშნა სტრატეგიული უპირატესობა, რომელსაც ნატო მოიპოვებს აღმოსავლეთის პოტენციური აგრესის მიმართ. აღმართ, ცალკე და ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ისეთი, უფრო ზოგჯერ ხასიათის სარგებელი ნატო-სათვის, როგორიცაა მისი უსაფრთხოების პოტენციალის

ხარისხობრივი ზრდა. ხარისხობრივი მაჩვენებლის ცვლილება გარდუ-
ვალია, თუ გავითვალისწინებთ ახალი ქვეყნების გაწევრიანებით ნატო-
ს აღაძანური და ბუნებრივი რესურსების ზრდას.

კოველივე ზემოთქმედიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშ-
ნოთ, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით ზრდის ტენდენცია არის, ერთი
მხრივ, ახალ სივრცეებზე უსაფრთხოების განმტკიცების გარანტია,
რაც ხორციელდება ახალი წევრ-სახელმწიფოების აქტიური მონაწ-
ილეობით. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას ისიც, რომ, რაც უფრო
უართვებება ბლოკი, უფრო ძლიერებება მისი პოტენციალი. შედე-
გად, უსარამაზარ ევრაზიულ კონტინენტზე იქმნება თვისებრივად
ახალი ევროატლანტიკური აღიანსი, რომელსაც პრაქტიკულად არ
ჰყავს აღკვატური ოპონენტი და ეს, ბუნებრივია, არ შეიძლება
შესაბამის ზეგავლენას არ იწვევდეს გლობალურ პოლიტიკაზე.

2. ეკონომიკური ასპექტები

ნატო, რა თქმა უნდა, არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია
და ამიტომ, ცხადია, მისი ზელმდევნელობა ითვალისწინებს მასში
მონაწილე ქვეყნების, მათ შორის ახალი წევრებისა და კანდიდატი
სახელმწიფოების ეკონომიკურ წვლილს უსაფრთხოების ევროატ-
ლანტიკური ზონის გაფართოებაში.

ცივი ომის დასრულებისთვის ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა, დასავ-
ლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა თითქმის ერთხმად გამოაცხადეს
სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. დაიკლო არმიების
მოცულობამ და შეიარაღებამ. ამ ფაქტმა არ შეიძლება დადგითად
არ იძოქმდოს დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკა-
ზე. ამიტომ მოსახლეობა დადგითად გაძიებიანურა სამხედრო ხარ-
ჯების შეკვეცის პროექტებს. თუმცა, აღნიშნული ტენდენცია არ
უნდა იყოს გაგებული ნატო-ს სამხედრო პოტენციალის შესუსტე-
ბად. პირიქით, არსებობს სულ მცირე ორი მიზეზი, რომელიც საშუ-
ალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მთლიანობაში აღიანსის პოტენ-
ციალი კი არ შესუსტდა, არამედ გაიზარდა.

ჯერ ერთი, ამგვარი ვარაუდის საშუალებას იძლევა ზოგადი
ტენდენცია ახალი სამხედრო ტექნოლოგიებისა და შეიარაღების
საკითხში. ამ ტენდენციის მიხედვით, სამხედრო იარაღის ფუნქციონ-
ალური მხარე მკვეთრად იცვლება მასშტაბურობიდან – სიზუსტისა
და მართვადობისაკენ. მაგალითად, თუ რომელიმე საკომანდო პუნ-
ქტის გასანადგურებლად, ცივი ომის გარკვეულ პერიოდში, ელექტრო-
ნული დაზევრვისა და კოსმოსური ტექნოლოგიების არასაკმარისი

დონის გამო მიიღებდნენ გადაწყვეტილებას საპარო დარტყმების შესახებ, ოპერაციას უნდა მოეცა შეძლებისდაკვარად ფართო არეალი, რომელშიაც საკარაულოდ უნდა აღმოჩენილიყო საკომისი საყრდენი პუნქტი. ამგვარ ოპერაციებს თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების წყალობით, ახლა ამჯობინებენ ობიექტის ადგილმდებარების მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრას და მის დაობებას ძართვადი და ზუსტი იარაღით. ასეთი ობიექტების უფერებიანობა, როგორც წესი, ძალზე მაღალია და მსგავსა დამობებებისას არ ზიანდება ობიექტის გეგმილით მდგრადი უახლოესი შენობა-ნაგებობებიც კი. მართალია, უახლესი ტექნოლოგიები მეტად ძვირია, მაგრამ მასიური შეკვეცებიდან გაცილებით მეტი რესურსები გამოიყისუფლდება.

მეორე ჭიშვილივანი მომენტი, რომელიც თან ახლავს სამხედრო ხარჯების შემცირებას ნატო-ს წევრ ქვეყნებში, არის ზემოთ უკვე აღნიშვნული ახალი წევრი ქვეყნების ის ხარჯები, რომლებიც ქვეყნების თვალისწინებიანობას უნდა მოხმარდეს. გაწევრიანების შეძლევების უკონტრიული მაჩვინებლები ნატო-ს კონტროლის ქვეშ ექცევა და მშვიდობა და სტაბილურობა, რომელსაც ახალი წევრი ან კანდიდატი სახელმწიფოები მოვლიან აღიანისაგან, უკონომიკურ მაჩვინებლებში სათანადოდ იქნება ანაზღაურებული.

ზემოთ აღინიშნა, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე დადგითაც იმოქმედა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარკვეულმა სამხედრო ინფრასტრუქტურამ. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ინფრასტრუქტურა არსებით კორექტოვებს საჭიროებს. სხვაგვარად, ინტეგრირება მეტ-ნაკლებად იღენტურ სამხედრო სტრუქტურებში ძალზე გაჭირდება. აღმოსავლეთ ევროპის არმიები უნდა გადაეწყონ ნატო-ს სტანდარტებზე, უნდა გადაიარაღდნენ, ამას კი არა მხოლოდ გარკვეული დრო, არამედ შესაბამისი სახსრებიც სჭირდება. ახალი წევრი ქვეყნების არმიების გადაიარაღებაზე საწყის ხარჯების ნაწილის ბუნებრივია, ნატო-ს წამყანი სახელმწიფოები გაიღებენ. ცხადია, გაცემული დივიდენდები მთ დიდი მოგებით დაუბრუნდებათ, რადგან ახალ-ახალი სამხედრო შეკვეთები, რომელიც გარანტირებული აქვს ამ ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, და არა მხოლოდ მას, უეჭველად მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ქვეყნების მრეწველობისა, და აქედან, მთლიანად ეკონომიკისათვის.

დაბოლოს, იმისათვის რომ დავასრულოთ მიმოხილვა, თუ რა სარგებელს ნახავთ აღიანის გაფართოებით ნატო-ს წევრი ქვეყნები, უნდა მოვუთოთ იმზეც, რომ ბლოკის გაფართოებით იქმნება კომუნიკაციების უწყვეტი ქსელი — ბალტის ზღვიდან აღრიატიკის ზღვამდე.

3. პოლიტიკური ასპექტები

ბალკანის კონფლიქტებმა დამაჯერებლად ცხადით ნატო-ს მზარდი პოლიტიკური წონა გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით. ამ მხრივ გაერო-ს დუნე და ნაკლებეფექტიანმა აქციებმა უფრო შთამბეჭდავი გახადა ნატოს როლი ახალი მსოფლიოს წესრიგში. მკითხველს შესაძლოა ახსოვს კიდევ დაბაბული მომენტი ბალკანეთის კრიზისში ნატო-სა და გაერო-ს შორის. დაბაბულმა ურთიერთობებმა არ მიიღო აშკარა კონფრონტაციული სახე, თუმცა აჩვენა ახალი მსოფლიო წესრიგის ერთი სპეციფიკური თავისებურება. ეს უთერდ საყურადღებოა საქართველოსათვის, რომელიც დაუფარავად გამოხატავს თავის სიმპათიებს ნატო-სადმი.

აშკარაა, რომ პატარა ან შედარებით სუსტი სახელმწიფოების ნატო-ში გაწევრიანება მათ არა მხოლოდ უსაფრთხოების მეტ გარანტიას სძინს, ვიდრე გაერო-ს წევრობა, არამედ ზრდის ამ ქვეყნების პოლიტიკურ წინას საერთაშორისო ასპარეზზე. ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე კენჭისერის დროს, ნატო-ს წევრი არა-ალიდერი სახელმწიფოების პრესტიჟზე დიდად იქნება დამოკიდებული მთელი ალიანსის პოზიცია. ტიპოლოგიური მსგავსება პრობლემებისა კი, ვთქვათ, იმავე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, მსგავსი პლატფორმის გამოშუმავების საფუძველი იქნება. აქედან აშკარაა, რომ მოვლენების ამგვარი განვითარების პირობებში გაიზრდება ნატო-ს ახალი წევრ-სახელმწიფოების ზეგავლენა მეზობელ, ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებზე.

საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის ნატო-ში გაწევრიანება სრულიად სხვა სტატუსს მიანიჭებს ამ ქვეყნებს, ვთქვათ, იმავე რუსეთთან ურთიერთობებში. ყოფილი „ახლო საზღვაოგარეთის“ ქვეყნები იქცევიან სახელმწიფოებად, რომელთაც ევრაზოვლი კონტინენტის ძალას ბალანსზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

პრიბლევები ნატო-ს აღმოსავლითი გაფართობის გზაზე

აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოებაზე მსჯელობისას მხოლოდ იმ ფაქტორებს შევეხვთ, რომელიც მირითადად ხელს უწყობდა ზემოაღნიშნულ პროცესს. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს ხელისშემმლელი ფაქტორები და სიმნელეები. ამგვარი სიძნელეები, რა თქმა უნდა, არსებობს და გაფართოების პროცესის წარმატება ამ სიძნელეების დაძლევაზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ახალი წევრების ნატო-ში მიღებას, არის მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოსავლეთ ევროპის ან პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების განვითარების დონეებს შორის. აღნიშნული განსხვავება პრობლემებს უქმნის იმ პირობებისა და სტანდარტების დაკავშირების უნიფირებულ უნდა იქნეს ნატო-ს წევრი ქვეყნებისათვის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან არა მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურის, არამედ ეკონომიკისა და პოლიტიკურ-სოციალური პარამეტრების მიხედვითაც. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რაც განსაზღვრავს ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების გრაფიკს, რომელიც არათანაბარია.

მეორე და, ალბათ, არანაკლებ პრობლემატური საკითხების მოყლი წყება, რომელიც ნატო-ს გაფართოების წინაშე დგას, შეეხება წინააღმდეგობებს მის წევრ (ვთქვათ, უთანხმოება საბერძნეთსა და ოურქეთს შორის) და კანდიდატებს (ვთქვათ, იგივე საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის მაკედონიის საკითხში ან უნგრეთსა და რუმინეთს შორის ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უნგრელების პრობლემის გამო) შორის. ნატო ესწრავვის დაწმუნდეს, რომ ამ და სხვა შეგავსი პრობლემების უმრავლესობა გადაწყდეს წმინდა პოლიტიკურ დონეზე, ყოველგვარი სამხედრო ზეწოლის ან სხვა მათეულებელი სანქციების გამოყენების გარეშე. ოუგვისენებით იმას, თუ როგორი ღონის დაძაბულობას მიაწირა ურთიერთობამ ამ რამდენიმე წლის წინ საბერძნეთსა და ოურქეთს შორის, დავრწმუნდებით, რეალურად როგორი მასტაბილიზებელი როლის შესრულება შეუძლია ტრანსატლანტიკურ ალიანსს ევროპის სხვადასხვა რეგიონში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს რუსეთიც, რომელიც აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოების ძირითადი მოწინააღმდეგება. რუსეთის ამგვარი პოზიცია გამოწვეულია სულ მცირე ორი გარემოებით, ჯერ ერთი, რუსეთი ძალზე ძნელად გვუძება იდეუს, რომ იგი აღარ არის ზესახელმწიფო და ამიტომ უნდა შემოიზნებოს საკუთარი რეგიონის პრობლემებით. ევროპიდან გამოივების შემდეგ, რუსეთს სურდა შეენარჩუნებინა ხელსაყრელი სასტარტო პოზიცია, რომელიც შესაბამისი მომენტის დადგომის შემთხვევაში მას დასავლეთით სტრატეგიული გაშლის საფუძველს შეუქმნიდა.

ამის ნაცვლად, დღეს არსებული სამხედრო-პოლიტიკური რეალობებით, მას შემდეგ, რაც ნატო-ში ერთომეორის მიყოლებით შედიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რუსეთი სულ უფრო და უფრო

საიმედოდ იბრჭება დასავლეთიდან. მეორე ძირითადი მიზეზი, რომელიც ნატო-რუსეთს შორის ურთიერთობას ძაბავს სწორედ ესაა.

რუსეთის ცალკეული ღიდერების მიერ ნატო-სადმი დროდადრო გაკეთებული რევერანსები, ვფიქრობთ, მხედველობაში მისაღები არ არის. რა თქმა უნდა, ვითარება გაცილებით სხვაგვარი იქნებოდა რუსეთი ნატო-ში რომ მიეღოთ. მაგრამ ამ უზარმაზარი სივრცეების ეკრაზიული სახელმწიფოს ბლოკში გაწევრიანება წამგებიანია თავად ბლოკისათვის. საეჭვოა რუსეთი შორეულ პერსპექტივაშიც გახდეს ნატო-ს წევრი. აქედან, რამდენადაც რუსეთის არც აღიანსის წევრობის იმდრი აქვს და არც მასთან კონფრონტაციის პოტენციალი, იგი უმ-ეტესწილად იზღუდება პოლიტიკური განცხადებებითა და ცალკეული დემარშებით. ასეთ პოლიტიკას პერსპექტივა არა აქვს, მით უფრო ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის პირობებში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ბალკანითისა და ყოფილი საბჭოთა რესაუდლიკების ნატო-ში გაწევრიანებას იძლენად რუსეთის პოლიტიკა არ უშენის ხელს, რამდენადაც საკუთარი პრობლემების გადაწყვეტისა და ნატო-ს წევრობისათვის საჭირო მინიმუმის უზრუნველყოფის უკანაობა.

მთლიანობაში, სამომავალოდ, ნატო-ს ქვეყნებს შორის შეიძლება თავს იჩენდეს არა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის შეუთვსებლობა, არმედ ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ტექნოლოგიური ხასიათისაც. მართალია, ნატოს გააჩნია დინამიკური პროგრამები, რომლებიც გულისხმობს ამგარი საკითხების დაძლევის მექანიზმების გამომუშავებას, მაგრამ აღნიშნული ხასიათის მოგვარება მაინც უმ-ეტესწილად უვროპულმა სტრუქტურებმა ითავა. ამ მიმართულებით გარკვეულია ძირითადი ორიენტირი — მიახლოება „საერთო-უკროპულ დონესთან“ განათლების, მედიცინის, სამართლებრივ და სხვა სფეროებში.

ნატო-ს გაფართოების პტაპში

როგორც აღინიშნა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციას ტრანსატლანტურ სტრუქტურებში ეტაპობრივი ხასიათი აქვს, რაც განისაზღვრება კანდიდატი ქვეყნის საერთო დონით, დასავლეთიან სამხედრო-პოლიტიკური თანამდებობის ხასიათით. ამ დონეების მიზევით, ქვეყნები შეიძლება დაჯგუფდეს ოთხ სხვადასხვა კატეგორიად. მეოთხე კატეგორიაში შევლენ ქვეყნები, რომლებიც შევლაზე ნაკლებ არიან მზად ითანამდებობით დასავლეთთან.

პირველი კატეგორია მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყ-

ნებს, რომლებიც ფაქტობრივად უკვე გახდნენ ნატო-ს წევრები – პოლონეთს, ჩეხეთსა და უნგრეთს. გასაგებია, რომ ეს ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპიდან ყველაზე უფრო მეტად იყვნენ მიახლოებული დასავლეთის სტანდარტებს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გეოსტრატეგიული უპირატესობები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ნატო ამ ქვეყნების აღიანსში გაწევრიანებისას. კერძოდ:

პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი უშუალოდ ესაზღვრებიან ცენტრალურ ევროპას და მათ ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის ლიდერი სახელმწიფოების ინტერესების დასაბალანსებლად. ამასთან, პოლონეთის აღიანსში შესვლა ძირეულად ცვლის ვითარებას ბალტიაზე, რომელიც გაცილებით უსაფრთხო ხდება.

აღნიშნული სამი ქვეყნის გაწევრიანება ნატო-ს საშუალებას აძლევს სტრატეგიული კომუნიკაციების ერთიანი ხაზი შექმნას ბალტის ზღვიდან ბალკანეთამდე. პოლონეთისა და ჩეხეთის საშუალებით, სლოვაკეთის გავლით ნატო უკავშირდება ჩრდილოეთიდან უნგრეთს, ხოლო მისი საშუალებით კი ბალკანეთს. განვლილმა ბალკანეთის კონფლიქტმა სრულდად გამოავლინა უნგრეთის სტრატეგიული მნიშვნელობა ამ რეგიონისათვის.

აღბათ, ცალკე უნდა აღინიშნოს პოლონეთ-ჩეხეთ-უნგრეთის ხაზის კავშირი უკრაინასთან, რაც უზრუნველყოფს პისტსაბჭოურ სივრცეში შეღწევის პერსპექტივას ნატო-სათვის.

ნატო-ში გაწევრიანების კანდიდატებად მუორე ჯგუფს შეადგენენ ბალტიის ქვეყნები, სლოვენია და სლოვაკია. შეიძლება ითქას, რომ ამ ქვეყნებს საერთო განვითარების დონით მუორე აღვილი უკავია ზემოთ ჩამოთვლილთა შემდეგ. ბალტიის ქვეყნების აღიანსში მიღება ნატო-ს საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს „ჩრდილოეთის საკითხი“. ეს ქვეყნები, ჯერ ერთი, ბლოკური რუსეთის სამხედრო საზღვაო ბაზას – კალინინგრადს ისევე, როგორც საშუალებას იძლევან პრომისკოურად განწყობილი ბელორუსია გააკონტროლონ არა მხოლოდ დასავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდანც.

დაბოლოს, სლოვენიისა და სლოვაკიის ჩართვა ნატო-ში უკვე აგებს კომუნიკაციების უწყვეტ ხაზს ცენტრალური ევროპიდან ხმელთაშუა ზღვამდე – გერმანია-ჩეხეთ-სლოვაკეთი-უნგრეთი, ერთი მხრივ ხოლო, მეორე მხრივ, იტალია-სლოვენია-უნგრეთი. ავსტრიის ჩართვა ა აღიანსში, რაც თანდათანით რეალური ხდება, კიდევ უფრო გააძლიერებს ამ ღერძებს.

ნატო-ს კანდიდატი ქვეყნების მესამე ჯგუფს შეადგანენ რუმი-

ნეთი, ბულგარეთი, ხორვატია. ამ ქვეყნების უფრო ადრეულ ეტაპზე გაწევრიანება პრობლემატური გახდა მათივე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო. ამ პრობლემების ვადაში დაძლევა, მათი ნატო-ში გაწევრიანების ერთეულთი ძირითადი პირობაა.

იმავე სახელმწიფოების რიგში შევკიძლია მოვაზროთ ისეთი ბალკანური ქვეყნები, როგორიცაა: ოუგრისლავია (იგულისხმება პოსტ-მილიშევიჩული იუგოსლავია), ბოსნია, მაკედონია, აღმანეთი. მართალია, ეს სახელმწიფოები არასტაბილურობის მაღალი დონით ხასიათდებიან, მაგრამ რიგი პირობების დაკამაყოფილების შემდეგ, მათი ნატო-ში გაწევრიანება საბოლოოდ მოხსნილა ბალკანეთის პრობლემას. არ არის გამორიცხული ისეთი კითარებაც, რომ ნატო-ს წევრები ბალკანეთის დიდ ევროპაში ინტეგრაციის ინტერესიდან გამომდინარე, არ მოახდენება კანდიდატთა რანჟირებას და ნატო-ს წევრობის საშუალებას ერთდროულად მისცემენ ყველას, კერძოდ, ბალტიის ქვეყნებიდან აღმანეთისა და მაკედონიის ჩათვლით. ასეთი სცენარის აღმართების არციც მაღალი დონის მიუხედავად, ის (თუ, რასაკირველია, იქნა რეალიზებული) საყურადღებო პრეცენდენტს შექმნის საქართველოსათვის. აღიანსმი, ერთი მხრივ, გაწევრიანდებიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მშენებელი დაბალი განვითარების, თუმცა გეოგრაფიულად უფრო ხელსაყრელი პირობების მქონე (რესეთთან საერთო საზღვრის არარსებობას ვვრულისხმობ) სახელმწიფოები. სტრატეგიული კომუნიკაციების თვალსაზრისით, ნატო ასეთ შემთხვევაში მიიღებდა მნიშვნელოვან შენაძენს – უწყვეტ პორიზონტალურ ხაზს შავი ზღვიდან გიბრალტარამდე.

ეს კი უზრუნველყოფს ნატო-ს სტრატეგიულ ინტერესებს შავი ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროებიდან მთელი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთამდე.

დაბოლოს, მეოთხე ჯგუფის წევრებს შეადგენენ უქრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ ქვეყნების მნიშვნელობა ნატო-სათვის ძალზე დიდია როგორც რუსეთის (მაგალითად, ითვლება, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის პირობებში ყოფილი საბჭოთა კავშირის აღემცატური გეოპოლიტიკური გრიფულის აღდგენა შეუძლებელია), ასევე შავი და კასპიის ზღვების საშუალებით ცენტრალურ აზიათან კომუნიკაციების გამის თვალსაზრისით.

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ვითარების შეცვლას, ცხადია, არ შეეძლო სათანადო ზეგავლენა არ მოეხდინა ნატო-ს ხელმძღვანელ სტრუქტურებზე. უკვე 1991 წელს განხორციელდა ნატო-ს საზელმძღვანელო სტრუქტურების ზომიერი ცვლილება. ამჟამად ნატო-ს სტრუქტურა უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. სირ კავშირისა და ვერ-ს მხრივ მასირებული სამხედრო შეტევების მოვრიცებისათვის გამიზნული ბლოკისგან ის თანდათანობით გარდაიქმნება სხვა სახის ორგანიზაციად.

მართველობის ახალი სტრუქტურა გულისხმობს უმაღლეს სარდლობას პასუხისმგებლობების ახლოებრად გადააზრებას. საბრძოლო მოქმედებასთ თუატრების საზღვრები აღლებულად იქნება მასზრდებული ახალი რეალიტების გათვალისწინებით. შეიქმნება სტრატეგიული და რეგიონული სარდლობები, რომლებიც თანდათანობით ჩანაცვლებენ ნატო-ს ტრადიციულ სტრუქტურებს. შეიქმნება თვისებრივად ახალი ინსტიტუტი-სუბრეგიონული სარდლობებით, რომლებიც ამა თუ იმ სუბრეგიონის ჩარჩოებში პასუხისმგებელი იქნება ნატო-ს ინტერესების რეალიზებაზე. ამ სარდლობებს არსებითი მნიშვნელობა ექნებათ მრავალწლოვნული ძალების ოპერაციების ჩატარებაში, რომლებიც გულისხმობენ ნატო-ს წევრ და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივ ოპერაციებს. მდგრადი ოპერაციების ჩინგებული მაგალითთა კოსოვოს კრიზისისას ნატო-ს წევრი და არაწევრი ქვეყნების (ბულგარეთი, რუმინეთი, მაკედონია და ა. შ.) ერთობლივი მოქმედებები. თითოეულ ასეთ ოპერაციაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს დაახლოებით 100 ათასში მეტრმდებარებამ.

გამომდინარე სამხრეთის სტრატეგიული მიმართულების როლის გაზრდიდან და ატლანტიკასა და ბალტიკაზე ზღვა-ხმელეთის სისტემის შექმნიდან, ნატო-ს გაერთიანებული დამრტყმელი ფლობის მოქმედების არაალი უპირატესად ხმელთაშუა ზღვით შემოიფარგლება.

შენარჩუნდება ნატო-ს ორივე მთავარი სარდლობა – ევროპასა და ატლანტიკაზე. ამასთან, ატლანტიკიკაზე ზღვა-ხმელეთის კონცეფციის რეალიზებიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი ევროპულ სარდლობაზე გაკეთდება. მის ჩარჩოებში შეიქმნება სამი დონის სტრუქტურა, კერძოდ, სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული(ტაქტიკური როლი უქმდება). უმაღლეს მთავარსარდლობას განახორციელებს ნატო-ს სტრატეგიული სარდლობა ევროპი, რომლის შტაბინა კასტროში(ბელგია) იქნება.

იმ გეოპოლიტიკური ცვლილებიდან გამომდინარე, რაც ბალტიკასთან შიმართებით აღნიშნეთ, გასაკეირი არ უხდა იყოს, რომ ჩრდილოეთისა და ცენტრალური სარდლობები ერთმანეთს შეერწყმებიან და შეიქმნება ნატო-ს გაერთიანებული ძალების სარდლობა „ჩრდილოეთი“, რომელიც მოიცავს ყოფილ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის თეატრებს. ამ სარდლობის შტაბინა ნიდერლანდის ქალაქ ბრიუნისიუმში იქნება. პასუხისმგებლობის ზონა მოიცავს გერმანიას, ბენელუქსს, დანიას, ნორვეგიას, ჩეხეთსა და პოლონეთს, აგრეთვე ბალტიკასა და ლამანშის სრუტეებს, ჩრდილოეთის, ირლანდიის, ნორვეგიისა და ბალტიკის ზღვებს. რეგიონულ სარდლობას აგრეთვე დაექვემდებარება ორი გავარეობითი სარდლობა (სავიაციო და საზღვაო) და სამი სუბრეგიონული (ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთი და ცენტრი) სარდლობა. ამის შედეგად ნატო-ს ყოფილი ცენტრალურ და ჩრდილოერთული სარდლობები ტიპოლოგიურად ყოფილ სამხრეთევროპულს დამსგავსებია). რეგიონული სარდლობის ცენტრი განთავსდება რამტაინში, ყოფილი ცენტრალურერთული სარდლობის ბაზაზე. სუბრეგიონული სარდლობების ცენტრები შესაბამისად განთავსდება იოტტაში (ნორვეგია), კარუპისა (დანია) და ჰაიდელბერგში (გერმანია).

სამხრეთევროპის თეატრზე ნატო-ს გაერთიანებული სარდლობა გარდაიქმნება რეგიონულ სარდლობა „სამხრეთად“, რომლის ოპერატორულ დაქვემდებარებაში იქნება გვარეობრივი გაერთიანებები, წარმოდგენილი სამხრეთ-საპატიო და სამხრეთ-საზღვაო სარდლობებით და ოთხი სუბრეგიონული სარდლობით – სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის, სამხრეთ-ცენტრისა და სამხრეთდასავლეთის. მათგან ორი სამხრეთ-ცენტრი და სამხრეთ-დასავლეთი ახალი სარდლობებია. ისინი მოიცავენ იმ არეალებს, რომლებსაც ნატო-სთვის ტრადიციული კონცეფციით შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდათ, სახელმოძღვანელო, ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის. რეგიონული სარდლობა სამხრეთის პასუხისმგებლობის ზონა თვალსაჩინოს ხდის ახალ მიდგომებს ევროპის გეოსტრატეგიული კონფიგურაციისას. ამ სარდლობის უფლებამოსილების არეალი მოიცავს საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, თურქეთისა და უნგრეთის სახმელეთო ტერიტორიებს, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვას, შავი და აზოვის(სიქ!) ზღვებს, შავი ზღვის სრუტეებს, გიბრალტარის მისადგომსა და მიმდებარე ტერიტორიებს. განსაკუთრებით საფურადოებოა ის, რომ ნატო-ს პასუხისმგებლობის არეალში პირველად ერთვება არა მხოლოდ შავი, არამედ აზოვის ზღვის აკვატორიუმიც. სუბრეგიო-

ნული სარდლობების ცენტრები განთავსებულია მადრიდში, ვერონაში, ლარისასა და იზმირში. გაერთიანებული სარდლობის შტაბინა ნებისმიერი განთავსებული.

სათანადო ცვლილებები შედის ნატო-ს ატლანტიკური სარდლობის შემადგენლობაში. მაგრამ ეს ცვლილებები სცილდება ჩვენი ნაშრომის კომპეტენციას. მიგვაჩინა, რომ ამ საყურადღებო საკითხის შესახებ საუბარი სხვა გამოკვლევის კომპეტენციაში თავსდება. წარმოდგენილ ანალიზს კი შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია, სახელმიწოდებელი, ცნადყოს რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა ეროვნული ტიკურმა და გეოსტრატეგიულმა ტრანსფორმაციამ ნატო-ს მმართველობის ორგანოთა ხასიათზე.

დესპენ

